# ცისკარი

1861

ოკტომბერი.

წელიწადი მეხუთე.

## რიგები თხზულებათა.


I. — ქცევა მწყემსი. . . . . . . თ. დავით გურამიშვილის.
II. — სწავლა, პატრის ცხოვრება. ვ. დიდებულიძისა.
III. — ლექსები სხვა და სხვა მწერალთა.
IV. — ამონაწერი მოხსენებიდან, [illegible]
[illegible] გორისაში. —
V. — [illegible] . . . ნ. [illegible]
VI. — სხვა და სხვა ამბავი (ისილე მეორე [illegible])



ტფილისს.

[illegible] ტიპოგრაფიაში.



837

# ქართველი მწყემსი (*)

(იდილია)

(თხზულებაჲ თავ. დავით გურამიშვილისა)

იჭდა ზამთარი ზროხლის ცახცახედა,
ჭმლი ზედ ედვა ვარ ხმალი ლიახცხედა,
მზად ჰყვანდა ლომქარი,
თოვლი, ყინვა, მას ქარი,
მოსწონდა თავი.

(*) როგორც ჩანს გურამიშვილთაგან, ამ იდილიის მასუზველს საქართველოს თავადს გურამიშვილს უცხოვრია მოგზაურად საქვეყნეში. და ეს ჯოგმა დაუწერია პეტერბურღში **1774** წელს. ქართულს ენაში დიდად დახელოვნებული ყოფილა. იმედი გვაქვს ამის მოსიყვარულეთაგან ცნობანი ზენ რედაქციის განსვენებულის ცხოვრების აღწერისა. რ.

ჯართ მყვანებელად ევროს ამირად
ჰყვანდა ჭმევიას მოპირდაპირად,
შემდგომად მას ლიოფსი,
ზეფიროს, ფინიქსი,
ბორია, ნოტოს.

ზაფხულის ამირად ჰყვანდა ვევია,
სად ევროს იდგა ნაცარ ქექია,
შემდეგად არგესტი,
აპილიო, ეროსტი,
თრასკი, ლიფნოსტოს·

არგესტიმ უთხრა: დრო არის ლიოფსი,
ადე გამეცა, თორემ დაიფსი!
ეს ლიოფსმა იწყინა,
უფროსად გაყინა,
ლიილო ლაილმან...

ლიოფსსა და არგესტს მაექნათ ჩხუბი,
არგესტ საჯდომსა ლიოფსს დასცა მუზი,
დაიჭრა რა ლიოფსი,
იხმო მან ფინიქსი,
მიუთხრა მასა.

არგესტს მაგენი ხელად დავიჭერ,
უკაცრავოდვარ თავს ველარ ვიჭერ,
აწ ახლა შენ იცი,
ვით გაქვნდეს შენ [illegible]ოცი,

შენ გაისარჯე.

არვესც დაჩუმდა ქროლისგან დადგა,
ფინიქსის ზრმოლად ერლასცი ადგა,
გადაუდგა წინა,
ლაშქრად ახლად წვმა,
ფინიქს ჰყვა თოვლი,
ფინიქს ელრასც..მ წამოუქროლა,
თოვლის ხორშავით დაუწყო სროლა,
ელრასციმ მას თოფნი,
წვიმა ჭ ქარ ჭყოპნი,
მას შეაყარა.
გაცყდა, ამოსწყდა ფინაქსის ჯარი,
ვერ მოიხმარეს თავის აზჯარი,
ჩაუსველდათ თოფნი,
თავს დაესხათ ჭყოპნი,
დელეგმა ლოლოფონი.
ელრასთს ეცყოდა, ზეფიროს გმირი:
კმარა დაჩუმდი ნუ მაღლით ჰყვირი,
ნუღარ ჰქრი თბილადა,
თვარა გაგხდი წზილადა,
დალაშქრა თრთვილიით!
რა ზეფიროსმა შექნა მუქარა,
აჰილიოცმა ფეხს მოუჩქარა.
დაჰზერა მან თბილი,

განუდნუ მას თრთვილი,
მზეც მოუხმარა.
ევრუსთან იყვნენ: ბორია, ნოტუს,
და ზეფიასთან, თრასკე, ლივონტუს,
მუნ შუა შავლობდენ,
მშვდობას ცდილობდენ,
ერთმან ერთშია.
ამ ქარებს გარდა სხვანი ქარები
დაუნდობელნი არახაზარები,
იყვნენ შორის წასულნი,
ქვეყნად დაქსაქსულნი,
მუნ ვერსად ვნახე.
რა ესმა ევრუს ქარის გაცემა,
ბორიას ნოტუსს შემოუჭყეხა,
თქვენ აქ რადა ხართო,
რატომ არ წახვალთო,
ჩვენ ქარს უჭირსო?
ამას წყინობდა ევრუს ამირი,
ავთ შეზმული ზეფ როს გმირი,
აპილოტო,
ქმნილა მეტიო,
ზეფიროზისა.
ალდგა ჩრდილოეთით ბორია ქარი,
გულით ფიცხელი ჯელოფეხით ჩქარი,

მსწრაფად გაყინა,
სულ ყველას აწყინა,
ვინცა შემოჳხვდა:
სად ზაფხულისა ვლიდა თარეშში,
სულ გაუყვანა მაღლა ჰაერში
ასეთი ყიოდა,
მკუდარი ძირს ცვიოდა,
მაღლიდამ დაბლა.
თრასკვემ ზურიას კარგად უმტყრა,
წამოუგვირგლა სული გაუტკვერა,
ჰაერში ახვეტა.
დაუწყო მან ფლეტა,
ზურიას ლაშქარს.
ზურია დადგა წამოდგა ნოტო
თრასკვეც დაუყრდა ადგა ლეონტოს,
ხვდა ლომსა ლომი,
შეიქნა ომი
მეტად მძლიერი.
ნოტოს დაჭყვირა ლეონტოსს მჯახედ,
ლეონტოს დახვდა გული მაგრა მკვახედ,
დგენ, გაბოტებითა,
სცემდენ ტოტებითა
ერთმან ერთს თავში.
ამიერ ვეჭიამ იხმარა ჯერხი

ევროპს მოცუეხა ზარბაზნით ფეხი,
ასეთი შესჭეხა,
ევროპს ქნა ცანთ გრეხა
შიშისაგანა,
იპყრა კეკიამ ჴელით ევროპს ქარი,
სრულიად დამარცხდა ზამთრის ლაშქარი,
გაიქცა ჩაფარი,
სად [illegible] ზამთარი,
მას მოახსენა.
ოდეს მოხსენდა სიტყუა ჩაფრისა,
ჯარის სიმარცხე მოსვლა საფრისა,
წამოდგა ზამთარი,
ჴელით იპყრა ხმალოვარი
შეჯდა რაშზედა.
სადაც ზანაკად დგა გაზაფხული,
ჴმალი გალესილი შუბ გამახული,
მიმართა ზამთარმან,
ჯავრით ვით აფთარმან,
მას შეუტია.
ზაფხულის მიუგო ავი სიტყვანი,
გადააყარა თავსა სიტყვანი,
ზამთარმან თოფხანა,
სტყორცნა თავს მოუფხანა
მეხით ზამთარსა.

მზემან მსახურა ზაფხულის კეთილად,
ზამთრის სიცივე შესცვალა ტკბილად,
გაიქცა ზამთარი,
რაშს ტაცა ფაფარი,
დასცეს კიჟინა.
შეჯდა კეკია იყო ცხენ ჩქარი,
დაწყებინა შუბსა ზანზარი,
გამოუდგა მდევრად,
უკან მოსწევრად
მიჰყვა ზამთარსა.
არ ჩამოჰხსნა კეკელის ქარი,
სანამ არ ჩაჰკრა ქვესკნელის ზამთარი,
აიღო ალაფი,
გარდასხა თავს ლაფი,
და გამობრუნდა.

---

ზამთარს წაუხდა აწ ჭირნახული,
ზურმუხტის ტახტზედ დაჯდა ზაფხული,
შემოკრბუნ ყოველნი
მყუნ სულნი ცხოველნი,
და დაულოცეს:
გაცვდა, გამველიდა ციგი ზამთარი,

შემოეცარცვა ტანთა საფარი,
ზაფხული გაახლდა,
საცმელი თან ახლდა,
ფერად ფერადი.
ზამთრით გაცარცვილნი შიშველნი ტოტებნი.
ახლით დამოსა გახადა მწუანნი.
მისცა მათ ბრძანება,
დართო სრულიად მან ნება,
პატიმრად მყოფთა.
ტანთა ჩანაცვა მწ̃ვანე კაბანი,
არა აქვთ სიცივით, თრთოლვა, ზაზანი,
ტფილნი ქარნი ჰბერვენ.
ჰხმით ფრინველნი მღერენ,
განაქვთ ჭიკჭიკი.
ამბობს ტოროლა, გალობს ბულბული,
ტკბილად მოსძახის ოფოფ, გუგული;
შაშვი აწყობს ზილისა,
მსმენი ირთობს მისსა,
წვრინავს ქედანი.
სხჳანი ფრინველნი აწყობენ ბანსა,
ქვე მყოფთ კმა გვესმის სახლის ჯდიან ბანსა,
ჩაყრილნი ხაროდა
ზე გასახაროდა,
ამოძვრენ ველად.

მზგავსად მზგავსადმან იპოვა ტოლი,
ყველამ დანერგა თავისი ცოლი,
გამოვიდა დოლი,
გაიზარდა მოლი,
ხეთა ფოთოლი.
მხიარულის ზაფხულის მოჰყავს ყვავილი,
მოწყენილის ზამთარს თან გაჰყვა თრთვილი,
აწ მწყემსნი ხარობენ,
ვინ ვისა ყვარობენ
ჭიდობას სდებენ.
ვინვის გვინდოდეს ერთად ვამოოთ,
საერთო იყოს ვინც რამე ვპოოთ.
სამთ ქალით სიხარულით,
ცხვარნი სიარულით,
წაასხეს ჭალად.
მირეკეს ჩიგვთან სად ვარდის ფერად,
ყვავილი ნახეს მუნ დასხდენ მღერად,
იმღეროდენ ტკბილად,
კარგ ჴმა გაწყობილად,
შაექცეოდნენ.
ყვავილით გაქონდა გაშლილის ზიზინი,
დაგლიჯეს დაწნეს მისი გვირგვინი,
რაც ქალი იქ იყო,
ყველამ თვითო იწყო,

თავისათჳსა.

მარტოს ვერ სწნევდა აეორის ვარდიანსა,
წავიდა ჭალასა შორს ვარდიანსა,
ყვავილთა სამებრად,
ვარდისა საკრებლად,
თავის კონისათჳს....
მოესმა შორით ნეტკვთა ჯმობანი,
ეგონა ქალთა თამაშობანი,
სითაც ესმა სტჳნა,
მიჰყვა იქითკენა,
ყვავილთა კრებასა.
ალმართით ავლით რა გარდიხედა,
მუნ მწყემსი დახვდა სად წყალი სჩქერდა,
შეშიდა შაჰყვრა,
გაქცევა აპირა,
ველარ გაბედა.
მალმალ შაჰყვრა ვამე ვამეო,
რა დღე მექნების ან რა დამეო,
მას მწყემს გაუკჳრდა,
თქვა რა გაუჭირდა,
სწრაფ გამოიქცა.
მივიდა ჰკითხა: ვინ ხარ რა მოხდა,
რამ შეგაყვრა წინ რა შემოგხვდა,
ჴელი ჴელს მოუკიდა,

თვალით ცრემლი მოსწმინდა,
სცა ნუგეშინი.
ქალმან რა ნახა იმ მწყემსის ჭირი,
სულ დაავიწყდა რაც სჭიროდა ჭირი,
მწყემსი: შეუყვარდა,
ფერხთ ქვეშ შეუვარდა,
შესცინა პირსა.
ქალმან მიუთხრა მწყემს საყვარელო,
დღეს ჩემო. მცველო ჲ დამფარველო,
მეც სიტყვს დასტური,
რაც ვსთქვა მიგდე ყური,
მისმინე თქმული
რადგან შენ გახდი ჩემი მალ ღონე,
რაც მოგახსენო ეს გამიგონე,
დღეს შენგნით მევონა,
ჴსნა აღარ მეგონა,
ჩემის თავისა.
ეს კონა წნული იყოს შენია,
მე ვარდი შემქენ იყავ შენია,
გაშინჯე შენც ნახე,
ჩემი პირის სახე,
თუ გონდეს მითნიე.
მწყემსმა ქალის უთხრა: ნუ ასჩქარდები,
ჯერ შენვე გაქვნდეს შენი ვარდები,

ცოტა მოიცადე,
საქმე გამოსცადე,
შეიტყვებ მართლა.
ჯერ დაივიწყე ჰკვნესა და ვიში,
თქმული სიყვარულის შეიქსოვ შიში,
კარ გულით შემკრთალი,
არეულა მართალი,
ცოტა ჯანს საქმეს დაუგდოთ ყური,
ლხინიური არის თუ ეშმაკური,
დღეს შევიყარენით,
რად შევიყვარენით,
გსცნათ ერთმანერთი.
თუმც მსურს შენის ნებით მიყოლა,
მაგრა შიშითა გულში მაქვს მრწოლა,
ვინც რომ დაგვინახავს,
დაგვწობს და გვიძრახს,
უწესურს საქმეს.
ქალმა მიუთხრა: რამ შეგაშინა,
ჩუენ ორთ ხმარის ტყეში ყურს გვიგდებს ვინა,
მწყემსმა რა ისმინა,
გულით გაიცინა,
ამ სიტყვაზედა.
ქალმან მწყეს ჰკითხა გასაცინარი,
ჩემგნით რა გესმა მითხარ ვინ არი,

აქ ჩუენი მნახავი,
რომ იქმნას მზრახავი,
ვისგან გეშინის.
მწყემსმა ქალს უთხრა თუ შენ მომისმენ,
სანამ ვიტყოდე ჩემს თქმულს მოითმენ,
ვისიცა მაქუს რიდი,
ან მე შიში დიდი,
გეტყვი ყველასა.
შენ ყური უგდე ჩემს ლაპარაკსა,
მე მართალს გეტყვი ერთსა არაკსა,
ყოვლის სოფლიელსა,
ვერ ნახავ ტიელსა,
არ ჰყვანდეს ცოლი:
ოდეს ქმნა ღმერთმან ადამ და ევა,
სჯულად უწესა ერთად შექცევა,
ერთად დაწოლა,
ერთად ატოლა,
არს მიერითგან.
ვინც უნდა ნახოს ლოგინზედ მწოლნი,
არვინ დასძრახავს გვერთ უწესს ცოლი,
აქუსთ უშიშრად მილი,
შექცევა ტკბილი,
სჯულიერებით.
ქმარნი და ცოლნი შეყვარებულნი,

გულით არიან გახარებულნი,
თავის სახლკარადა,
სხედან აშკარადა,
არ დამალულად.
შესაქცეველად, დადიან ბაღად,
უშიშრად ურცხვად ხუმრობენ ლაღად,
ჴელი ჴელით კიდებით,
თამაშით ჭიდებით,
ჴეთ ქვეშ მწვანეზედ.
უსჯულოებით შეყვარებულნი,
ცეცხლში დადიან შეპარებულნი,
ჯაგებში მკვრებიან,
ავს საქმეს შვრებიან,
აქვთ დიდი შიში.
ამ გვართ შიში მაქვს, ოთხის, ხუთისა,
ჩხიკვ. შაშვ. ყვავისა, კ.ც..სა, ღვთისა,
ამათ შეაშინეს
ვიდეც შეარცხვნეს,
დედ_მამა ჩემი.
რაც მათ უნდოდათ ვერც ის ქნეს კარგა,
მრავალი ქრთამიც მათ დაეკარგა,
რაც მათ მოეპარათ,
არც ის დაუფარათ,
გამოუმჟღავნებდათ.

ქალმან მწყემს უთხრა, წვრილიად მითხარო,
ეგ როგორი ქნილია, ან შენ ვინ ხარო?
შენ შემატყობინე,
მე გამცნობინე,
შენი თავიო.

---

იყვნენ ერთის დაბას მოსახლეე ორნი
გლეხნი, სიმდიდრით, საქონლით სწორნი,
ორივე ჭკვიანნი,
მართალნი ღვთიანნი,
კაცნი კეთილნი
ორთავ სამმახლოდ უჭირათ თვალნი,
მაგრამ არც ერთსა არ ყვანდათ ქალნი,
სურდათ მათ მოყვრობა,
არ ავად მოპყრობა,
ერთმანერთისა.
ჰყვანდათ ორთავე საცოლოდ ძენი,
მომზადებული ჭკვიანი, ბრძენი,
მამათა მორჩილნი,
დედათა ვით ჩვილნი,
ღვთის მარწმუნენი.
ამათ მოუხდათ ერთის დღეს ქორწილნი,

ორთა`ვ მიეცათ ერთს ღამეს შვილნი,
ერთს ვაჟი ყრმა წული,
მეორეს ასული,
ღმერთმან უბოძათ.
მათ ქნეს პირობა შევისხოვოთ ღმერთისა,
თუ გაიზარდნენ ვრთიოთ ყრთმან ერთისა,
ყოვალმან ინება,
მათ ლოცვს სმინება,
დაზარდა დიდნი.
იყვნენ ქალ-ყრმანი სახით შვენიერ,
მშვდ, დაბალი, კეთილი, გულით მეცნიერ,
ერთისა ხნისანი,
თექვსმეტის წლისანი,
ერთად შეზრდილნი...
რა ბიჭს დაუწყო გულის თქმა ბრძოლა.
მოიწადინა გოგოსთან წოლა.
გოგომ თქვა უარი,
უთხრა თუ ნუ არი,
ჯერ შენსა გულსა.
ჯვარ დაუწერლად მგმ საქნელი,
ნუ გჩანს ადვილად ცოდვა არს ძნელი,
ღმერთის ეწყინება.
საწოლით შეგინება,
უსჯულოებით.

აწ რომ შევსცოდო და მოუცლიად ვიღო,
ქვეყნად როგორღა ხმა ამოვიღო,
თუმცა ვარ საცოლით,
შვილი რომ მაყოლით,
მერმე რაღა ვქნა?
ჩვენ დაგვარქმევენ მეძავებს, მრუშებს,
და ჩვენს შვილსაცა ხომ იცი ბუშებს,
სახელი გატყდების,
ქვეყანა ასტყდების,
ჩვენს საძრახავად
იტყვან: რასთვის არ იქორწინეს,
და წარიმძღვარეს მათ წინაწინ ეს,
საქმე ქნეს ურცხვადა,
გვირგვინთ უკითხავადა,
შვილი იყოლიეს.
თუ ვისმე ჰეტყვი მე სიტყვებს მკვახებს,
ის ფირცხლავ ამას მე წამოიძახებს,
მე ვით მკიცხავ ურცხო,
თვით საქმე ჰქნეს უცხო,
საუნამუსო ...
ვარი მოვსთხარე და ნათესავნი,
სირცხვილით დავსჭერ ყველასა თავი,
საქმე ქნეს მტრული,
შენთანა ქალით ბური,

ალარ ეჭმების

მცირეს ხანს თავი ვერ შეინახე,
სჯული და ჴცნება არ დაიმარხე,
თავ დაუჭერლად,
ჯვარ დაუწერლად,
ბუში განაგდე.
მე ეს მაქვს მზითვად და ასე მინდა
შენ მოგიტანო მე თავი წმინდა,
მის დროს ვინც მნახოს
არ რამე მძრახოს,
ურიგო საქმე.
სჯობს ქალი მოკვდეს და დაიმარხოს,
ურიგო საქმე არ დაიძრახოს,
ქალით სახელი გატეხა,
არს თავთ მეხთ დატეხა,
მშობელთა თვისთა.

ნამუსიანად მქცეველი ქალი,
არს მარგალიტი მჭროვასი თვალი,
მოზილწე ქალი,
ქჩა ფიქალი მრქალი,
ქმრის საფლავთ ლიოდი.
ქალის გასათხოვარს საქმროს მოწეულს,
უჯობს სიწმინდე საცმელის მოწეულს,
უწმინდურთა ქალთა,

ოქრო ქსოვილით კალთა,
დაჰფარავს ვერა..
ქალით დანამშვენებს ჰირთ კალვა, ხალვა,
და უმეტესად ფარვა და კრძალვა.
თავის მრთელიად შენახვა,
მცნებათა დამარხვა,
სჯულითა და წესითა.
სჯობს მარგალიტსა, ოქროსა, ვერცხლისა,
კაცი არ ვარდეს სირცხვილის ცეცხლისა,
გთხოვ არ შემარცხვენო,
და შემანახვინო,
თავი დრომდისა.
ქვეყანა დაჰგმობს ჩუენს დედ-მამათა,
უდაბურს ჭალასა,
ხშირ ბალახ ჩალასა,
არ მოუხრიდეს.
რად არ იცოდენ არ აქუნდათ იჭვ,
თოთხმეტის წლისა გოგო და ბიჭი
რომ ერთად შეჰყარეს,
ერთმანერთის აყვარეს,
ამას იქმოდენ.
მეხსენ ნუ გამხდი მე უბედურად,
ჩუენს დედ-მამათ ამას საყვედურად,
ნუ დავდებთ თავსა,

ნუ ვიქმთ საქმეს ავსა,
მტერთ ნიშნთ საგებთა.
ოდეს დავსხდებით მეფე დედოფლად,
პირზედ დაგვესხმის ჩუენ ჭირის ოფლად,
თავთა შერცხვენითა,
არ ჩუენ მოლხენითა,
გვექნების სხდომა...
დედ-მამა გვეტყჳს: რად შეგვარცხვინეთ,
ქვეყანას თავი დაამრახჳნეთ,
რასთჳს მაიპარეთ,
თქუენ არ დაიფარეთ,
ქალწულებანი.
მე შენს საცოლოს შენ შესართავსა,
ნუ იქ სირცხვილით ნუ მამჭრი თავსა,
სჯობს გამომჭრა ყელი,
და არ მახლოს ჴელი,
ჯერ საიმისოდ.
თუ შენ მე გამხდი სასაცილოდ,
მე მოგიკვდები უსაცილოდ,
შენ წაიშჳნ თავსა,
ტანთ ჩაიცვამ შავსა,
შეიქმ ნანვასა.
ბიჭმან რა უგდო გოგოს თქმულს ყური,
სიტყუა შეწამასნა მან ეშმაკური,

ჯვარის დაწერა,
არსადა სჩანს ჯერა,
მოუვიცდი ვერა.
ბებია მომიკჳდა, პაპაც მიკჳდება,
მათ ჩუენ ქორწილი გვიგვიანდება,
მოწყენით არიან,
არავის ცალიან,
ჩუენს საქორწილოდ.
მართალს მოგითხრობ მე ვერ მოვითმენ,
შენ მალე დავთმობ თუ არ მომისმენ,
შენ ქალი ხარ წმინდა,
მალოზნობა გინდა,
მე სხვას მოვნახავ...
ბიჭი შემოწყრა წავიდა განგებ,
თქუა შეშინდესო ეს გოგო აგებ,
სხჳს გოგოს ხუმრობით,
თამაშით ხუმრობით,
აჩუენა თავი.
გოგომ რა ნახა სხჳასთან მისული,
ჯავრით ამოხდა მას თითქმის სული,
მეტადრე ეწყინა,
გული მას ეტკინა,
შეშინდა დიდად.
იფიქრა ვაი, თუ სხჳაზედ სცდესო,

მისგან ცოლისქმრობა ჩუენ წაგვხდესო,
მან სხუა შეიყვაროს,
მე გულის გამიყაროს,
სევდის ლახვარი.
ბიჭს უთხრა მწადდა გვექნა ლხინის რიდი,
შეჯუღლით უწესურად ქანწულთა ხიდი
ჯერ არ დაგვემალა,
მცირედ დაგვეცალა,
ჵ არა ჰქენი.
სიჭასთან ცოდვაში შენს ჩავდებასა,
ისევ სჯობია ვიქმ შენს ნებასა,
ჩამოუხსენ სხუასა,
მავით ლხინის რისხვასა,
ნუ მიიყენებ.
რადგან არ იშლი შენ მაცდან ძალის,
ხვალ ერთად ცხვარი წავასხათ ჭალის,
იქ. . . . .

---

შუაღამ ადგა გოგომ ილოცა,
ჩოქით მიწაზე მუხლით იცოცა,
მან თქუა: ღმერთო ჩუენო,
ცოლისქმრობის გამჩენო,

შენ გევედრები,
რომელიმან შექმენ ადამ და ევა,
აბრამს და სარას მიეც კურთხევა,
ჰყავ ჩუენზედ წყალობა,
ჩუენ გაყ ქალობა,
შენ დიდვარე.
ჩუენ თუმცა მცნება ვერ დავიმარხეთ,
სჯულით უწესურად ჩუენ განვიზრახეთ,
ხვალე ერთად შაქცევა,
შენმა თუ გაქცევა,
ყავ ნება შენი.
უკეთუ ჯერ არს ესე საქნელად,
ნურას გვაკვიხდი საქმესა წყევად,
შენის მიშვებითა,
გვახარე შვებითა,
ჩუენ ერთმანერთთან.
უკეთუ არა ჯერ არს ესე,
შიში, სირცხვილი ჩუენს გულში თესე,
მცნება არ მარხული,
ჩუენი განზრახული,
შენ მოგვიშალე!
ბიჭი სურვილით გაცხარებული,
ადრიან ადგა გახარებული,
ცხვარნი გამორეკა,

გოგოს კარს დარეკა,
დრო არის ადექო.
ოდეს მირეკეს ცხვარი ჭალიაკად.

. . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . .

მუნ თურმე კაცი შეშისა სჭრიდა,
მათი ხმა ესმა, თქვა რა გაჭირდა,
მივიდა მან ნახა,
მათ თავს დაძრახა,
რა გაყურებთო.
მათ ვერათქვესრა ჩაუვარდათ ენა,
შიშით, სირცხვილით გულის მიხვდათ წყენა,
მან კაცმან რა ნახა,
დაგმო, დაძრახა,
ორნივე დალანძღა.
კაცი უკანვე გაბრუნდა ჩქარა,
ორთავ დასახოვა დიდი მუქარა,
რაც მოგიპარავთო,
ვერ დაგიმალავთო,
ქურდობა თქჳენი.
თქჳენს დედ-მამასთან გკითხავ მაგასო,
ორთავ მკალი მად რამ დაგასო,
თქჳენ რად მვრებოდით,
ჭალის ქურდობდით,

იქ გაიქმევინებთ.

ბიჭმან მიუგო: ეს სჯობს მაგასო,
მე შენ კარგ გვარად სასმელი გასო,
დაგიკლა ჭედილი,
წინ ვერცხლით ჭედილი
დაგიდგა კულა,
ქრთამად მოგართვა ოქრო და ვერცხლი,
რომ არ მოგვიდგა სირცხვილის ცეცხლი,
აგავსებ მღვენითა,
ჩუენის შარცხვენითა,
შენ რა გერგების.
ის კაცი იყო მათი მოყვარე,
იმავ სოფლისა არ შორს მოსამზღვრე
ახლოს ნათესავი,
ერთად მხვნელი მთესავი,
განაყოფობით.
გულით უყვარდა ბიჭის მამასა,
მამა ბიჭისა აგრეთვე კაცს მასა,
მის გამოვისადა,
საქმე ქნა ღირსადა,
იმა ბიჭისა;
ასე სთქუა გულში, ქრთამს რომ დამპირდა
მოდი გამოვსცდი ვსცნობ როგორ ღირდა,
უთხრა არ გაგცემო,

თუ რასმე მამცემო,
იმა ბიჭსა.
ბიჭმან დაუკლა მსუქანი ცხვარი,
პური იშოვნა მან გამამცხვარი,
გოზაურით ღვნო,
გულითა სალხინო,
დაუდგა წინა.
მამას მოჰპარა მან ვერცხლის თასი,
იყო წონითა დანგი ათასი,
მისცა მას ფასადა,
შენ სთქვო არსადა,
ჩვენნი საქმენი...
გამდა დაითრო წამოდგა კაცი,
დალიოცა ქაცვ ვითა რომ ჭაცა,
ვინცა ქურდულებ,
აქ იმალულებ,
ღმერთმან დაგზარდოსთ.
მე დღეს ეგალმა კარგს ბედს შემყარა,
მოჭდელმან აკურთხოს სადაც ეყარა,
მას აშოროს ცეცხლი,
მაშოვნინა ვერცხლი,
დამათრო ღვნით,
ამ ჟამს წავიდებ ქალაქს გავყიდი,
ვარგა გამივა, თასია დიდი,

ბევრს მამცემენ აბაზს,
ცოლის უყიდი კაბას,
შვილთა ჩოხებსა.
აილო კაცმან ცხვრის ტყავი შავი,
ნარჩომი ხორცი მოუხარშავი,
რაც რომ ედვა წინა,
თქვა წავიღებ შინა,
სულ წამოხვეტა,
თქვა დავპატიჟებ ჩემს მეგობრებსა,
ჩემგნით ადვილად არ საგმობარსა,
ამ ბიჭის მამასა,
შეუგბობ ამასა,
დაუდგამ წინა.
იპყრა ჴელით კაცმან ის გოზაური,
მან ბიჭმან შექნა აურზაური,
თუ კი არ გვინდობო,
ეშმაკობ ფილიდობო,
ეს რად მიგაქვსო...
კაცს დაეჭიდნენ გოგო და ბიჭი,
რად გალიექსესო კაცი და ლიჭი,
ამად დაგქრთამეთო,
გასვთ, გაჭამეთო,
რომ დაგფარა.
რადგან შენ აგრე გამოგვაცხადე,

მკალზედ დაგვსხი იმედად გხადეთ,
ჩუენ რად მოეცეთ ფასი,
მოგვეც ჩუენი თასი,
კაცს დაეჭიდნენ.
კაცმან მათ თასი არ დაანება,
მათ კაცს დაუწყეს ლანძღვა, გინება,
ბიჭს ჯოხი უცხუნა,
სისხლით უთხუნა
თავი და პირი.
ბიჭი მოჩივრად გაგზავნა წინა,
თჳთონ უკან მიჰყვა მოვიდა შინა,
დაწვა დაიძინა,
ადგა მაიწყინა,
დაჰკიდა თავი.

(გაგრძელება შემდეგში.)

## საწყალი პატრის ცხოვრება (*)

### ნამდვილი შემთხვევა.

იე დეკემბერი **1664** წლისა,

(ნათარგმნი.)

დღეს მივიღე მე ათი გირვანქა სტერლინ-ნგი (ექვსი თუმანი) ჩემის ნაჩალნიკის რე-ქტორის სნერსტისაგან. ეს არის ნახევარი ჩემის წლის ჯამაგირისა.

როდესაც მე შევედი ყოვლის რექტორის კაბინეტში, ის იჯდა განიერს კრესლოზედ,

---

(*) რედაქცია უგულითადესს მადლობას უძღვნის უფ. ვ. დადებულაძეს ამ ყოვლად დიდებულის და კეთილგრძნობით აღსავსე შემთხვევის გადმო-თარგმნისათვს და, იმედოვნებს არ მოაკლებს კვა-ლად ამ გვართ ჩინებულთა შრომათა. რედ.

სტოლითან, რომელზედაც ეწყო ფულები; მე დავყარე რამდენჯერმე თავი პატივისცემით: იმან გადამიხადა მადლი მცირედის თავის დაქნევით და იმით, რომ მოიბრუნა შავი ფარჩის სალამური ქუდი კეფასაკენ რეკტორი მართალია კარგის შეხედულების კაცია; მე არაოდეს არ შემიძლიან ხოლმე იმასთან მისვლა შეუძრწუნებლად.

ყოველმა რეკტორმა მიმიშვირა ჴელი ფულებზედ, რომელიც სტოლზედ ეწყო. როდესაც გზაში ვიყავი ბევრსა ვფიქრობდი, რომ მეთხოვნა რეკტორისათვის მცირედის ჯამაგირის მომატება, ასჯერ შევთხზე და გადავაკეთე გულში ჩემი თხოვნა, და როდესაც მოვიდა დრო თქმისა გულმა ბაგბაგი დამიწყო.

რა უბედურება არის, რომ ვერ დავკარგე შიში იმ დროს, როდესაც მინდა ხოლმე რისამე თქმა უბრალოს რაზედმე, და თჳთქმის მაშინაც, როდესაც მინდა ვსთხოვო ხოლმე დამსახურებული! მე ისე აღელვებული ვიყავი, თითქო ვბედავდი რასმეს ცუდს საქმეს, ვსცდილობდი გამეხსნა ღრანჭი, მაგრამ ტუჩები მითრთოდენ და ხმაც მიწყდებოდა, ყვე-

ლოაყური მღალატობდა მაშინ—ჰაზრიც, სიტყვაც და ხმაც. პირზედ ჩამომდიოდა ცივი ოფლი.

—რა დაგმართია? მითხრა რექტორმა.

—არ შემიძლიან მეთქი, მოვახსენე, ვაცხოვრო ასე ცოტა ჯამაგირით! როგორთუ ცოტა ჯამაგირი! ოცი გირვანქა სტერლინგი (თორმეტი თუმანი) წელიწადში ცოტა არის? კარგათ დაფიქრდი რას ამბობ? ღმერთო! ერთი რომ ვსთქვა სადმე, მაშინვე გამოჩნდება სხვა პასტორი თხუთმეტს გირვანქა სტერლინგათ—აი რა იყო პასუხი რექტორისა.

—თხუთმეტზედაა? შესაძლებელია: თუ რომ ის მარტო იქნება, უცოლოშვილო, შეუძლიან როგორმე იცხოვროს, მოვახსენე მე

—ყვავილო პატრო, იმედი მაქვს თქვენ სახლეულობას არა მომატებიარა?

—თქვენ ლურის ქალის მეტი ხომ არავინა გყავთ?

—ეგ მართალია, მაგრამ მე, მაგრამ ისინი იზდებიან. უფროსი ჩვენი არის ეხლა 18 წლისა, უნცროსი პოლოლი მალე შეიქნება

14 წლისა;

— ეგ უკუეთესი: იმათ შეუძლიანთ იხელოსაქმონ.

მე მინდოდა კიდეგ მეთქჳა რამე, მაგრამ იმან მომცა დროება, მივიდა ფანჯარასთან, დაუწყო რახუნი თითებით მინასა და მითხრა:

— მე არ შემიძლიან დღეს თქჳენი საქმე გავარიგო რამე. იფიქრეთ, შეგიძლიანთ ამ ადგილზედ სამსახური ოც გირვანქა სტერლინგზედ და ბოლოს როგორც გარდასწყვეტოთ შემატყობ..ნეთ; თუ რო არ შეგიძლიანთ, მაშ ვისურვებ თქჳენთჳს, რომ ახალის წლისათჳს იპოვნოთ ადგილი უფრო უკუეთესი გამოსარჩენი.

ბოლოს თავაზით თავი დამიკრა, აიწია ქუდი, მე ავიღე ფული, გამოვედი და გზა-გზა ვბურტყუნებდი რაღასაც, რომლითაც ვითომც ვსახავდი, რომ არ მოეკლოს თჳსი განწყობილობა, მაგრამ ისე ვიყავი, როგორც მეხდაცემული. თავის დღეში ისეცივად მე იმას არ მიუღივარ; ყაყოთ ვიღაცამ დამაბეზღა მე იმასთან. მე უწინ სადილათაც მიმიპატიჟებდა ხოლმე, და 1 წორეს ვიტყჳ დღეს მეტადრე მოველოდი ამ დაპატიჟებას,

მიტო, რომ გრიკლეიდამ ვიყავი წამოსული განთიადზედ და მშიერი.

მე შევედი მეპურესთან, ვიყიდე პური და გავუდექ გზასა, მაგრამ რა ჰხვედა, რა სასოწარკვეთილება იყო ჩემი მგზავრობა გზაში! მე ვსტიროდი, როგორც ყმაწვილი და ცრემლები სცვოდა პურზედ, რომელსაცა მადიანად ვსჭამდი.

ოხ ტომასო, არა გრცხვენიან შენის სისუსტისა, ვეუბნებოდი ჩემს თავს, განა ღმერთი შენი შემწე აღარსად არის, სრულებით რომ წევრთმიათ ადგილი?

შენ გაკლდება მხოლოდ მეოთხედი შენის ჯამაგირისა! მართალია 15 გირვანქა სტერლინგიდამ შენ უნდა ჩააცვა და გამოჰკვებო სამი სული, მაგრამ რა გაეწყობა? ვინც აძლევს ველურს ყვავილებსა, თეთრსა ტანსაცმელსა, და ყმაწვილთა ყვავთა საზრდოსა, არ შეუძლიან, რომ შენცა?... მაგრამ ცოტა უნდა შეეამცირო ჩემი უწინდელი ბედნიერი ცხოვრება!

ივ-ს დეკემბერს.

ჩემი ჟენნი სწორეთ ანგელოზია; სული მისი უფრო მშვენიერია იმისს ჴორცზედ; თჳთქმის მე მრცხვენიან იმის წინ; ის უფრო კეთილმსახური და მტკიცე არის ჩემზედა. გუშინ აღარ მქონდა იმდენი ღონე, რომ მეთქვა საწყალი ჩემი ქალებისათჳს ახალი ჩუენი უბედურება

დღეს როდესაც მოვემზადე სათქმელად, ჟენნმა ჯერ პირველად მოიწყინა, და მერე სახე იმისი ისევ შეიქნა მხიარული, და მითხრა: რა გაწუხებს თქუენ მამაო? როგორ არ მაწუხებს საყვარელო ასულო? როგორ უნდა გამოვიდეთ ვალებითგან, მწუხარებიდგან? მე თითონ არ ვიცი როგორ უნდა ვიცხოვროთ, ჯერ ჩუენ ეხლაც ბევრი რამე გვაკლია: «15 გირვანქა სტერლინგით ჩუენ მიუცილებელიც ბევრი რამ დაგვაკლდება. ჟენნი მომეხვა ერთი ხელით და მეორე მიმიშვირა ცაზედ. — დაფიქრდი იმაზედ, ვინც იქ არის, მითხრა იმან, პოლლიც მომიჯდა გვერდით და მითხრა: მე მინდა მამაო გითხრა შენ რაღაცები: წუხელი ვნახე მე სიზ-

მარი, ვითომც ახალი წელიწადი იყო, და თითქო კოროლი მოვიდა კრიკლედში, ეს შენთვის დიდი პატივისცემა იყო. კოროლი ჩამოხტა ცხენიდამ ჩუჱნ სახლთან და შემოვიდა ჩუჱნთან, ჩუჱნ კუხნაში არ ვიცოდით როგორი სადილი უნდა გაგვეკეთებინა; მაგრამ იმან თითონ უბძანა საჭმელების მოტანა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლებითა, მუზიკას უკრავდენ ქუჩებშია, და შენ, საყვარელო მამაო, მოგიტანეს ფარჩის ბალიშზედ ეპისკოპოზის მანტია და ქუდი იმ გვარი, ძველი წიგნებში რომ არის დახატული, შენ აიღე და თავზედ დაიხურე. ქუდი ძალიან გიხდებოდა და მეც მიხაროდა. ეს სიზმარი უთუოთ მოასწავებს რასმესა, და ნუ დაივიწყებ, რომ ორის კვრის უკან ახალი წელიწადი იქნება. სიზმარი არაფერს არ ნიშნავს მეთქი, უთხარი პოლილისა; მაგრამ დავ..ხსომებკი ამ საკვირველს სიზმარსა, იქნება როგორმე ბედნიერათ აღსრულდეს, მაგალითად ვსთქვათ: იქნება ვისიმე საჩუქარმან საახალწლოთ გამომიხსნას მე გაჭირვებისაგან.

სრული დღე ანგარიშებში ვიყავი; მე

არ მიყვარს ანგარიში; ციფრები ტვინს მირყევენ და გულს მიწუხებენ ხოლმე.

---

იზ. დეკემბერს.

მადლობა ღმერთისა გადავიხადე ჩემი ვალები. ხუთ ადგილს დავურიგე შვიდი გირვანქა სტერლინგი; დამრჩა მე სამი გირვანქა; ამ ფულით უნდა ვიცხო-ვროთ ნახევარ წელიწადი. ღმერთო, გადმოიხედე შენის მოწყალებების თვალით! მე უნდა თავი დავანებო შავს ქვეშ ჩასაცმელს კაბას, რომელიც მე მკერვალს კუტებოსთან ვნახე. თუმცაკი ეს ჩემთვს ძალიან საჭირო იყო; თუმცა ის ნაცვეთი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ მაგარი იყო და კუტებო მომყიდდა მე იმას იეფათ. ჩემ ჟენნისაც მჭირდება კაბა. მე ძალიან მებრალება საწყალი ჟენნი, როდესაც დავინახავ, რომ ის საშინელს სიცივეში დადის მარტო ერთის მსუბუქის კამლოტის კაბით. პოლლიკი უნდა დასჯერდეს იმას, რომ ჟენნიმ თავის ძველი კაბა გამოუკერა იმას.—

---

იჱ დეკემბერს.

მე გაზეთებსაც უნდა თავი დავანებო, რომელსაც ვიბარებდი ხოლმე ფეიქარს ვესტბრინთან სანახევროთ. ეს დიდი დასაკლისია, უგაზეთოთ კრიკლეაშიდ არ იციან რა მოხდება მთელ ქვეყანაზედ, მაგრამ რა გაეწყობა.

ოჰ ტომას, სირცხვილია! შენ კიდევ დროტვინავ, და რაზედ? იმაზედ, რომ გაზეთებს ველარ წაიკითხავ, როგორ სირცხვილი არ არის ესე! შენ გაგონებითაც შეიტყობ თუ რას შვრება ღენერალი პაოლი კორსიკისათჳს. ოჰ როგორი ბედნიერები ვართ თჳთ სიღარიბეშიაც! ერთ შაურათ ჟენნის უყიდნია დალიალის ბერიდისაგან კარგი ძველი კაბა და ახლა ისა და პოლლი არდგევენ, რომ ახალი შეკერონ. ჟენნიმ თავის საქმე კარგათ იცის, ჩემზედ უკეთ ვაჭრობსქვინ არ დაემორჩილება იმის ტკბილს ხმასა? ეხლა ჩემს სახლში სიხარულია, საახალწლოთ ჟენნის ექნება ახალი კაბა. ამ შემთხვევაში პოლლი ცდილობს სოფიას რამეწინათმოსწავებაზედ სხუა და სხუაგვარზედ.

მგონია ელიზერის დეისაც არ მიუღია ესრეთის კმაყოფილებით დიდი საჩუქრები ვენეციანელებთა: ორი ბრილიანტის ბეჭედი,

წყვილი საათი ბრილიანტით მოჭედილი, ტამბაჩები ოქროთი დაფერილები, ძვირფასი ხალიჩები, ყურაგირები და ოცდა ათი ათასი ცხენი (ფული). ყველნი ფიქრობს, რომ ხარჯი უნდა შევამოკლოთ სადილი ვახშმისა, იმის ვალის გამოსახსნელად. ამ დროიდგან ახალი წლამდის ხორცს აღარ ვიყიდით; ეს კარგია!

ფეიქარი ვესტბერნი კარგი კაცია! მე ვუთხარი იმას გუშინ, რომ აღარ შემიძლიან მეთქი ამხანაგობა გაზეთების დაბარებაში, რადგან რამოდენიმე ნაწილი ჯამაგირისა მაკლდება მეთქი, და არც ვარ დარწმუნებული თუ დავრჩები ჩემს ადგილზედა მეთქი. იმან მომიჭირა ჴელი და მითხრა: მე მარტო დავიბარებ გაზეთებსა, და შენ შეგიძლიან, მუქთად იკითხო ისინი რამდენიც გინდაო.

ეს გვაჩვენებს, რომ კაცი არაოდეს სასოწარკვეთილებაში არ უნდა იყოს. ქვეყანაზედ უფრო ბევრნი არიან კეთილნი კაცნი იმათზედ, რამდენსაც ჩუენ ვფიქრობთ.

---

საღამო იმავე დღისა.

მეპურე საშინელი ამაყი კაცია. მე გარ

დავიხადე სრულებით იმისი ვალი, და როდესაც პოლოლიმ უთხრა, რომ დღევანდელი პური პატარა და დამწვარიაო, იმან ისეთი ყვირილი დაიწყო, რომ ქუჩაში შეიყარა ხალხი; მერე სთქვა, რომ ამას იქით ნისიათ აღარ მოგვცემს და თუ გვინდა, შეგვიძლიან სხვაგან ვიყიდოთ ხოლმე პური. საცოდავი სანახავი იყო აქ პოლოლი; ჩვენ ძლივს განუგეშეთ ის.

მე ვერ მიმხვდარვარ, კრიკლედელებმა როგორ იციან წინ და წინ ყველა ახალი ამბავი. ჩვენ სოფელში ყველგან ლაპარაკობენ, რომ ჩემს ადგილზედ მოდის ახალი პატრი, რომელიც დოკტორს სნერტს დაუნიშნავს ჩემს მაგიერათ; ეს ჩემი სიკვდილი იქნება თუ მართლა მოხდა.

ეტყობა ყასაბსაც შეუტყვა ეს ამბავი: იმას ეხლა გამოეგზავნა ჩემთან ცოლი, რომელმაც დაიწყო ჩივილი ცუდ დროებაზედ და გამომიცხადა, რომ ამ დროდგან უნდა წამოვიღო ხოლმე იმისგან ხორცი ფულით. მაგრამ ეს დედაკაცი იქცეოდა ძალიან ზდილობით. იმან რამდენჯერმე განამეორა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ სიყვარული და პატი-

ვისცემა სრულიად სოფლის ხალხისა, ის ვჭირჩევდა, რომ ჩუენ ვიღებთ ხოლმე ხორცსა ნისიათ ჭოლისკუდში იქაურის ყასაბისაგან, რომელიც არის მდიდარი და მეყმლიან გადროვოს ხოლმე ფულის მიცემა. მე არ მინდოდა მეთქუა იმისთვს, რომ ის ყასაბი ერთის წლის წინეთ გვაძლევდა ხოლიმე ცუდს ხორცსა და იღებდა ჩუენგან თითო გირვანქაში თითო კაპეიკს მეტსა და რომელსაც მე გამოუცხადე მას ეს სიყალბე, მაშინ მე მითხრა იმან, რომ ამას იმისათვს ვშრებით, რომ თითო წელიწადს ყვან ძლივს ავიღებ ხოლმე შენგან ფულისაო, და ის მეტი კაპეიკი ცოტაოდენი სარგებლიანო.

მე დამრჩა ორმოცდა ერთი შილინგი და სამი პენსი. ამით როგორ უნდა ვიცხოვრო რამდენსამე თვესა? ნისიათ აღარავინ რას მენდობა; და თუ რომ რექტორი სნერტი ჩემს ადგილზედ გამოგზავნის სხვა პასტორსა, მაშინ მე დავრჩები უპუროთ, ცარიელი ქუჩაში, რა გაეწყობა? იქაც ღმერთი არის.

---

ითოს დეკემბერს.

დღეს მე ძალიან ადრე გამომეღვიძა და

ვფიქრობდი რა უნდა ვქნა ამ სამწუხარო ჩემს მდგომარეობაში.

მე მომაგონდა ჩემი ბიძაშვილი სეტტინეი, მაგრამ ყველა ღარიბი უნათესაო არის. პოლონის სიზმარი რომ აღსრულდეს და მე საახალწლოთ საეპისკოპოსო ქუდი მივიღო. მაშინ ნახევარი ანგლიის ნათესავათ გამომიჩნდება. მე დავსწერე და გავუგზავნე ფოჩტით რეკტორს სნერტს აი ამ გვარი წიგნი: გწერთ ამ წიგნსა შიშით და მრწოლით. აქ ყველანი ამბობენ, რომ თქუენ ნებულობთ აქ სხუა პატრის გამოგზავნასა ჩემს ადგილზედ. არ ვიცი ეს ლაპარაკი მართალია თუ არა და თუ მოხდა ეს ლაპარაკი უკანასკნელის ჩემის თქუენთან ყოფნის მიზეზით; თქუენ თითონ იცით, რომ სინიდისით და სარწმუნოთ ვასრულებდი ჩემს ვალდებულებას, და კეთილ მხიარულად ვქადაგებდი სიტყუასა ღუთისასა ჩემზედ არვის არ უჩივლია, და სინიდისი ჩემიც მე არას მამხილებს. მე უმოჩილესად გთხოვეთ მხოლოდ მომატება მცირედის ჯამაგირისა. თქუენ ამის წინაღმდეგად მიბძანეთ მოკლებაც ჩემს ჯამაგირზედ, რომელიც ვერა მყოფნის თჳთ მიყცი.

ღებელ საჭიროებაზედ თქჳნმა კეთილშობილურმა გულმა შემაბრალოს მე, მე ვმსახურებ აქაურს მრევლში თექვსმეტი წელიწადი, რაც თქჳნ რეკტორობთ, დაგნიშნესთ მას აქეთ მე ორმოცდა ათის წლის კაცი ვარ, თმა მითეთრდება. რადგან არა მყავს მეგობრები და მფარველნი, არა მაქვს ღონისძიება სხჳა ადგილი შოვნისა. და არცა ვიცი სხჳა ღონე ცხოვრებისა, სიცოცხლე ჩემი და ჩემის ქალებისა თქჳნ ხელშია. თუ რომ თქჳნ თავს დაგვანებებთ, მაშინ დაგვრჩება ერთი ღონისძიება — მოწყალება უნდა ვითხოვოთ.

ჩემი ქალები ახლა სრული წლოვანნი არიან, და თუმცა მალიან გამფრთხილებელნი არიან, მაგრამ მაინც ბევრი ხარჯი უნდათ. უფროსი არის დედის მაგიერათ სახლში. ჩჳნ არ გვყავს მოახლე, ჩემი ქალი არის მეკუხნეც, მრეცხელიც, მკერვალიც და ხარაზიც და მეც ვაკეთებ ყველაფერს, რასაცკი გააკეთებს ხურო, კალატოზი, მებაღე და მეშეშე.

აქამდინ ღმერთი გვიფარავდა ავათმყოფობისაგან, თორემ წამლის ფასის გარდახდა არ

შეგვემლოთ. ჩემი ქალები ტყუილად ეძებდნენ გრიკლეაშიდ სამუშაოსა, აქ ასე ლარიბნი არიან ყველანი, რომ სული თითონ აკეთებენ ყოველის საქმესა. სამძიმო იყო ცხოვრება თორმეტი თუმნით, ახლა როგორ უნდა ვიცხოვროთ რვა თუმნით. მივენდობი პირველად ღმერთისა და მერე გაცთ მოყვარებასა და გთხოვთ გამოვიხსნათ გაჭირვებისაგან.

დავწერე ეს წიგნი, და მანამდის პოლოლი წაიღებდა იმას ფოჩტაში, მე დავეცი მუხლზედ და ვეხვეწებოდი ღმერთისა სასიამოვნო ანბის მიღებაზედ. ლოცვამ შემძინა მე საკვირველი განსვენება. სიტყვა თქმული ღმთისა მამართ, არის კიდეც მოწყალება იმისაგან მიღებული. მე გამოვედი ოთახიდამ შემსუბუქებული. მაშინ როდესაც მე აქ შევედი ერთობ მწუხარე. ყველნი მუშაობდა ფანჯარასთან. იქ იჯდა ის ყმანკოებითის მოსვენებით. მზის სხივი ბრწყინავდა იმის პირზედ და ანათებდა ოთახსაც. მე მეჩვენებოდა, ვითომც გადაყვანილი ვიყავი ზეციურს სადგურებში. მე მივუჯექი საწერ სტოლისა და დავსწერე ქადაგება ღარიბის სახა-

რუელიზედ.

მე ვქადაგებ ეკკლესიაში რამდენსაც სხვისათვს ეგოდენ, ჩემთვსაც; თუ რომ ჩემი დარიგება არ შეიქმს კაცსა უმჯობესათ, მე ვისარგებლებ მაინც იმით საკუთარის სრული ყოფისათვს. პასტორი ჰგავს მკურნალსა, რომელიმაც იცის ძალი წამლისა, მაგრამ ისვი ყოველთვს აღარ იცის თუ როგორ იმოქმედებს ის წამალი სნეულზედ.

---

იმავე დღეს.

დღეს დილით მივიღე მე ბარათი ტრაქტირიდგან, უცნობის კაცისაგან, სადაც იმას ღამე გაუთევვია; იმას მივეწოდებინე თავისთან რაღაც დიდ საჭირო საქმეზედ.

მე მაშინვე წაველი. უცნობი კაცი არის მშვენიერი ყმაწვილი ოცდა ექვსის წლისა სახე მისი არის კეთილშობილური. ის იყო ძველის სერთუკით და ტალახიანის წაღებით და ქუდით, რომელიც უეჭველად ჩემს ქუდზედ ძვირათ ეღირებოდა თუმცაკი სჩანდა უფრო იმაზედ ცუდი. არა მიმხედი ამ ღარიბის ტანისამოსისა, ის უცნობი არა ჰგვანდა

უბრალო კაცსა პერანგი ეცვა წმინდა ტილოსა მე ვიფიქრე ეს უთუოთ ვისიმე საჩუქარი იქნება.

მე გადამიყვანა გვერდზედ, ასჯერ მოითხოვა ბოდიში, რომ გაბედა ჩემი შეწუხება და ბოლოს კრთოლვით გამომიტყდა, რომ ის იმყოფება გაჭირვებულ მდგომარეობაში და რადგან კრიკლედში ვერავის იცნობდა, მოჰმართა ადგილობრივს პასტორსა. ის იყო როგორც თითონ სთქვა, აკტერი. ის არის ეხლა უთანამდებოთ, უნდა წასვლა მანჩესტერში, მაგრამ არ შეუძლიან ტრახტირის პატრონთან გასწორება, და უმორჩილესად მთხოვს ვასესხო თორმეტი შილინგი, და როგორც იშოვნის ადგილსა და ლუკმა პურსა რომელსამე ტეატრში უეჭველად გამოგიგზავნის. სახელი და გვარი იმისი არის ჟონ ფლიტმანი.

სახე იმისი გამოჩენდა მომატებულს მწუხარებას მანამ იმისი სიტყვები: უთუოთ იმისთანა გამოხატულება შენიშნა ჩემს პირზედაც, ამისთჳს რომ. როდესაც შემომხედა, დიდის შეწუხებით მითხრა: ჴელს არ გამიმართავ? მე გამოუტყდი და უთხარი, რომ

ის მოხუვდა მესამედს იმ ფულისას, რაცგი მეზადა, მაშინ როდესაც ისიც არ ვიცი დავრჩები ჩემს ადგილზედ თუ არა: მაშინ იმან მითხრა: თქჳენ მაძლევთ პასუხს თქჳენის საკუთარის მწუხარების აღწერით; რა გაეწყობა, აღარასა გთხოვთ, მაგრამ როგორ არავინ უნდა იყოს თქჳენს ქალაქში ღარიბი გარნა შემბრალებელი კაცი?

მე შევხედე იმას და თითონვე შევწუხდი. შემრცხვა რომ მოუყევი საკუთარს შეწუხებულს მდგომარეობას და ყარს ზოდიშათ. იმავე დროს ვცდილობდი მომეგონა თუ ვინმე არის ვრიკლეედში, რომელსაც შესძლებოდა შამწეობის ჩვენება და ვერავინ მოვიგონე.

მე მივედი უცნობ კაცთან დავადე ხელი მხარზედა და უთხარი: უ. ფლოიჭმან! თქჳენი მდგომარეობა მაწუხებს მე, მე ჩემი მწუხარება გითხარით თქჳენ, მაგრამ შეწევნითკი შეგეწევი, რამდენიც შემიძლიან, მოითმინეთ ცოტა, ერთს საათს უკან თქჳენ მიიღებთ ჩემგან პასუხს.

როდესაც დავბრუნდი შინ..სკენ გზაზედ ვფიქრობდი: საკვირველია, რომ უცნობმა კაცმა მე მომმართა და კამედიანჩივს მოაგონდა

პასტორი. უთიოვოთ ჩემში რამე არის იმისთანა, რომელიც მიიზიდავს ხალხსა, ყოველი გაჭირვებული პირველად ჩემთან მორბის, მაშინ როდესაც ჩემგან მიიღებს ხოლმე ერთობ მცირესა, მე ესეც შემინიშნავს რომ, როდესაც დაუმახნივართ უცნობ სახლში, სადაც ჰყოლიათ ძაღლი, მოსულა ისა და პირველად ჩემს კალთაში ჩაუდვია თავი, იმ იმედით, რომ გადაუგდოს ლუკმა პური.

როდესაც მოველი შინა, მე უამბე ქალებსა ჩემი საუბარი უცნობ კაცთან; მინდოდა გამეგო ამაზედ ჰაზრი ჟენნისა: მაშინ იმან მითხრა:

—მე ვიცი შენი ჰაზრი მამაო და რაღას ჰაზრისა მკითხავ მე.

—აბა როგორია ჩემი ჰაზრი?

—შენ იტყოდი გულში: მე შევამწევი ამ საწყალის ვომედიანჩივს, იქნება მეც შემეწიოს რეპტორის სწერტი,

—მე სრულიად არ მომიფიქრია ეგა, და მსურსვი რომ ეგ მომსვლოდეს მეც ფიქრათ.

მე ავიღე თორმეტი შილინგი, მივეცი ჟენნის და უთხარი წაეღო იმ მოგზაურისათვის,

მე არ მიყვარს, რომელსაც გლახაკი მადლობას მიცხადებს რაზედმე. მრცხვენიან ხოლმე იმა დროს, რომელსაც მადლობას მეუბნებიან, თუმცა უმადურობაც მაწუხებს ხოლმე, იმის გარდა მინდოდა დამესრულებინა ქადაგება.

---

სალამო იმავე დღისა.

ეს ყმაწვილი აკტერი უთუოთ კარგი ყმაწვილი კაცი უნდა იყოს. ჟენნიმ, რომელსაც დაბრუნდა ტრახტირიდამ; ბევრი ილაპარაკა ტრახტირის სახლის პატრონის ცოლიზედ. იმ ქალს ეთქჳა, რომ იმ მდგმრუს არ აქჳს ერთი კოპეიკი, ამაზედ ჟენნის ეთქჳა, რომ იმან მოუტანა რამდენიმე ფული, მაშინ ქალს დაეწყო, რომ დიდი უგუნურება არისო მიცემა ფულისა ვილაც მოწანწალისათჳს. მაშინ რომელსაც კაცს თითონ არა აქჳსო და უჭირსო თავისის შჳლების შენახვაო.

მე ისევ ქადაგებასა ვსწერდი, რომელსაც შემოვიდა ჩემთან ფლიტმანი მე არ მინდა ისე. წავიდე კრივლიეიდამ, რომ მადლობა

არ უთხრა ჩემს კეთილის მოქმედსა, მითხრა-
მან. ჟენნი ამ დროს სუფრასა შლიდა. ვახშ-
მათ გვქონდა ბოლოკი და ერბოკვერცხი.
მე მივიწვიე მოგზაური ვახშამზედ და ისიც
თანახმა შეიქნა. ეს საჭირო იყო, იმისთჳს
რომ, მგონია, არავერი ეჭამა დილიდამ.
პოლლიმ მოგვიტანა ლუდი დიდი ხანია
ისე გემრიელათ არ გვივახშმია.

ფლოტმანს, მგონია, მოეწონა ჩვენთან
ყოფნა. მწუხარებამ გადაიყარა იმის პირი-
საგან დარჩა მხოლოდ ფიქრი ჩვეულებრივი
საწყალის კაცებში. მნახველმა წესიერებისა
და სისუფთავისა ჩემს სახლში, ფანჯრების
სიწმიდისა, ფარდების სითეთრისა და საზო-
გადოდ სიფაქიზესი პოლიზედ და მებელზედ,
იმან იფიქრა, მგონია რომ მე ისე ღარიბი
არ უნდა ვიყო, როგორც ეგონა. ღარიბის
სახლში თვალი ხშირად შეეყრება უსიამოვ-
ნო უსუფთაობასა მაგრამ ჩემი ნიადაგი სათ-
ქმელი ცოლითან და ქალებთან ის იყო, რომ
სისუფთავე არის პირველი ღონისძიება ეკო-
ნომიისა, და ჟენნი ოსტატურად აასრულე-
ბდა ჩემს დარიგებასა. იმან გარდაამეტა სახ-
ლის მეურნეობაში თავის დედას და შეიქმნა

სახეთ თავის დისათვს. არცა მცირედი ლაქი არ დაივარებოდა იმისის შორს გამჭვრელის თვალისაგან

ვახშმის დასასრულიზედ სტუმარმა სრულიად გაგვიცნო ჩვენ; იგი უფრო მცირეს ანბობდა თავის მდგომარეობაზედ ვიდრემდის ჩვენზედ. ეტყობა იმ საწყალს დიდი მწუხარება აწვა რამე გულზედ. ხშირად საუბარის დროს სახე მისი შეიქმნებოდა ხოლომე მოწყენილი.ის ცდილობდა, რომ ეჩვენებინა თავი მხიარულიათ, მაგრამ ამაოდ. ღმერთო შეეწიე მას, ვამბობდი მაშინ.

როდესაც ის წავიდა ჩვენგან, მე მივეცი მას რამდენიმე რიგიანი დარიგება. მე ვიცი რომ აკტორები საზოგადოდ მსუბუქის ჰაზრის არიან. იმან ფიცით აღმითქვა მე გამოგზავნა ფულისა თავის დროზედ და რამდენჯერმე მკითხა, თუ რაოდენს ხანს შემიძლიან ვიცხოვრო იმ ფულითა რაც დამრჩა. აი იმისი უკანასკნელი სიტყვები გამოთხოვების დროს: «შეუძლებელია, რომ თქუენ იყოთ ამ ქვეყანას უბედურნი: მთელი ცა გაქვსთ გულში და ორნი ანგელოზნი გიდგანან მხარს უკან» აჰ, მგონია, ყენნის და

პოლოლიზედ მანიშნებდა.

---

ჟ. დეკემბერი.

დღემ გაიარა მოსვენებით. მაგრამ უსია-მოვნოთ; მედუქნე ლოლსტტერს გამოუგზავნია ჩვენთვის მთელი წლის ანგარიში. ანგარიში მეტი გამოსჩნდა იმაზედ, რამდენსაც ჩვენ ვფიქრობდით, თუმცა მედუქნეს არაფერი მოუმატებია იმაზედ, რაც ჩვენ გვეწერა მოემა-გასავლის წიგნში; მაგრამ ფასები მოემა-ტებინა ყოველს საგანზედ.

იმაზედ უარესი კიდევ ის არის, რომ მე შარშანდელიცა მმართებს და ის მთხოვს მიგ-სცე ეხლავე და მარწმუნებს, რომ თითონაც ძალიან საჭიროებს. ფული არის თვრამეტი შილინგი.

მე ვიცი იმასთან. ის არის კაცი მოლა-პარაკე და მომგებელი. მე მინდოდა დამეკ-მაყოფილებინა ის რამოდენიმე ნაწილის მიცემითა; მაგრამ ჩემა თხოვნამ ვერ შესძ-რა იმის გული, და გამომიცხადა, რომ თუ-საჭიროებამ მოიტანა, ის მიმართავს სასტი-კს ზომას, ამიტომ რომ თითონ უნდა გარ-

დაიხადოს ვალი სხვს თამასუქით აღებული. ვექსილისათვისაო, სთქვა იმან, ანგარიში ყვე ლაზედ დიდი საქმეაო. როდესაც დავხედე რომ, თხოვნით ველარა გავხდი რა, მივეცი მრთელათ ვალი. ახლა დამრჩა მე მარტო თერთმეტი შილლინგი. ღმერთმან ინებოს რომ აკტერმა გამომიგზავნოს დროზედ ფუ-ლი, თორემ არ ვიცით რით უნდა ვიცხოვ-როთ.

აი შენ, მცირედ მორწმუნეო, არ იცი რით იცხოვრო? ღმერთმან ხომ იცის! რის-თვს შეგიმრწუნდა გული? რა ბოროტი გიქნია შენა? სიღარიბე ხომ ბიწიერება არ არის, ვეუბნებოდი ჩემს თავსა.

მცირეთიც შეიძლება მხიარულება. ჩუენ გამოუთქმელის სიხარულით უყურებდით ჟენნის ახალს ტანისამოს. საყვარელი ჟენნი ამ კაბაში ჰგავდა სწორეთ სასძლოსა, მაგ-რამ არ აპირებს იმის ჩაცმას ახალ წლამდის, მანამ ეკკლესიაში არ წავა.

ყოველ საღამოს მაძლევს მე ანგარიშსა რასაც ხარჯავს ჩუენს საწყალს სახლზედ. საჭიროა, რომ დავსწვებოდეთ ხოლმე შვდ საათზედ; ამით ცოტა ზეთი ჯ ნახშირი და-

გვეზოგებაო. მაგრამ სულიერთია, ჩემი ქალები დღისით უფრო გამჭრიახნი იქნებიან, და როდესაც დაწვებიან შუაღამე'დინ ღუღუნებენ. ჩვენ საკმაოთ მოვიმზადეთ ბოლოკი და სხვა მწვანილეები ჟენნის იმედი აქვს, რომ შვიდ რვა კვირას გამოგვიტანს ყუვულოთ, ეს იქნება ოსტატური მოგონება.

იმ დრომდის ფლიტმანიც შეასრულებს თავის პირობასა. როდესაც მე ამის ეჭვში შევალ ხოლმე, ჟენნი მზა არის გაჯავრდეს, ის არავის აძლევს ნებასა, რომ ცუდი რამე სთქვან იმ აკტერზედ

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ იმაზედ, და საკუთრად ჩემი ორივე ქალები. იმისმა მოსვლამ და ნახვამ შეცვალა ჩვენი ერთგვარი ცხოვრება. იმის სახელი ხშირად ისმენება ჩვენს საუბარში. სასიამოვნო სანახავია ჟენნის შეწუხება, როდესაც ცელქი პოლლი ეტყვს მას: ის არის კომედიანტჩიკი, სხვა ხომ არაფერი. მაშინ ჟენნი მოუყვება ისტორიასა ლონდონის აკტერებზედ, რომელნიც შექნილან მდიდარნი და ხშირათ არიან მიწვეულნი სადილზედ დიდ კაცებთან და დაუმატებს ხოლმე: ფლიტმანი უნდა იყოს

უპირველესი აკტერი. მას მოუთმენია ბევრი უბედურობა, იტყვის ხოლმე, მაგრამ იმისი (მიხვრა მოხვრა) მშვენიერიაო ჲ სამაგალი-თოთ ლიტერატორებსო.

დიალ, დიალ მიყვარს ცელოქი პოლილი, სამაგალითოთ ლიტერატორებს, ამიტომ რომ შენ გითხრა: ანგელოზი ხარო.

შენც აკი გითხრა, მიყვარს გაჯავრებუ-ლი ჟენნი.

მართალია მეც მითხრა, მაგრამ ეს ისე ტყუილია უპრალოთ, სიტყვაში ჩ: სამატებე-ლიათ ჲ ფიქრობდაკი მხოლოდ შენზედ.

ამ ბოვშურმა ხუმრობამ ძალიან დამაფიქ-რა მე. პოლილიც იზდება. ჟენნი თვრამეტის წლისაა; როგორ უნდა გავათხოვო ორივე?

ჟენნი კარგი ქალია, კარგი გაზდილი, კარგი მეურნე, ჭკვიანი ზდილი, მაგრამ მთელმა კრიკლედმა იცის ჩუენი სიღარიბე. ამიტომ მცირედ პატივსა გვცემენ, ჲ ძნე-ლია, რომ იმან საქმრო იშოვნოს.

ერთი იმისი უპირატესობა არის სილამა-ზე, ყოველი კაცი კმაყოფილებით შემოე-ყურება ხოლმე. როდესაც მე გავატანე იმას

ფული ჩუენ მოვალეს ლოხტერთან, მაშინ იმას ეჩუქებინა ერთი გირვანქა ნუში და ქიშმიში და ეთქვა: ვსწუხვარ, რომ ავრე სასტიკად მოვეკიდე მამა შენსა. უთხარო, რომ აღდგომამდის ვიდრე შეუძლიან, რომ ხარჯოს ჩემგან ნისიათა, ამ ნაირი აღთქმა თავის დღეში არ მოუცია იმას ჩემთვის.

როდესაც მე მოვკვდები, ვინ უნდა იყოს მზრუნველი ჩემის ობლობისა? ვინა? ღმერთი, ცათა შინა მყოფი!!

იმის გარდა იმათ შეუძლიანთ წავიდენ ვისთანმე მოჯამაგირეთ. მაგრამ მე, აღარას ვიტყვ მომავლისათვის.

---

კე· დეკემბერს.

რა მშვიდე დღეები იყო; არასოდეს არ მახსოვს, რომ ამ გვარი სამწუხარო დღესასწაული მქონოდეს როდისმე.

ორ დღეში წავიკითხე მე ორივე ჩემი ქადაგებაები ხუთ ჯერ სხუა და სხუა ეკლესიაში. გზები ცუდი იყო, ქარი ქროდა იყო საშინელი სიცივე. გვიმართ სიმშვიდესა მოხუცებულობისასა· ახლა ისე მკვდარე და

ძარღვი ვეღარავარ, როგორც უწინ. მაგრამ მართალია კომბოსტო და ბოლოკი წყალში მოხარშული ასეთი საზრდო, რომ ბევრს ძალის ვერას მისცეს კაცსა.

ამ ორ დღეში ვიყავი სადილათ ფერმერ ლიყრსტიან, სოფლის კაცები ბევრით უკე- რო სტუმრის მოყვარენი არიან მანამ ქალა- ქისა, რომელთაგანაც ნახევარ წელ. წადში ერთს არ დაუპატიჟნივარ სადილათ.

ვსწუხვარ, რომ ჩემი ქალები მაშინ იმ ფერმერის სადილზედ არ მისხდენ ორივე: რა უხვება იყო? ნეტავი საშობაოთ ჩემს ქალებს ის ჰქონდეთ, რაც მაშინ სადილზედ გადავგრჩა, და რომელსაც უეჭველად მაღ- ლიებს გადაუყრიდენ. მაგრამ მე მოვახერხე რამოდენისამე პიროჟკის გამოგზავნა იქიდამ ჩემს ქალებთან. მე გავბედე თქმა: თუ ნებას მომცემთ მეთქი, ამ პიროშკებს ჩემს ქალებს გაუგზავნი. მაშინვე გაამსეს პარკი პიროშ- კებითა, და გამომატანეს. წვიმა მოდიოდა საშინელი, იმათ წამიყვანეს კრივლუდში თავისის საკუთარის ეკიპაჟით.

სასმელი და საჭმელი ისე საჭირო არ არის ვსთქვათ როგორც შიმშილის და

წყურვილის მოკვლა. მაგრამ კარგი სადილი, კარგი რამ ნივთია, მაშინ კაცი გრძნობს მომატებულს მღვიძარებასა და მხიარულებასა. საჭიროა ხანდისხან გონების გაღვ. მყნ.

მე ძალიან დაღალული ვარ. მე მქონდა დიდ.სს შესანიშნავი ლაპარაკი ფერმერთან, მინდა დავსწერო ის ლაპარაკი.

---

კზ. დეკემბერი.

ჩუენ სიხარულშიდ ვართ, მაგრამ კაცმა უნდა ზომიერად ისარგებლოს სიხარულითა; ეს სათნოება მინდა ვასწავლო ჩემ ქალებსა.

ამ მიზეზით შუადღემდის არ მინდოდა გამეხსნა წიგნი ფლიტმანისა. ჩემი ქალები სწორეთ ევას ქალები არიან. ისინი სწუხან, მანამ შეიტყობდნენ რას იწერება ფლიტმანი, აილებენ წიგნსა, წაიკითხვენ ზეიდან ადრესსა, გაშინჯვენ ბეჭედსა და ერთის ხელიდამ გადადის მეორეს ხელში.

მაგრამ მე ამასა ვსწუხვარ, რომ ფლიტმანს მე ვასესხე თორმეტი შილინგი და იმის წიგნში სმევს ხუთი გირვანქა სტერ-

ლინგი. მადლობა ღმერთსა! ყოველით კარგი ადგილია ყმოვნისა.

როგორ სიხარული და მწუხარება ერთმანეთზედ ახლოს დადიან! დღეს დილას მე წაველი ალდერმან ფილდსონთან: მე მითხრეს რომ იზვოშჩიკი ბრუკი თავის მოკვლას აპირობსო, რადგან ბევრი ვალები დაჰტეხიაო. ის არის შორეული ნათესავი ჩემის ცოლისა. თორმეტი წლის წინეთ მე თავდებათ დავუდექი იმას ას გირვანქა სტერლინგში და აქამდინ ჯერ კიდევ არა ვარ გამოხსნილი იმ თავდებობისაგან; ამ კაცმა ბევრი მწუხარება გამოიარა უკანასკნელს წელიწადებში და ბოლოს იწყო ლოთობა.

ალდერმანმა დამშოშმინა მე. იმან მითხრა მართლიათ იყო იმისთანა ხმებიო, ვითომც ბრუკს თავი მოეკლასო, მაგრამ ეს სრულიად შეუძლებელიაო. მე მოსვენებული მოვედი სახლში, რომელსაც ჰოლლი მომეგება წინ ფლოტმანის წიგნით.

---

საღამო იმავე დღისა.

სიხარული ჩემნი გარდაიქცა დიდ მწუხა-

რეებათ, როდესაც გავხსენით წიგნი და შევიტყეთ, რომ ის იყო არა ფლიოტმანისა, არამედ რეკტორის სნერტისა. ის მწერს, რომ მე უნდა ვიყო ჩემს ადგილზედ ადდგომამდის, და მაშინვე ჩვენი ანგარიშები უნდა დასრულდეს. ის მიცხადებს მე რომ ეხლავ შემიძლიან მოვსძებნო ჩემთვს ახალი ადგილი, რომ მე მივზავნის ის გზის ფულისა და ახალის პასტორისა აქვს ნაბრძანები შევიდეს ჩემს მრევლში, თუ მე წინ არ ადუყუდები მას.

ასე აქაური ჭორები ტყუილი არ იყო. ესეც უნდა იყოს, რომ ახალის პასტორს ამიტომ მიუღია ასე ჩქარა ეს ადგილი, რომ დაჰპირებია დოკტორს სნყრტს იმისი მახლობელი ნათესავი ქალის შერთვისა. ჟენნი და პოლილი გაყვითლდნენ, როგორც სიკვდილი. როდესაც შეიტყეს, ნაცვლად ფლიოტმანის მადლობისა, იმათ ქ· საშინელი ანბავი. აი ჯილდო დიდხნის სამსახურისა!!

პოლილი დაიღვარა ცრემლითა და დაეცა სკამზედა; ჟენნი გაიქცა თავის ოთახში. ჴელები მითრთოდნენ, როდესაც მეჭირა რეკტორის წიგნი. მე შევედი კაბინეტში დავე-

ცი მუხლზედ და ვიწყე ლოცვა; როდესაც მე ავდექი, ლოცვამ შემამსუბუქა მე; მე ავილე დაბადება და პირველი სიტყვები გარდაშლილის ფურცლისა იყო ესენი: ნუგეშინიან, ვინაიდგან გიხსნი შენ (ისაია თავი X) აქ სული ჩემი თავისუფალ იქმნა შიშისაგან, მე აღვმართე თვალი მისკენ და ვსთქვ: ჰე უფალო შენი ვარ!!

როდესაც შევნიშნე, რომ პოლილი აღარა სტიროდა, მე შევედი ოთახში. ის იდგა მუხლზედ, გულხელ დაკრეფილი და მიყუდებული სკამზედ. მე არაფერი უთხარ, ჩუმათ მივიხურე კარი და მოვბრუნდი კაბინეტში. რამოდენიმე მინუტის შემდგომ, გავიგონე ყეენის ხმა და კიდევ წავედი ქალების დასახედავათ. ისინი ისხდნენ ფანჯარასთანა. ყეენის გაწითლებულის თვალებისაგან ჰსჩანდა, რომ ის ეძებდა მყუდრო ადგილსა, დასაფარავად თავისის მწუხარებისა. ორივე მიყურებდენ მე მოწოლით. ეგონათ, რომ ჩემს სახეში ჰპოვებდენ იგინი სასო წარკვეთილების გამოხატულებასა. როდესაც დარწმუნდნენ რომ მოსვენებული ვარ ისინიც მოსვენებულნი შეიქმნენ. მე ავილე წიგნი

და ფული და მეველიუბურის სიმღერით ჩავდე კამოდში და დამებამდინ არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ იმათ იმ შემთხვევულებაზედ.

არც მე მინდოდა მომეგონებინა რამე იმ სამწუხარო შემთხვევაზედ. იმათის მხრით ამ ჩუმათ ყოფნაში სჩანდა გრძნობა სინარნარისა და ჩემის მხრით ვიშიშოდი მეჩვენებინა თავი სუსტად შვილებისათვის.

---

კ~ დეკემბერი.

უნდა კაცმა გამოსტოვოს ჭირვეული მინუტები არეულობისა გაუსინჯავათ იმის ალოხრებისა

ჩ~ნ გავატარეთ დღე მშვიდობიანათ. ახლა ჩვ~ნ ვლაპარაკობთ სნერტის წიგნზედ და ადგილის დაკარგვაზედ, როგორც რომ ერთის მეველის რასმე ისტორიაზედ, და ვადგენთ ამას პროექტებს მომავლისათვის

მაგრამ დიდი სა წუხარო ის არის, რომ ამ პროექტებზედ იქნება დამოკიდებული ჩემი ქალებიან დაშორება კარგი იქნება, რომ ჩემი ქალები ჩავაბარო სადმე კარგს სახლებში, მანამ მე ვივლი აქეთ იქით ად-

გილის სამოვნელიათა და ვიშოვნი ლუკმა პურსა ჩემთჳს და ჩემის შჳლებისათჳს.

პოლილი უწ ნდებულით მხიარულია. ის კიდევ ლაპარაკობს თავის სიზმარზედ და გვანუგეშებს სხუა და სხუა იმედითა. იმისა გამგონი ივიქრებს კაცი, რომ ის მოელის რაღაც საკუთარს შემთხვევას მგვარეულობასა.

როგორც მოვა ახალი პასტორი კოიკლედში, მაშინვე ჩავაბარებ იმას სამოვლოს სიებსა, და დავიწყებ ახალი ადგილის ძებნასა გარდა ამისა მიკიწყო მეგლი მეგობრებსა, რომ გაიწყსონ ჩემი ქალები, ან ლუკვერნანტკაით, ან მკერვლებათ, ან რამეთუ ყუნნი ძალიან კარგი ლუკვერნანტკა იქნებოდა არც ერთს ქალის არ დავსტოვებ ერივლედში ამიტომ რომ ეს მხარე ღარიბია ხალხი უმოწყალეია და არც უცხონი არიან სალარიბისა, როგორც საზოგადოდ მცხოვრებნი პატარა ქალაქებისა.

ყოველგან ლაპარაკობენ ახალს პასტორზედ. სხუანი თითქო სწუხან ჩემს წასვლაზედ, და არ ვიცი გულის წმინდით თუ არა?

კთ დეკემბერს.

დღეს მე მივსწერე წიგნი სალისბიურის ეპისკოპოზს და მწუხარებით აღვუწერე ჩემი მდგომარეობა, ჩემი შვილების მწუხარება, და დიდიხნის ჩემი სამსახური ვფიქრობ, რომ ის არის კაცი კეთილმსახური და შემბრალებელი: ღმერთმა აგონოს, რომ მომცეს მან თავისი შეწევნა. სამ ოთხ პრიხოდში იპოება ჩემთჳს ადგილი. ბევრს ხომ არასა ვსთხოვ.

---

ლ დეკემბერს.

თუ რომ ეპისკოპოზის მიტრას, რომელიც პოლლიმ ნახა სიზმარში, მალე ვერ მივიღებ, მაშინ მე მოუცილებელად შემხვდება საპყრობილეში წასვლა მე ვხედავ ის არ ამცდება!! ჩემში აღარ არის უწინდელი სულითადი ღონე. ამაოდ ვსცდილობ ვიპოვო ჩემში, უწინდელი სიმამცე მე დამაკლდა ღონე თითქმის ლოცვაზედაც. ასე დამიპყრო შიშმა! დიდო! საპყრობილე აყ-ცილებულიყოს! ამ სიტყვებს ხშირად ვიმეორებ ამისთჳს, რომ მინდა წინ და წინ შე-

ვეჩვიო ამ ჰაზრსა. ყოვლად მოწყალეო ღმერთო იყოს ჩემი შვილების პატრონი. ვერ მოთქუამს ამათთჳს რაც ვიცი.

იქნება უდროოდ სიკუდილმა გამომიხსნას ამ სირცხვილისაგან მე თითქმის მკვდარი ვარ, და ცივების განვალი მიველის მარლვებში. არ შემიძლიან ჭერვა, ხელები მითრთიან.

---

რავდენიმე საათის შემდეგომ.

აი მე ცოტათ დავშოშმინდი მე ცუდათ ვიყავი მალიანა! მე დავწექი ლოგინში, და მგონია დამეძინა, თუ არ ვიცი უგონოთ ვდევ: სამმა საათმა განვლო ქალებს გაეხვათ ჩემი ფეხები ლოგინში სხეულით დავსუსტდი მაგრამ სულით გავძლიერდი ყოველივე წარსული, რაც შემემთხვა ახლა სიზმარივით მეჩვენება: ბოლოსს მართლა თავი დაურჩვია. ფლიოდსონმა დამიძახა თავისთან, გამომიცხადა ეს ამბავი და მაჩვენა პოლოცელი, სადაცა მე თავდებათ განიშნები მყრე მითხრა, რომ იმას დარჩენია საკმაო ვალები, და მირჩია, რომ ვეცადო მივსცე იმის

ვალი ვაჭარს ვიტელს, რომელთანაც მე თავ-დები ვარ ას გირვანქა სტერლინგში.

ეს ფლიდსმანი უბრალოთ არა სწუხდა ჩემთვს. ღმერთო ჩემო! ასი გირვანქა სტერ-ლინგი... სად უნდა ვიშოვნო მე იმდენი ფული? სრულიად რომ გავყიდო ჩემი მო-ძრავი საცხოვრებელი, არა მგონია, რომ ასი შილლინგიც შევადგინო.

ბრუკს ემახდენ კაცს ანგარიშიანს და მდი-დარსა, არ მოველოდი, თუ ასე დაასრულე-ბდა თავის საქმეებსა და ცხოვრებასა. მცირედი მზითევი ჩემის ცოლისა იმის ავათმყოფო-ბაზედ დაიხარჯა; თითქმის ვალებიც, რომე-ლიც ერგო იმასა, ისინიც დავყიდე ნახევარ ფასათ. ახლა მე მიწევნილი ვარ სიგლახა-კემდე: ნეტავი ვიყო გლახაკი და თავისუფა-ლი! მაგრამ მე ჩამსმენ საპყრობილეში, თუ რომ ვიტელი სულგრძელი კაცი არ არის. ვალის გარდახდა არას გზით არ შემიძლიან.

---

იმავე დღის საღამოს.

მრცხვენიან ჩემის სისუსტისა. ჩავარდნა ასეთს უიმედობასა, ასეთს იჭვნეულებაში.

სირცხვილია, მაშინ როდესაც მე ვარ მსახური ღჳთისა, მრწამს განგებულება: სირცხვილია სირცხვილი ეს ჩემთჳს!

მე ვქმენ ის, რაც შემეძლო, რაც საჭირო იყო, წავიღე პოჩტაში წიგნი უ ვინტელთან, აუხსენ მას, რომ არა მაქჳს ღონისძიება იმ ვალის გარდახდისა, და უთხარი, რომ შეუძლიან ჩასმა ჩემი საპყრობილეში. იმ კაცში თუ იპოება მცირედი კაცობრივი გრძნობა, უთუოთ შემიბრალებს, თუ არა და წავალ სადაც მეტყვის.

დაბრუნებულმა ფოჩტიდამ მე გამოვსცადე სიმტკიცე ჩემის ქალებისა მე მინდოდა მომემზადებინა ისინი გასაგონად იმ სასტიკის უბედურებისა,; მაგრამ ვალები ამომჩნდნენ უძლიერესნი კაცებზედ და უკეთილმსახურეს პასტორისა:

მე უამბე ბოლოს ბრუკის სიკუდილი, ჩემი თავდებობა და შემდგომი გარემოება იმ თავდებობისა. იმათ მოისმინეს სამწუხარის ყურადღებითა. საპყრობილეში! სთქუა ჟენნიმ მტირალმა და შემომხვია რა ჴელი: შენ ხომ სინიდისი არასფერს არ გამხილებს, საყვარელო მამავ. და რისათჳს ისჯები უბრალოთ

ამდენსა. მე წავალ თითონ ვინტელოთან, დავეცემი იმის წინ მუხლზედ და ავდგები მაშინ, როდესაც გამოვითხოვ იმისაგან თავისუფლებასა შენსა.

არა, უთხრა პოლოლიომ, ეგ არ იქნება. ვაჭარი ყოველთვის და ყოველგან ვაჭარია. შენის ცრემლისათვის არც ერთს შილინგს არ მოიკლებს ის. აი მე წავალ იმასთან დავუდგები მას მოჯამაგირეთ, სიკვდილამდის ვიზრდები მარტო წყლითა და პურითა ერთის სიტყვით ვიქნები იქამდის, მანამ მამის ვალს გადვიხდიდე

ამ წინეთ დაწყობილების შემდგომ ისინი ცოტათ დაშოშმინდნენ; და მალე ნახეს უსაფუძვლობა თავიანთის პლანებისა, და ჟენნიმა სთქვა: რათ გვინდა მაგნაირნი შეუძლებელნი პლანები? უნდა მოუცადოთ ვიტელის პასუხსა, დეეხსენ იყოს სასტიკი თუ უნდა. განა საპყრობილეში ღმერთი არ არის? თუ რომ მართალია, მამაო საპყრობილედ გახდება შენი საქმე, მაშ იქნება შენ იქ კიდევაც გერჩიოს, ვიდრემდის აქ სიგლახაკეში. შენ არასფერში დანაშაული არა ხარ, მაშ რისა უნდა გრცხვენოდეს. მე და ჩემი და წავალით

მოჴამაგირეთ და ჩუჱნის ჴამაგირით შეგინახავსთ შენა. არ გავწითლდებით მოწყალების თხოვაზედაც რომ საქმე მიდგეს. ჩუჱნ ხშირად გნახავთ ხოლმე მამავ. და მოგივლით. რისა შეგვეშინდება ჩუჱნ. მათლა' ჰოლოლი, უთხრა ყენნიმ, ვისაც ეშინიან, იმას არა ჰსწამს ღმერთი, და მინდა ვიყო მხიარულად. იმოდენ მხიარულად, რამდენიც შეიძლება მქონდეს მარტოობაში, მამაზედ და დაზედ დაშორებულისა.

ამ სიტყვებმა გამამტკიცეს მეც. ფლიტმანმა ტყუილი არ მითხრა, რომ მე ორი ანგელოზი მყავს.

---

დღე წმიდის სილოვესტრისა.

დასრულდა წელიწა. ვმადლობ ღმერთსა, რომ გარდა მცირედთა უსიამოვნობათა, ეს წელიწადი იყო ჩუენთჳს კარგი და ბედნიერი: მართლად ჩუჱნ ხან და ხან მოვითმინეთ ხოლმე დიდი ნაკლებულება, და სიღარიბე, მაგრამ ყოველთვის კი ვპოულობდით ლუკმასა.

მწარე მწუხარება ხან და ხან შეჰსმოდა

ხოლმე ჩუენ გულისა, მაგრამ იმაში. გამოგვიჩნდებოდა ხოლმე სიხარულიც. ახლა ვსთქუათ, მე ძლივს მაქუს დონისძიება ნახევარ წლის საზრდოსი, მაგრამ რამდენი იმისთანა არის რომ ესეც არა აქუს და არ იცის ხვალ რით გამოიტანოს თავი.

მე მოვაკლდი თანამდებობასა. აი მოხუცებულების დროს ვარ უადგილოთ, უპუროთ. იქნება მომავალს წელში ვიჯდე საპყრობილეში, ჩემს საყვარელს ქალებზედ დამორებული, მაგრამ ესეც ღმერთი არისო, სთქუა ჟუენიმ. წმინდა სულისათვს ჯოჯოხეთიც ჯოჯოხეთად არა ჰსჩანს, და ბოროტის სულისათვს არსად არ არის ბედნიერება მართლიათ მე ბედნიერი ვარ. ვისაც შეუძლიან უბედურების ატანა ის რა არის, თუ არ ბედნიერი? წმიდა სინიდისი არის ყოველს ქვეყნიერს დიდებაზედ მეტი.

უბედურება იყო ხოლმე ჩემთვს შკოლაით სადაც მე ცხადად გავიგებდი ხოლმე სახარებასა. ოკსფორდის მსწავლულნი ლაპარაკობენ ხშირად სალმრთო წერილის ასოებზედ და შინაგანს ჰაზრს კი ვეღარ ახსნიან.

ამ ფიქრებით და მსჯელობით მინდა გავა-

ტარო ეს წელი. მოხარული ვარ, რომ ყოველდღიური ჩემი ცხოვრების წერა დავიწყე. ყოველმა კაცმა ასე უნდა ქმნას, თავის თავის გაცნობა და შეტყობა შეჰსძენს კაცსა მომატებულს სარგებლობას, ვიდრემდის კითხვა მსწავლულთა წიგნთა. რომელსაც დასწერს ყოველ დღე თავის ჰაზრსა და ცხოვრებასა, წლის დასასრულზედ დაინახავს თავის თავს ყოველის მხრიდამ. კაცი სხვა და სხვა არის სხვა და სხვა დროსა. ვინც ანბობს, რომ იცნობს თავის თავსა, ის ანბობს მართლის მხოლოდ იმ წამში, რომელსაც ამბობს, ამიტომ რომ იმ დროს ესმის თავისი თავი, მაგრამ ბევრმა არ იციან თუ როგორნი იყვნენ ისინი გუშინ: ანუ როგორ იქმნებიან ხვალ.

წრევანდელს წელიწადს მე გამოვსცადე, როგორი მართალია ანდაზა: ერთს უბედურებას მეორე მოსდევს. რამდენიც მეტი უბედურობა მოდის იმდენით ახლოს არის ბედნიერებაც. ასე პირველის შემოწყუნების შემდგომ, ყოველთვის ვიწყებ სიხარულით წარმოდგენასა, მომავალს კეთილს მდგომარეობასა და ვიმედოვნებ ხოლმე, რომ ბრ-

მოვლია მისის დასასრულზედ. წინააღმდეგ, რომლებსაც ჩემი საყვარელი მეხსოვლდება, მაშინ მე ვთრთი და ვერ ვბედავ მივენდო სასოებას.

ვერ ვენდობი სოფლისა. საშინშორია ერთობ მინდობა სოფლისა, და ყოველი უბედურება შორიდამ ყურო ამინებს კაცს, ვინემ ახლოს, რომლებსაც შეეყრება პირისპირ. ლოყბელიც შორიდამ ყურო შავი ჰქონს ვიდრემდის ახლოდამ რომლებსაც წინეთ ვიგრძნობ უბედურებასა ჩვეულებრივ. ყოველთვს მოველი ცუდს დასასრულსა; ველითვთ ყოველს რასმეს და ნამდვილი უბედურება იშვიათად იქმნება ჩემთვის დამოუკაგაცისა, იმ გვარად. რომგორც კაცს წამოუდგება გამოსაცდელებაში.

---

პირველი იანვარი **1875** წლის დილა.

აი საშწუხარო და საჭოყველი შემთხვეულება წლის დასაწყისისა. მქვს საათზედ დილით, რომლებსაც მე ვფიქრობდი ქადაგებისათვს, რომელიც დღეს უნდა ვსთქვა ეკკლესიაში, გავიგონე რომ ვიღაც არახუ

კარებსა. პოლილი ამ დროს კუხნაში იდგა ის გაიქცა შეიტყოს, თუ ვინ არახუნებს.

ამ გვარი ადრე ვისგანმე ნახვა ანუ სტუმრობა იშვიათია ჩუენთვს. განთიადისას, ვიღაც კაცმა მოსცა მას დიდი კალათი და უთხრა: ეს. (გვარიკი ვეღარ გავიგონა პოლილის) გამოუგზავნა ეს კალათი პასტორსა და სთხოვს გაუფრთხილდეს იმას, რაც ამაშია პოლილის განკვირვებით აეღო კალათი, მომტანიკი წასულიყო.

მოვიდა და ნელა დაარახუნა კარი, უნდა შემეტყო მღვიძამს თუ მძინამს. მე ნება მივეცი შემოსვლისა, შემოვიდა მომილოცა ახალიწელიწადი და სიცილით მითხრა: ხედამთ, მამაო, პოლილის სიზმარი როგორ ახდა; აი თქუენი ქუდი, და კიდეც მოჰყვა თუ როგორ მომიტანეს მე ეს ძღუენი საახალწლოთ; მხოლოდ ამას ვსწუხდი, რომ ვერ გავიგო სახელი გამომგზავნისა. ის გავიდა სამთლის ასანთებათ და ჟუნის დასამახებლათ, და სწორეთ უნდა ვსთქუა ჩემში განიღვძა მოუთმენელობა გამომძიების მოყვარებამ. აქამდის მე თუ მიმიღია ძღვენი ვისგანმე, იშვიათათ და მცირე; მე ვიფიქრე:

ჩემს მეგობარს ფერმერს გაუმსია კალათი პიროგებითა და მიგზავნის.

მე შევედი ოთახში პოლილი და ყვენნი იდგნენ დიდი კალათის წინა, რომელიც ვულის მოდგინებით შეკრული იყო. მე ავ-სწიე იმას; მეჩვენა ძალიან მძიმე. გარდა ამისა ზევით ფიცარზედ ორს ადგილს გამოჭრილი ჰქონდა.

მე ავხადე კალათს ყვენნის შემწეობით და სიფრთხილით. თეთრი ჴელსახოცი წმინდა ტილოსი იყო დახურული საჩუქარზედ. მე ავსწიე ისიც, და... ოჰ, არ შემიძლიან ავ-სწერო ჩუენი განცვიფრება. ჩუენ ერთად, ერთხმად დავიყვირეთ: ღმერთო რას ვხედავთ!!!

იქ იწვა და ეძინა ყრმას, ვაყს ექვსის ანუ შვიდის კვირისას რბილს სახვევებში ვარდის ფერის ლენტებით შეკრულში. თავი ედვა ცისფერს ატლასის ბალიშზედ. წითელი ატლასის საბანი ეხურა მას. იმას ეკ-ლო ბრაბანტის ძვირფასი კრუჟევა.

რამდენსამე წამს ჩუენ უყურებდით ერთმანეთს მდუმარებით ბოლოს პოლილიმ ხარხარით გვითხრა, ახლა რა უნდა ვქნათ ეს ქუდი არ არის.

ჟენნიმ დაუფაცუნა ყრმასა ჴელი და უთხრა მრთოლვარის ხმითა ნუ უკვე შენ მოაკლიდი დედასა, ანუ თუ დედა შენი ვერა ჰზედავს ჰყავდე თავისთან? ღმერთო ჩემო! ასეთი მშვენიერი ყრმა გაუგდიათ უნუგეშოთა. შეხედეთ, მამაო, დაო, როგორ განსვენებით ჰსძინავს, არა მგრძნობელი თავის უბედურებისა, თითქო იცისო, რომ ეგ არის შენახული გულისა უფლისასა. გეძინოს საცოდაო ყრმაო, ჩვენ არ უარვყოფთ შენ შენ ჩავარდი ისეთს სახლში, სადაც შეგიყვარებენ. მე ვიქნები შენი დედა.

ამ დროს ცრემლები ჩამოსდიოდა ჟენნის თვალებიდგან, მე მივიკარი ის გულში და უთხარი: კარგი, იყავი მაგის დედათ, ყრმადევნული ზედისაგან, ეკუთვნის მათ, ვინც იმის მსგავსად დევნულნი არიან, უფალს ყოვლით ნებავს გამოსცადოს ჩვენის სარწმუნოებისა. არა ის არა სცდის, იმან კიდეც იცის იგი აი რისთჳს მოგვაბარეს ჩვენ ეს ყრმა, მართალია ჩვენ არ ვიცით რით ვიცხოვრებთ ხვალინდელს დღეს, მაგრამ იმანვი იცის, ვისაც სურს, რომ ჩვენ ვიყვნეთ მაგ ყრმის მფარველნი.

ასე ერთის წამს გარდავსწყვტეთ. ყრმას ისევ ემინა. იმის მშობლებზედ ვფიქრობდით ათას რიგათ, ვსცდილობდით გამოგვეცნო, თუ ვისია ამიტომ რომ ის კალათი იყო გამოგზავნილი ჩემს სახელზედ. მაგრამ საუ-ბედუროთ პოლლიიმ ვერ გვითხრა, თუ ვის-გან არის ის გამოგზავნილი. მე ისევ ქადა-გების ფიქრს შეუდექი, სადაც ვაპირებდი საკუთრად თქმას მალიზედ საუკუნოს გან-გებულებისა. ჩემი ქალებიკი იმის ფიქრში იყვნენ, თუ როგორ მოუარონ პატარა სტუმარსა.

მეკი მეჩვენებოდა; ვითომც რომ ახალის წლიდგან შევდიოდი ახალს სოფელსა შინა სასწაულებათა, და ვსთვლიდი იმ ყრმასა ანგელოზათ, რომელიც მომევლინა მე ნუ-გეშათ დროსა მძიმე მწუხარებისასა.

მე ვსუნთქმიდი უფრო თავისუფლათ; ჭაზ-რნი ჩემნი შეიქმნენ განსვენებული და სასია-მოვნონი.

---

იმავე დღეს საღამოზედ.

შევასრულე რა ღჳთის მსახურება, და-

ლაღული მოვბრუნდი შინა. გზა იყო საშინელი ცუდი. შინ გამაცოცხლა ჩემმა ქალების სიხარულმა. სახლი მეჩვენებოდა ისე მხიარულათ, რომელიც დიდიხანია აღარ მინახავს მე. სტოლი გაშლილი დამხვდა და ზედ ბოთლი ღვინო, გამოგზავნილი უცნობი კაცისაგან.

საკუთრად გახარებული ვიყავი მე იმით რომ ყრმა მშვენიერად იცინოდა. ყენნის გულში ჩახუტებული. პოლილით მიჩვენა ქონება ჩვენის ახლის საშვილოსი: თორმეტი მშვენიერი გასახვევი, ქუდი, ჴელსახოცები წმინდა ტილოსა, ესენი ყველანი ელაგნენ კალათში და ამასთანავე რამოდენიმე ფული ჩემს სახელზედ. ესენი ეპოვნათ ყრმის ფერხთით, როდესაც მას გამოჰლვმებოდა. ფული იყო ას თორმეტი მანეთი ვერცხლისა და აი ეს წიგნი ჩემთან:

სავსენი თქუჱნდამო დარწმუნებითა, და მცოდნენი თქუჱნის კაცთმოყვარებისა და გამოცდილის კეთილის მსახურებისა, უბედურნი მშობელნი გიგზავნიან თავის საყვარელს შვილს. ნუ უარს ყოფთ მას, როგორც შესაძლებელი იქნება ჩუჱნი თავის გამოცხა-

დება, მოვალით მადლობის გარდასახდელათ, ჩუჱნ შორიდამ გვეცოდინება ყოველივე, რასაც ჩუჱნის ყრმისათჳს იზრუნავთ. ყრმა არის სახელად ალიფრედი და არის უკვე მონათლული. ამასთანავე გიგზავნით მეოთხედს მისს წლის ხარჯისა, ყოველს სამს თვეში მიიღებთ ამოდენს ფულსა. მოუარეთ ყრმას გულს მოდგინებით. გაკუთრად იმას ვაბარებთ ნაზს მზრუნველობას თქუჱნის მშვენიერის ყენისას.

ამის წაკითხვს შემდგომ პოლლიმ იწყო ხტომა და ყვირილი: აი ჩუჱნი ქუდი, საეპისკოპოსო ქუდა, სიზმარში ნახული; ღმერთო ახლა როგორ გავმდიდრდებით ჩუჱნ! მშვიდობით ახლავე საწყალო პასტორის თანამდებობავ. მაგრამ მე რათ უნდა მიხაროდეს ესე მალიან, სთქუა ბოლოს, პოლლიმ; წიგნში პოლლის ხსენებაც არ არის.

ჩუჱნ ათჯერ წავიკითხეთ წიგნი, და არ უშორებდით თვალსა, რომელიც ხედავდა სტოლზედ თოთხმეტი თუმნის ოქროსა.

ოჰ რა მღვენია ეს საახალწლოთ!! ერთბაშათ გამოვედით გაჭირვებიდგან, და მერე როგორის გასაკვირვალის მიუწდომელის

სახ..თ!

ამაოდ წარმოვიდგენდი გონებაში ჩემთა მცნობთა, რომელნიც თავისის მდგომარეობით ყოფილი იყვნენ იმ გაჭირვებაში, რომ დაეფარათ თავიანთი შვილი, ანუ იმათთანას, რომელთაც შესძლებოდათ თავისის სიმდიდრით ასე უხვად დაჯილდოება ქრისტიანულის ყურისგდებისათჳს ყრმისა. ვეძებ. ვეძებ და ვერ მიპოვნია იმ გვარი კაცები. მაგრამ ეტყობა მშობელნი ალიფერდისა უთუოთ გვიცნობენ მეცა და ჩემს ქალებსაც. გზანი განგებულებისანი მიუწთომელი არიან!!!

---

ვ. იანვარი.

ბედნიერებამ მომფინა თავის მოწყალება. დღეს დილით მივიღე კიდევ თორმეტი გირვანქა სტერლინგი და წიგნი უ. ფლიტმანისაგან. ესე რითომ გადამეტებულია. თჳთვეულს შილლინგზედ მაძლევს თითო გირვანქასა. ეტყობა იმის საქ ეც კარგათ მოსულა, როგორც მწერს კიდეცა ვსწუხვარ რომ თავისი ადრესი აღარ მოუწერია ჩემთჳს.

ღმერთმან ინებოს, რომ სიმდიდრემ არ შემცვალოს მე! ეხლა იმედი მაქუს ცოტ ცოტა ბრიყვის ვალიც გავისტუმრო. როდესაც მე უთხარი ჩემს ქალებს ფლიტმანისაგან წიგნის მიღება, ახლა ეს შეიქნა მიზეზი ახალის სიხარულისა. მიკვრს ის ყმაწვილი კაცი რათ მოსწონთ ამათ ისე ძრიელ. ყეენი გაწითლდა და პოლოლიმ ორივე ხელი დააფარა პირზედ. მაშინ ყეენი გაწყრა.

მე წავიკითხე უ. ფლიტმანის წიგნი და შევმოწყენდი, ამისთჳს, რომ ის პირმოთნეა, იმდენი ქება მოუწერია, რომლისაც მე ღირსი არა ვარ სულ ყველას განდიდებით იწერება, თითქმის ყეენის ქებასაც.

შეწუხება საწყალის ჩემის ქალისა, მანამ გავათავებდი კითხვასა, მაწუხებდა მეც, მაგრამ აი სასოვარს ადგილს წიგნისას გამოვაცხადებ:

«უპატივცემულესო პასტორო! როდესაც მე თქუენს სახლში ვიყავი და იქიდამ გამოვედი, მეგონა თუ დავსტოვე სახლი მამისა ჩემისა, და წავედ უდაბნოდ. არაოდეს არ დამავიწყდებით მე თქუენ. არაოდეს არ დამავიწყდება რას ნეტარებას ვგრძნობდი თქუენთან ყოფნით. ნიადაგ თვალწინ მიდგიხართ

თქჳენის მდიდრულის სიღარიბით, ქრისტიანობრივის სიმშჳდით, პატრიარხულის სულის დიდებით. აქავე მშჳენიერი პოლილიც. ხოლიო ჟენნი . . ალარ ვიცი რა ვსთქჳა, სად ვიპოვნო სიტყვები რა სახელი უნდა უწოდოთ უმაღლესთ სულიერთ ქმნულებათა, რომელნიც ყოველსავე, რაც გარეშემო არტყია, გარდააქცევენ სამოთხედ და პოეზიათ. ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ იმ სანატრელს წამს, როდესაც მე იმან მომიტანა თორმეტი შილინგი, როდესაც მე პირველად გავიგონე სიტყვა ნუგეშინისცემისა... ეხლაც ისე შენახული მაქვს ის თორმეტი შილინგი. არც ათას ლონეთ მვსცემ მე ამ თორმეტს, იქნება მალე მქონდეს შემთხვევა ყოველივე აგიხსნათ თქჳენ. არასოდეს, რაც გავჩენილვარ ქჳეყნათ, ერთს დროს არ ვყოფილვარ ისე ბედნიერი და ისე უბედური, როგორც ეხლა. თავი დაუკარი ჩემ მაგიერათ ორთავ თქჳენ სანატრელს ქალებსა. თუ რომ კიდევ ვახსოვარ მათ »

ამ წიგნის მიხედვით, ფლიტმანი კიდევ აპირებს ერთხელ კრიკლეიდში მოსვლასა. ეს ძალიან მახარებს მე, მექნება შემთხვევა

მადლობის თქმისა.

იქნება გადამეტებულის კეთილი გულობით გამოუგზავნია მას ჩემთჳს წლის ჯამაგირი, რადგან მე მივეცი მხს ნახევარი ჩემი ფული. ეს თუ ასეა, ვსწუხვარ. ის ქარიანს კაცსა ჰგავს, მაგრამ გულიდგა ძალიან პატიოსანი და კეთილშობილი უნდა იყოს.

პატარა ალფრედი უცინოდა პოლილის, რომელსაც ჟენნი, როგორც ყმაწვილი დედა ათამაშებდა მამ. ქალები უკლიან მას ჩემს მოლოდებაზედ მომეტებულათ.

მართალია ის მშვენიერი ყრმა არის.

დღეს ვუყიდეთ ჩუჱნ იმას ლამაზი აკვანი და დავზდგით ჟენნის კროვატთან დღისით და ღამით, როგორც ანგელოზი, მცველი ისე უფრთხილდება თავის საშვილოსა.

---

გ. იანვარი.

დღეს ყ. პასტორი ბლესინგი მოვიდა ტრასტერში ახალგაზდა ცოლით და შემატყობინა თავის მოსვლა. მე მაშინვე წავედი იმასთან. ის არის ძალიან სასიამოვნო და ზრდილი კაცი. მითხრა, რომ ის არის დანიშ-

ნული ჩემს მოადგილეთ, და სურს დაუყოვნებლათ შესვლა თავის თანამდებობის აღსრულებაში, თუ მე თანახმა ვექმნები, და რომ მე შემიძლიან პასტორის სახლში ცხოვრება აღდგომამდინ. მე უთხარი ამაზედ, რომ თანახმად მისის სურვილისა, მაშინვე ჩავაბარებ მრევლის საქმესა, და ამ სახით შექმნება მეტი თავისუფლება ახალი ადგილის მოძებნისა. ამაზედ დავამატე, რომ მინდა მეთქი გამოთხოვების ქადაგების თქმა ჩემს მრევლში, სადაც დიდხანს ვქადაგებდი სიტყვასა ღმთისასა.

იმან აღმითქვა მოსვლა ჩემთან სადილის შემდგომ, სახლის გასაშინჯავათ, და მოვიდა თავისის ახალგაზდა ცოლით, რომელიც მგონია, ცოტა ამპარტავანი და თავის მოყვარე უნდა იყოს. ძლივს აღირსა ჩემს ქალებს თვალის გარდახედვა: არაფერი არ მოსწონდა სახლშია როდესაც შეხედა პატარა ალფრედს აკვანში, მიუბრუნდა ჟენნის და ჰკითხა: განა შენ ქმრიანი ხარ? საწყალი ჟენნი გაწითლდა მთლიათ, ყურის თავი დაუქნია და რაღაც წაუბუტბუტა. მე ეს არ მეჩვენა კარგათ, მაგრამ გავჩუმდი, მე ვსთხოვე ერთი ფინჯანი ჩაის დალევა, მაგრამ უარი გვითხრეს. მე

მგონია ეს პასტორი სრულიად მორჩილია თავისი ყმაწვილის ცოლისა.

ჩუენ ძალიან გვიამა, როდესაც ისინი წავიდნენ.

ეს ვიტელი, იმის წიგნის მიხედვით, უნდა ძალიან კარგი კაცი იყოს. ის ძალიან სწუხს, რომ გავრეულვარ იმ საყბედურო თავდებობაში, და მარწმუნებს, რომ სრულიად არ შემაწუხებს, თუნდ თავის დღეშიაც რომ არ მივცე ბრუკის ფული. იმას მგონია სცოდნია ჩემი შინაური გარემოება, აქებს მას, და მრიცხავს პატიოსან კაცათ. ეს ჩემთვის დიდი კმაყოფილება არის როგორცკი შესაძლო იქნება, მაშინვე წავალ იმასთან, მივცემ იმას სრულიად იმ თორმეტ გირვანქა სტერლინგს, რომელიც მივიღე ფლოტმანისაგან ჩემი დიდი ვალის ანგარიშში.

ყველნი მარწმუნებს, რომ პატარა ალფერდის გვერდით მშვენიერათ სძინავს ხოლმე, რომ იმასაც მთელს ღამეს მოსვენებით სძინავს და გამოიღვიძებს ხოლმე ღამეში ერთხელ დალევა რომ მოუნდება. მაგრამ ჩემი საყვარელი ქალი როგორაცკი მაფიქრებს მე. იმაში აღარ არის ის უწინდელი სიხა-

ლისა და სიხარულის, თუმცა ცდილობსკი, რომ გვაჩვენოს თავი მხიარულათ. ხშირად ამღები რისამე ჴელსაქმისა, ზის უძრავად, დაფიქრებული და მუხლზედ ჴელებ დაწყო-ბილი, და თუ იმ დროს ვინმე დაელაპარაკება ის შეხტება და უნდა მეორეთ უთხრან ერთი სიტყუა. ეს მგონია ამისთჳს, რომ ყმაწვლი აწუხებს მას, თუმცა ის მალავს ამას. არ შეიძლება, რომ დაიძინოს დღისით, გვარ-წმუნებს, რომ სრულიად მრთელათ და კარ-გათ არის.

მე არას გზით არ მოველოდი თუ ეს ისე თავის მოყვარე იყო. ეტყობა ფლიტმანის ქება არაფრად მოეწონა იმას, ამიტომ რომ გამომართვა იმისი წიგნი, რამდენჯერმე გადაიკითხა ისი და ბოლოს ჩასდო თავის სამუშაო კალათში. რა სიყმაწვლეა ესა!!

ჩემა გამოთხოვების ქადაგებამ მოჰგვარა ცრემლი მრავალითა. ახლავი ვხედავ, რომ ჩემს სამრევლოს ვყვარებივარ. მე არაოდეს არ გამიგონია ამდენი ალერსიანი სიტყვები, და არც ამდენი საჩუქარი მომილია; არაოდეს არ ყოფილა ჩემს სახლში ამდენი უხვება და ღვინო რამდენისამე ხნის წინეთ რომ მე

ასე მქონოდა რაც ეხლა, ბედნიერათ შევრაც-
ხდი თავსა. ახლა ჩვენ მომეტებულიცა გვა-
ქვს მაგრამ უმეტესი ნაწილი ჩვენის სარ-
ჩოსი კიდეც გაქრა, მე ვიცი ბევრი შეუძ-
ლებელი კაცი კრიკლუბში.. ყენნიმ კიდეც
ჩემზედ მეტი იცის, მსურს რომ იმათაც
იხარონ ჩვენთანა.

მე უნდა გამოვსტყდე, რომ მე ვიყავი
გულჩვილი ქადაგების დროს, ვსწერდი და
თან ვსტიროდი. ეს იყო გამოთხოვება მრევ-
ლითან, სადაც ამდენი ხანი ვიცხოვრე. მე გა-
მოვდებული ვიქმენ ვენახისაგან ღვთისა,
როგორც უსარგებლო მუშა; მაგრამ შრო-
მა ჩემი იყო გულის მოდგინებითი, ვსთესე
კეთილი თესლი, და აღმოვსთხრიდი მათგან
ღვარძლსა; მე გამომაგდეს ვენახისაგან, სა-
დაც დღე და ღამე ვიცვამდი, ვასწავლიდი,
ნუგეშვცემდი და ვლოცულობდი. მე არა
ვრბოდი ქვეშსაგებისაგან ავადმყოფისა; მომ-
კვდავისა, სულთ ბრძოლის დროს, ვანუგე-
შებდე საღმრთოისა სასოებითა; არა მივრ-
ბოდი ცოდვილისაგანაც, ხოლო საწყალი
არ დამიგდია უმოწყალოდ; მოუწოდდი შე-
ცთომილთ ცხოვართ გზასა ზედა ჭეშმარი-

ტისასა. ოჰ! ეს სულნი შეკრულნი ჩემ-თან უნდა დაშორებულ იყვნენ ჩემზედ. როგორ გული ჩემი არ უნდა შეისვაროს სისხლითა? იყავნ ნება უფლისა!

ახლა მე კმაყოფილებით ვსთხოვდი რეკტორს სნერტს უსასყიდლოთ სამსახურს ამავე მრევლში, თუ რომ ახალი პასტორი არ შემოსულიყო თანამდებობაში. პატარაობიდგან შეჩვეულვარ შრომასა; და ამიერიდგან ზრუნვანი დღიურის საზრდოსათვს განუშორებელი ყოფილან ჩემზედა. ახლა მარტო ერთი ქირა ალფერდისა შენახვსათვს გარდაემატება ჩემსა და ჩემის ქალების საჭიროებასა. ჩუენ შეგვიძლიან კმაყოფილნი ვიყოთ უბრალოს საზრდოთი.

ოჰ მე აღარ ვიჩივლებდი არც სიცივესა და არც წვიმაზედ, რომელთაც ხშირად ასველებდა ჩემს ჭაღარა თმასა. თუმცა შესაძლებელი იყოს ვქადაგებდე კიდევ სიტყუასა ღუთისასა ჩემს საყვარელს მრევლში.

მაგრამ რათ ვდრტვინავ, ცრემლნი რომელიც სვრის ამ ქაღალდსა არ არის ცრემლი მწუხარებისა: ფულის დაკარგვა ვერ მაიძულებდა მე მეტირნა. უფალო ნუ გა-

ნაშორებ ჩემგან მსახურსა შენსა, როგორიც სუსტი უნდა ვიყო. შემწე მექმენ მე ვენახსა შინა შენსა მოვუპოვებდე სულითა დიდსა მოწყალებასა შენსა.

---

იე. იანვარი.

მოგზაურობა ჩემი უ. ვინტელითან მოვიდა მალიან კარგათ. მე მივედი სალამოს გვიან ქვეითათ, იმ პატარა ლიმაზს ქალაქში სადაც ისა ჰსცხოვრებს, დავიღალე და ამისთჳს კარგათაც მეძინა. მეორეს დღეს ჩავიცვი სუფთათ. რაც ჯვარი დავიწერე, იმ დროდგან ასე კარგათ ჩაცმული აღარ ვყოფილვარ, და მერე წავედი უ. ვიტელითან, ის სცხოვრებს მშვენიერს დიდს სახლში.

პირველათ მიმიღო იმან ცოტა ცივათ, მაგრამ როგორც გაიგონა ჩემი სახელი და გვარი შემიყვანა კაბინეტში. მე უთხარი მას მადლობა იმის სულგრძელობისათჳს, მოუყევი მას, თუ რა შემთხვევით ვიყავი მე თავდები ზრუკისა, და ისიც რაც ჭირი და მწუხარება მე გამოვიარე; მერე ამოვიღე თორმეტი გირვანქა სტერლინგი; მინდოდა

დამედო სტოლიზედ.

ყუ ვიტყელი მიყურებდა ამ დროს ალელი-ვებულიო; რომლესაც მე გავათავე ლოპარაკი, გამომართვა ჴელი და მითხრა: მე დიდიხანია გიცნობ თქჳენ, თქჳენზედ შემიკრებია მე სრული ცნობები, რომლისაგანაც ვიცანი, რომ თქჳენ პატიოსანი კაცი თურმე ხართ: წაიღეთ უკანვე თქჳენი ფულები, მე ვერ მოვაკლებ მაგ საჩუქარს ახალი წლისათჳს, და იმედი მაქჳს შეინახავთ მაგ ფულებს ჩემს სახსოვრათ.

მერე ადგა, შევიდა მეორე ოთახში, გამოიტანა ქაღალდი და მითხრა: სცნობთ ამ თავდებობას და ჴელის მოწყრასა? აი ინებეთ ეს მიჩუქებია თქჳენის კარგის ქალებისათჳს, გახია ის ქაღალდი და ნახევრები ჴელში ჩამი-წყო

მე აღარ შემეძლო აღარც ერთის სიტყ-ვის თქმა. ცრემლის ნაკადულმა დაიბნელა თვალები, ამანაც შემატყო, რომ მინდოდა მადლობის თქმა და ვერ გახერხებ.

კარგი! კარგი! მითხრა ბოლოს, კმარა ესე. მხოლოდ მაგისთანა მადლობას მოვე-ლოდი მე შენგან. მე თითონ ზრუნვსაც

ვაპატრივებდი თავის ვალსა, ასრე რომ აეწერა თავის მდგომარეობა.

არა! არაოდეს არ მინახავს მე კიტელზედ სულგრძელი კაცი! ის მეჩვენა მე ერთობ კეთილ კაცათ, მთხოვა ყოველი წვრილათ მეთქვა ჩემი მდგომარეობა, ბოლოს გამაცნობა თავის ცოლსა და შვილსა. მერე გაგზავნა ჩემის ჩამადნისათვს ტრახტირში და ცდილობდა ალარ გამოვემჟვი მე ვარგასან. მერე მიმასპინძლეს ისე, როგორც პრინცსა. ჩემი ოთახის ხალიჩები იყვნენ ისე მდიდრული, რომ ძლივს ვბედავდი ფეხის დაკარებასა.

მეორეს დღეს უბძანა წაყვანა ჩემი კრიბლიედში თავისის მშვენიერის ეკიპაჟით. მე გამოვეთხოვე იმას გამოუთქმელის სასიხარულო მღელვარებით. ჩემა ქალებმა დაიწყეს ტირილი, როდესაც უანზე მე ეს ყოველივე. გასაკვირველი არ არის? ის ქალალიდი რამდენისამე ხნის წინეთ მაწვა გულზედ, როგორც მძიმე რამე ტვირთი, და ახლა ის მეჭირა წვრილათ დახეული. ილოცეთ მეთქი უთხარ ქალებს, რომ ღმერთმან დააჯილდოვოს ჩუენი კეთილის მომქმედი.

---

ივ. ისარლორი.

გუშინდელი დღე არის სახსოვარი ჩემს სიცოცხლეში, ჩუჱნ ვისხედით ყველანი ერთათ ზალაში შუადღის დროს; მე ვარწევდი პატარა ალფრედის აკვანსა: პოლილი კითხულობდა; ჟენნი ჰკერავდა ფანჯარასთან ვნახოთ ჟენნი უცებ წამოხტა, განშორდა ფანჯარასა და გაყვითლდა, როგორც სამთელი. შეშინებულნი ვკითხამთ: რა იყო? ის ცდილობს, რომ გაიცინოს და გვეუბნება: აი ის კაცი.

ამ დროს გაიღება კარი და შემოვა ყუფლიცმანი, მშვენიერად ჩაცმული, ჩუჱნ სიხარულით მივეგებეთ და ბედნიერათ მიგვაჩნია თავი, რომ ვხედავთ იმას უმჯობეს მდგომარეობაში უწინდელზედ.

მე მომეხვა, პოლილის აკოცა, და ჟენნის პატივისცემით დაუკრა თავი. რომელსაც შენიშნა ფერმიხდილობა ჟენნისა, შეწუხებით ჰკითხა: ხომ მშვიდობით ბძანდებით? პოლილიმ აუხსნა, როგორ იყო და რისგანაც ის ისე გახდა, მაშინ ის მივიდა, აკოცა ჟენნის ხელზედ და მოითხოვა ბოდიში, რომ ის იყო

მიზეზი უცებ ისე იმის შეკრთომისა: საწყალი ქალი გაწითლდა, როგორც მაისის ვარდი

მე მაშინვე გავგზავნე ღვნოზედ და პიროგებზედ, მინდოდა მემასპინძლა ჩუენის კეთილის მყოფისათჳს პირვანდელზედ უკეთესათ პირველიათ უარს ანბობდა, რადგან მას ელოდნენ თავის ამხანაგნი, და ბოლოს ჟენნის თხოვას წინ ველარ აუდგა და დარჩა ჩუენთან სტოლზედ.

მე ვიფიქრე, რომ ამხანაგნი, რომელნიც ელოდნენ მას, უნდა იყვნენ აკტიორები და ვკითხე: ხომ არას წარმოადგენთ საწყალის კრიკლედში. დიაღ, მიპასუხა იმან, გვინდა წარმოვადგინოთ, მაგრამ უეჭუელოთ პოლოლიმ სიხარულით დაუკრა ტაში, დიდისანია უნდოდა იმას ენახა რამე წარმოდგენა.

ბევრნი არიან თქუენთან აკტიორები? ჰკითხა პოლოლიმ.

მხოლოდ ერთი კაცი და ერთი ქალი, უთხრა ფლიტმანმა, მაგრამ ორნივე თამაშობენ მშვენიერათა.

ამაზედ ჟენნი ძრიელ შესწუხდა, შეხედა განკჳრვებით ფლიტმანსა. და ჰკითხა: თქუენც

უნდა წარმოადგინოთ.

ეს კითხვა მისცა ისეთის ხმითა, რომ-ლითაც მხოლოდ საჭირო შემთხვევაში იკი-თხავდა რასმეს. საწყალი ფლიცმანიც შე-წუხდა იმ უჩვეულო ხმით კითხვაზედ, შე-ხედა თავის დროზედ იმანაც ჟენნის მშვიდად. თითქო თითონვე ეძებდა იმის თვალებში პასუხსა და ბოლოს უთხრა: ქალბატონო, გე-ფიცებით ღმერთსა, თქუენზედ, მხოლოდ მართლო თქუენზედ იქნება ეგ დამოკიდებული ესე იგი რომ მეც ვერიო წარმოდგენაში თუ არა. ჟენნიმ მირს დაიწყო ყურება; ფლიცმანი ისევ ლაპარაკობდა, ის პასუხს აძლევდა, მე სწორეთ უნდა ვსთქუა სრუ-ლიად არა მესმოდარა იმათ ლაპარაკი რას ეუბნებოდნენ ერთმანეთსა. თუმცა მე და პო-ლილი ძალიან გულის მოგდინებით ვისმენდით იმათ ლაპარაკსა, მაგრამ ჰაზრი არც ერთის არ გვესმოდა, იმათკი მგონია ერთმანეთისა ძალიან კარგათ ესმოდათ და როგორც ვატ-ყობდი, ფლიცმანი ჯავრობდა ჟენნის ლაპა-რაკზედ, თუმცა მეკი არაფრად მიმაჩნდა ის პასუხები. ბოლოს გაიქნია ჴელი, მიმართა თვალები ცასა და სთქუა ხმა მაღლათ: მე მა-

ლიან უბედური კაცი ვარ...

პოლილიმ ვეღარ მოითმინა, მივიდა იმათ-თან ახლო და უთხრა: მე მგონია თქჳენ ეხ-ლავ თამაშობთ კომედიასა.

ოჰ, ნეტავი ეგ მართალი იყოს, მიუგო ფლიტმანმა.

მე დავასრულე ეს არეულობა, მით რომ, დავასხი რუმკაზედ ღჳნო და დავიძახე ჩჳენის კეთილის მყოფელის სადღეგრძელო იყოს.

ქალბატონო! უთხრა ფლიტმანმა მშჳდო-ბიანის სახით ჟენნის: გნებავსთ დალიოთ ჩემი სადღეგრძელო თუ არა!

მაშინ ჟენნიმ მიიტანა ჴელი გულზედ, დახუჭა თვალი და დალია ხმის ამოუღებლათ.

მაშინ ფლიტმანი შეიქნა უფრო მხიარუ-ლად. მივიდა აკვანთან და ჩახედა ყრმასა, მა-შინ მე და პოლილიმ უამბეთ, როგორც იყო ალფრედის საქმე, ფლიტმანმა, გამგონმა ამისმა, მხიარულებით და სიცილით გვითხრა:

მაშ ეტყობა თქჳე ვერ მიმხვდარხართ რომ ეგ მღვენი სასახლიწლოთ მე გამოგიგზავნეთ?

ვინ? თქჳენ? როგორ? როგორ? მივს-ცვივდით და შევსძახეთ ყველამ ერთხმათა.

ჩჳენ ვიდექით განცჳფრებული, მაშნ იმან

იწყო:

მე მართლა ფლოიცმანი არა ვარ, მე ვარ ბარონი სესილ ფერროლდი. ჩუენს მამას უნდოდა წაერთმია მამული ჩემთჳსა და ჩემის დისათჳს. დიდხანს სწარმოებდა დავა, და ამ დავის დროს ჩუენ იძულებულნი ვიყავით გვეცხოვრა მცირე საცხოვრებულით, რომელიც გაგვიტოვა დედა ჩუენმა. ჩემს დას აწროებდა ბიძა ჩემი საშინელათ, ამიტომ რომ იმისი აპეკუნი იყო და იძულებით უნდოდა მიეცა ცოლათ ერთის თავისის მეგობრის შვილისათჳს; მაგრამ ჩემის თანხმობით იმან საიდუმლოთ ჯვარი დაიწერა ყმაწვილს ლორდს სენდაუზედ და იმათ დაებადათ ალფრედი. ჩუენ მოვასწარით დროებითად გაგვეშორებინა ჩემი და აპეკუნის სახლიდგან, იმ მიზეზით, რომ ვითომც ზღვს წყლები საჭირო იყო მისთჳს. საჭირო იყო გვეპოვა უშიშარი ალაგი ალფრედისათჳს, მე შემთხვევით გავიგონე პატიოსნება, კეთილსულობა და სიღარიბე კრიდლედის პასტორისა. მაშინ მე თითონ მოვედი აქა, ადგილობრივ შევამოწმე ის ხმა. თქუენ ისე მომეწონეთ, რო გადავსწყვიტე თქუენთან გა-

მოგზაკნა. ჩემი და შინ აღარ მიბრუნებულა ოთხის თვის წინეთ საქმე გარდაწყდა ჩუენს სასარგებლოთ ახლა შევედით. მამის ჩუენის საცხოვრებელის გამგეობაში. ძველი ლორდი ჩუენი ბიძა მოკვდა რამდენისამე დღის წინეთ დამბლითა, მაშინ ჩემი დის ქმარმა გამოაცხადა თავის ქორწინება. ახლა აღარ არის მიზეზი მაგ ყმაწვილის არსებობის დაფარვისა და დედმამა მაგისი მოვიდნენ ახლა მაგასთან. მეკი ჲუ პასტორო, მოვედი თქუენთვს და თქუენი ქალებისათვს, თუ რაიმ ყარს არ ყოფით ჩემს წინა დადებას. პასტორის ადგილი ჩემს მამულში ეხლა ცარიელია; ჩემს განკარგულებას ქვეშე არის ისა. ეს თანამდებობა აძლევს ჯამაგირსა ათას ორას მანეთს წელიწადში. თქუენ მოკლებულიხართ თქუენს თანამდებობას, და ახლა ბედნიერად დავსთვლი თავსა, თუ მიიღებთ იმ ადგილს და იქნებით ნიადაგ ჩემზედ განუშორებელი.

მხოლოდ ღმერთმან უწყის სხუამ არავინ, თუ როგორის შემოწუნებით აივსო ჩემი სული. თვალები დამიბნელდა სასიხარულო ცრემლით. მე მოვეხვიე ყმაწვილს კაცს, რომელიც მეჩუენებოდა ზეციდგან

მოვლენილიად. პოლლი ჰკოცნიდა სიხარუ-
ლით, ჟენნის უნდოდა ხელიზედ კოცნა, მა-
გრამ ის გაიქცა თითონაც აღელვებული და
მოარიდა თავი ჩჳჱნს მადლიობასა.

ქალები ისევ ყელიზედ მეხვივნენ, და ჩჳჱ-
ნი ცრემლი იყო ისე ერთმანერთში არე-
ული, როდესაც შემოვიდა ბარონი დითა და
იმის ქმრითა. ეს მშვენიერი ყმაწვილი ქა-
ლი, მივარდა მაშინვე აკვანსა და დაეცა
მუხლიზედ ალიფრედის წინ და დაუწყო დიდ-
ხანს მცხარედ კოცნა იმას ცრემლიანმა.

მერე მოგვიბრუნდა ჩჳჱნა, და გვეუბნებო-
და მადლიობასა დასახსოვარის სიტყვებითა.
პოლლიმ მიუშვრა ჴელი თავის და ჟენნი-
ზედ, რომელიც ამ დროს ის იდგა ფანჯა-
რასთან და უთხრა:

ქალბატონო, აი ისა, ვინც დედობას უშვ-
რებოდა თქჳჱნს პატარა ალიფრედსა

ლედი სენდაუ მივიდა ჟენნისთან, კარგს
ხანს უყურებდა ჩუმათ, სიცილით გამოუ-
ბრუნდა ძმასა და ბოლოს მოეხვია „ჟენნის.
საწყალი ჟენნი ძლივს უმართავდა თვალსა.
მაშინ იმან უთხრა: მე ისე დავალებული
ვარ თქჳჱნგან, რომ არაფრით გარდახდა არ

შემიძლიან. იყავი ჩემი დაჲ საყვარელო ჟენნი, და რომელსაც და იქნები, რამა ანგარიში იქნება დებში.

მანამ ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ, ბარონი მივიდა იმათთან.

აი ჩემი საწყალი ძმა, ეუბნებოდა ჟენნის. ლიედი განმეორებითა, გთხოვთ იყავით ჩემი დაჲ და ჩემს ძმასვი საუკუნოთ მიეცით ადგილი თქუენს გულში.

ჟენნი გაწითლდა და ბოლოს კრთოლვით უპასუხა: ლიედი ეგ არის მამის ჩემის კეთილის მყოფი.

ეგ უკეთესი, მიუგო ყმაწვილმა ქალმა. თუ ეგ არის თქუენი მამის კეთილის მყოფი, მაშ არ გინდათ, რომ იმის მაგიერ თქუენ მაგის კეთილის მყოფი იყოთ? ერთი შეხედეთ მაგას ალერსიანის თვალით. ნეტავი იცოდეთ როგორ უყვარხართ თქუენ მაგას!

ბარონმა გამოართვა ხელი ჟენნის და აკოცა. ლიედი სენდაუმ მომგვარა ისინი ორივე მე და მითხრა: გთხოვთ აკურთხოთ ესენი. ჟენნი, შევსძახე მე, ჩემს ქალსა რას გხედავთ, ეს რა არის სიზმარი თუ ცხადი? შეგიძლიან შეიყვარო? თუ შეგი-

ძლიან, მაშ გარდასწყვტე!

ყენნიმ შეხედა ბარონსა, გამოართვა ხელი, მიიდო გულზედ და სთქვა: თვით ღმერთმან გარდასწყვტა ესე კარგახანია!

მაშინ მე ვაკურთხე ისინი. ეს იყო წამი საუკუნოდ დაუვიწყარი, დღეს სწაულობითი, ჩუენთჳს, ჩუენ ყველანი ვსტიროდით, ჰოლლი კიდეც სტიროდა და კიდეც იცინოდა და იძახდა: აი მამაო ქუდები, რადენი ქუდები, ასრულდა თუ არა ჩემი სიზმარი?

იმ დროს ალიფრედიმაც გაიღვძა.

აღარ შემიძლიან ავსწერო შემდგომი დღე.

გამძღარი ბედნიერებითა, სავსე გული უარს ანბობს და სდებს აქ კალამსა......

გ. დიდებულიძე.

# შავი ზღვა.

ზღვის პირსა ვსდგევარ გაოცებული,
მისის გრგვინვისგან გაბრუებული;
რა უმზერ მისსა ღელვას, ვაებას,
ახლა ვგრძნობ ჩემსა ამაოებას!....
რას ვხედავ! წყლისა სიმრავლეს, წყალია ყო-
ველს მხარესა,
წყლის მთანი აღზდგნენ, მორბიან, ნუცა რა გა-
იხარესა?
ქარი ქრის, ზვირთნი მოგორავენ, ლხინი აქვს
ზღვასა მწარესა,
ღრიალებს, ყვირის გრიალებს, სულ ანგრევს
არემარესა!...
რა ქნილან ნავ-ბარქაშები? — თუ მიაცანეს კიდესა?
ვითა ჭივჭავნი დაფრთხალნი რომ შესძვრებიან
ბუდესა;
პარახოდები შუა ზღვას ირჩევენ ნავთ საყუდელსა;
სანდლებსა და კანჯოებსა ვაი თუ გზა გაუცუდდესა...

ქარი ქრის, ზვირთნი მოგორავენ, ლხინი აქეს
ღუჲსა მწარესა,
ღრიალებს, ყვირის, გრიალებს, სულ ანგრევს
არემარესა!...
საბრალო ერთი ხომალდი მოჭხლეცია ვით
ცხვარს ბაცი,
ტალღებით დაბურვილი, მთვრალივითა მობარბაცი,
ანძებს აქნევს აქეთ იქით, მოაყოლა მით რაცრაცი,
მეზღვაურცა რალის დარბის როგორც ომში მხდა-
ლი კაცი....
ქარი ქრის, ზვირთნი მოგორავენ, ლხ ნი აქეს
ზღვისა მწარესა;
ღრიალებს, ყვირის, გრიალებს, სულ ანგრევს
არემარესა!....
ზღვა მრისხანეობს!.. ხომალდსა ისვრის, რო-
გორც რომ ნაფოცსა,
აგერ სადაა გაუქრომს, დასანთქმელათა ჭკრავს
ფოცსა,
კლდეს შეაჯახებს, ან კიდეს, ყულევს გაგდებს
ან ფოთსა,
მით მოსპობს შიგ მსხდომთ ვაებას, მხურვალე
ლოცვას ღ მეფოთსა!...
ქარი ქრის, ზვირთნი მოგორავენ ლხ ნი აქეს
ზღვისა მწარესა,

ღრიალებს, ყვირის, გრიალებს, სულ ანგრევს
არემარეს!...

თ. რაფიელ ერის-თავი.

**15** ენკენისთვეს **1860** წელსა.
ანაკლია.

---

## ჩემს მეგობარს.

კეთილო ყრმაო! შემომესმა წინ გიდგს
ეშმაკი,
რომელსა ჰსურს შემოგასხას თავისი მანკი,
საუკუნოთ ჰფლობდეს შენზე, ბრჭყალ-მო-
ხვეული,
ცნობა მიგტაცოს და თვისათ-გულს ჭკუა-და-
ბნეული!
მიდრეკილხარ ისე, როგორც ყმაწვილი-კაცი,
გარნა მხნე-იყავ, ვით ქართველი კარგი
ვაჟ-კაცი!
მაგ-გვარსა ბედსა, მაგ-გვარსა მხვედრსა ბე-
ვრძელ შეხვდები,
და უსაგნოს ტრფობის ეშხით ბევრძელ
დაბნდები.
მარამ ტრფიალი დროს-წამისა, მალიად ქრების

და ეგ გონება სინანულით შენთანვე შვების!
მაშინ ყოველი გეჩვენება, ვითა ოცნება,
როს დაფიქრდები შეცთომება თვით გალოცება!
პირჯვარს დაიწერ ასე იტყვი: რა იყო ესა,
ვით პატიმარსა ყელ-წყლულობით ჯაჭვი მოშვება;
ჯაჭვი მანქანის რომლისაგან ცეცხლი ჰსცვიოდა
და უბედობის სისხლის ღვარი პირით სდიოდა!
მოვედ გონებას მოიხმარე მახვილი, ფარი,
და დააქციე მანქანების იგი ტაძარი.
ჰსთქვი: ფუ! მაცთურო, ფუ წყეულო, ეშ-
მაკის სახევ,
გიპყრობ რა ხელთა ვფიცავ ღმერთსა დაგ-
ლეწ და დაგხევ!
ასე, შენ ყრმაო, გული შენი მიეც გან-
გებას,
და ნუ ახლავებ ეშმაკისა წყვდიადსა ნებას,
შენ მომავალი უსათუოდ, გიმზადებს კე-
თილს,
ისე ვითარცა პატიოსანს საღმრთოს კაცის
შვილს!
მაშა დასთრგუნე სიმამაცით ყოველი ეგე!
გონიერებით და სიფრთხილით ჭკუისა მოეგე!
დ. ბერიევი.

1861 წელს.

## ნინა გრიბოედოვისაზე.

---

ვუმზერ სარკმლითა, კლდესა მთა-წმიდის,
სად მონასტერი მამა დავითის —
ვითა ლამპარი ზედა დაგვნათლის
და მადლი გვფარავს მის წმიდისა მთის.
მისს ტაძარს ქვეშე შეფარებულითა
რალაც მოყსმათ სალხინო გულითა!
უცებ თვს შორის იხილეს ნინა—
მის სიკეკლუცემ მთა დაამშვენა!
მათ შორის გვამი დაუვიწყარი,
აღსდგა საფლავით წინ მოეგება!
გაოცებული მის ხილვით მტკვარი
ქვითქვითებს გულით და ეუბნება:
ჩემო იმედო, ჩემო შვებაო,
დაუვიწყარო სახოებაო!
მე არა მჯერა თუ ხარ შენ ნინა —
წუთის სოფელმან შენც მოგაწყინა?
მოვედ ტრფიალო მყუნ დაიმკვდრე,
გულის ვაება აქ დაიმშვდე!
აქ შენ სრულიად ჰსცნობ სოფლის მუხთლობას
და უბედურად მაგ გვარ მოშორება
მას ცრუ სოფელში ნეტა რა ჰნახე

თუ არ სიცოცხლე დაუდგრომელი!
დიდება ყველთა ისე დასახე
როგორც ეს მიწა გაუძღომელი!
  გრებოედოვი მოუთხრობს ამას
უპყრნია კელნი ცრემლითა განბანს!
ნინა ერთგული მას ყველასა ჰგრძნობს
და საუკუნოთ მასთანა დაჰყოფს.
  კეთილო ხმალო! შვებაო ქართველთ,
დაუვიწყარო დედაო ჩვენო!
გთხოვთ მაღ მომსვლელითა და შენთა მნახველთ
კეთილი გული კვალად უჩვენო!
  მამაო დავით! მოვიდრეკთ მუხლთა
გადიდებთ, ვითხოვთ შენს მეოხებას!
შენ ჩაგვაბარებთ კეთილის სულსა
ცრემლითა შეგვიხოთ მის განსვენებას!..

დიმ. ბერიევი.

**10, ივლის 1857** წელს.

---

## პირველი მოსახლეობანი ანუ ნიშანნი ახალის გოლანდიაში.

(კანგურუები)

მახლობლად სეპტემბრისა ის გემები, რომლითაც მოიტანეს იქ სარჩო, წავიდნენ ევროპაში. ეს იყო ახალი უსიამოვნო გარემოება კოლონიისათვის: პირველად შემცირდა ამით რიცხვი თვით უკეთესთა მუშა კაცთა; ამისთვის რომ მატროსები ძალიან ეწეოდნენ ყოველს სამუშაოში; გარდა ამისა გრძნობა განდევნილობისა და სიობლისა აწარმოებდა მოსახლეებში დიდსა სასოწარკვეთასა: წასვლისათანა მათის სამშობლოს გემებისა, ახალის ტკივილით დაუწყო მათ გულმა კვნესა სამშობლო ქვეყნისათვის; მათ წარმოუდგებოდათ, თითქო მეორეთ და-

ამორჩეს ისინი ანგლიას: და ოკეანე შეიქმნებოდა მათთვს უფრო და უფრო განიერ, და ველური გულმური ზნელი და საზარელი. მეტადრე ამ გრძნობამ ზოგი ერთზედ იმოქმედა მკვიდრთა და აწარმოვა ზნეობითი დასუსტება, ასე რომ მზა იყვნენ დახოცილი იყვნენ შიმშილით გინა ცოცხლივ ჩაწოლილი იყვნენ საფლავში.

უცებ მოულოდნელმა შემთხვევამ მოიყვანა მკვიდრს სასიამოვნო მოძრაობაში კოლონისტები: ერთმა ტუსაღმა, სახელდობ დელიომ გამოუცხადა ნაჩალნიკებსა, რომ ვითომც მან იპოვნა ოქროს მადანი, და იცის ადგილიც, სადამ შეიძლება ოქროს ამოღება. ერთბამად ყველამ დაიწყო ამაზედ ლაპარაკი: ფიქრები სიმდიდრეზედ, განცხრომაზედ და თავისუფლებაზედ ადუღდენ: გუბერნატორი იმ დროს რამდენისამე დღით წასული იყო სიდნეიდამ, რომ უფრო კარგათ დაეშინჯა ახალი ქვეყანა· როდესაც იგი მობრუნდა, მას დაახვედრეს ეს სასიამოვნო ამბავი. ვითარცა კაცი გამოცდილი, უცებ არ დაერწმუნა ამ ამბავსა, მაგრამ ბრძანა წაყოლოდნენ რამდენიმე კაცნი დელიოსა მად-

ნის დასაშინჯავათ. წავიდნენ. შემდგომ რამდენისამე საათისა გამობრუნდა დელი, მოვიდა მარტო სიდნეაში, და სთქვა, რომ ის გამოგზავნა ავიცარმა წასაყვანად რამდენისამე სალდათისა, რომ მოუყვენონ მპრავასს ადგილის. გუბერნატორი მოვიდა ამ ამბავზედ ალტაცებაში, სალდათნი და ტუსალნი კიდევ უფრო მომეტებულად. გუბერნატორი უყვავებს დელის, ჰპირდება ჯილდოსა. სახელი დელისა ისხენება ამ დროს, ვითარცა სახელი კეთილმოქმედისა მეგობრისა და ძმისა

ოჳთვემულს უნდოდა ჩაევრა გულში, როგორც ბარჯი ოქროთი სავსე. ერთი ავიცარი წავიდა თავისის როტითა მადნის ადგილისა, მაშინ შემოეყრება მას კაპიტანი, იმაზედ ადრე იქ წასული და ეტყვის, რომ დელმა არ უჩვენა მათ მადანი, მოიგონა რალაც მიზეზი და წავიდა სიდნეაში მის ნების დაუკითხავად. მაშინ ლანძღვა, მუქარება, უკმაყოფილება შეიქმნენ მისთვს ჯილდოთ; დაიჭირეს მსწრაფლად დელი და დაუწყეს კითხვა, და აცტანდნენ ძალასა, რომ ეჩვენებინა ადგილი მადნისა იგი ყოველსავე ამას ზედან ჩუმათ იყო, და ან მიუგებდა

პასუხსა არეულისა, უაზროსა. — დასრულდა მით, რომ იგი დასაჯეს სასტიკად, და მისცეს ფიცხელს მხედველობას ქვეშ. ის თხოულობს' რომ გაგზავნონ მადნების დასამინჯავად, მაშინ ხელოახლოთ იწყებენ, სიხარულით ლაპარაკსა ,ხმიანობასა, სწუხან მისთვს, ესე იგი უსამართლოდ და ფიცხელად მისდასჯაზედ. ბოლოს გაატანენ მას აფიცარს თვსის კომანდით. მან გამოუცხადა დელის, რომ თუ არ უჩვენებს ნამდვილს მადნის ადგილს და ანუ თუ მოინდომებს გაპარვასა, უბძანებს მის თოფით დახვრეტასა. დელი დაფიქრდა და გამოუცხადა დაუფარავად, რომ მისი ბოლოქმა მადანზედ იყო სიცრუვე, რომ თვითონ თავისის ოქროს ბეჭედისაგან გააკეთა მან პატარა ნატეხი მადნისა და აყარა იმაში სპილენძი და მიწა. მაშინ იგი დასაჯეს ხელოახლოვ და უფრომრიელი უწინდელოზედ ამისთვს; რომ იფიქრეს იმას უნდოდა აღშფოთება სალდათებისა და ტუსაღებისა. მაგრამ შემდგომში ვერას გზით ვერ გამოსტეხეს, თუ რისთვს მოიგონა მან სიცრუე. რომელნიმე დარჩენ იმ დარწმუნებაში, რომ დელილიმ სწორეთ იცის მადნის

ადგილი და თუ არ გამოაჩინა იგი, იმისთჳს რომ არ უნდოდათ ისე დაჯილდოება, როგორც ის ითხოვდა მმართებლობისაგან. ვინ იცის? იქნება ეს ფიქრი არც ტყუილი იყო; ეხლა ხომ გამოაჩინეს იქ იმისთანა მადნები, რომ იმაზედ მეტი ანუ უკეთესი კალიფორნიას გარდა არსად არ არის. როგორც უნდა ყოფილიყო რამოდენიმე დღე ილაპარაკეს დელზედ და დაჩუმდნენ, მით უმეტეს, რომ მოაწია დრომ, რომ ეფიქრებინათ არა ოქროს არამედ პურის ნატეხზედ, ამისთჳს რომ სამკალი აღმოჩნდა სუსტი; თევზს ვერ იჭერდნენ იმტელს, რამოდენიც საჭირო იყო ყველასათჳს, ემუქროდა მათ შიმშილი თავისის საშინელებით. ღუბერნატორმა, რომელიცა განკარგულებით ემლეოდათ ყველას საჭმელი შეუმცირა მათ ბერძი; და იმათ, რომელნიც სუსტად და ზარმაცად მუშაობდნენ, აძლევდენ მესამედს პორციას; აქედამ წარმოსდგა ხშირი ქურდობა, და საჭიროება ხშირად დასჯისა.

ამას დაემატა ისიც, რომ მთიულთა და მათ შორის ჩამოვარდა უკმაყოფილება, მთიულთა ყოველთ სცნეს რომ ანგლიელნი

იყვნენ მათნი საშინაშორნი მტერნი და ხშირად დაეცემოდნენ ხოლმე მათ. ოთხი კაცი მოუკლეს, ორი დასჭრეს და ყოველდღე მტერობა მათი ძლიერდებოდა; ერთხელ თვითონ ღუბერნატორს ესროლეს ისარი; სხვანიცა უწინდებურად შეელიდენ ანგლიჩანებს თევზის ჭერასა და იყვნენ კმაყოფილნი მით, რასაც მათ აძლევდენ. მაგრამ ერთხელ მთიულთა მოინდომეს, რომ თევზნი გაეყოთ მათთჳს თანასწორად; ამაში შეიქნა ჩხუბი, და საქმე დასრულდა ერთმანეთის ცემითა. აქ თუმცა გაიმარჯვეს ანგლიჩანებმა, მაგრამ ეს იყო დასაწყისი შემდგომთა უკმაყოფილებათა იმათ შორის. მალე გადავიდნენ ისინი თევზებიდგან ოთხფეხზედ, მოუკლეს მათ თხა და წაიღეს თანა. ამ დროს ჩაუვარდათ ანგლიჩანთა ტყვეთ ერთი ყმაწვილი მთიული კაცი. ღუბერნატორს უნდოდა მოინადირება და შეთვისება მისი და ამისთჳს ეპყრობოდა მას ძალიან ალერსით და მშჳდობიანათ; დაუწყეს სწავლება ანგლიურის ენისა, რომ იმის საშუალობით გამოლაპარაკებოდა და მიეახლოვებინა სხვანი. ეს იყო თვით ჭკვანური მისი განკარგულება.

ნორფოლოკის კუნძული, საშუალი ამა გამჭრიახობათა და განკარგულებათა, ლუბერნატორის არ დაუვიწყებია: მალე გაგზავნა იქაც ოცდა ათი კაცი და რაოდენიმე შინაური პირუტყვი. თუმცა ყოველი ჯოგი ნორფოლოკში გაწყდა საქონლის ჭირით, მაგრამ მოსავალი კი კარგი ქონდათ, ასე რომ პაწარა კოლონია არ ითმენდა საჭიროებისა სარჩოში; მოსალოდებელი იყო, რომ ორის წლის შემდგომ აღარ დასჭირდებოდათ ანგლიიდამ არა ვითარი შემწეობა ჭინახული იყო გასაკვირველად კარგი, მეტადრე ქერი ერთმა მარცვალმა მოსცა ას ოცი მარცვალი ეს არ მოსხდარა არც ერთს მხარეს ქვეყნისასა ნორფოლკს შემდგომ შეწყდა თვით სიდნესაც: გემი რომელმაც მოიყვანა ხიზანნი, დაბრუნდა იქიდამ მშვენიერის საშენებელის ხით. ლუბერნატორმა გაგზავნა იქ კიდევ რამდენიმე კაცი, და დობრი ნადეჟდაში გემები პირუტყვებიზედ სიდნეაში დარჩამხოლოდ ერთი ნავი; მდგომარეობა მათი იყო საშიშარი: თუ რომ დაღუპვილი იყვნენ გემები, გაგზავნილნი აფრიკაში მაშინ ხიზანნი მოკლებული შეიქნებოდნენ ყოველს ღონის მიებას გა-

გზავნათ ანბავი არათუ ევროპაში, არამედ ნორფოლოკში ამ შემთხვევით ისარგებლეს ზოგი ერთთა ტუსაღთა, შეკრეს პირობა, და მოინდომეს გარდასახლიყვნენ სადმე სხვა კუნძულში, რომ იქ ემოქმედნათ თავიანთ ნებაზედ კინგმა თავის დროზედ შეიტყო ეს განძრახვა, დაიჭირა უმთავრესნი პირობის დამდებნი და შეკრა იგინი რკინის ბორკილებით.

აპრილში **1789** წელისა გაჩნდა მთიულთ ხალხში გადამდები სნეულება, რომელიც მართალიად გადაედოთ ანგლიჩანებსაც ფილლიპემ ისარგებლია ამ შემთხვევით, რომ ეჩვენებინა მთიულთათვს თვსი კეთილსულობა და დავალება, რომელიც ევროპიელის განათლებულის კაცს შეუძლიან თვსის სწავლით აღმოუჩინოს ყველას. დაუწყეს მათ წამლობა. ორი იმათგანნი წაიყვანეს სიდნეის ლოშპიტალში. დაყვევებულმა მთიულმა, რომ ნახა თვსი თანა მემამულენი, გაეხარდა და როგორც ძმა ზრუნავდა მათთვს გულითადის მონაწილეობით; ასმევდა მათ წამლებსა, შეეწეოდა ყოველს საჭირო შემთხვევაში გონება და კეთილი გრძნობანი

ჰპოებენ მასში განსაკვირველის სასწაუ-ვითა; თვნიერ გამოყოფილებისა არა შეიძლებოდა ყურება ასე გამოცვლილისა სულისა. ანგლიჩანთა მოიპოვეს მასში მეგობარი, რომელსაცა ადვილად შეეძლო დამეგობრებინა მათთვს თავისი თანა მემამულენი. მაგრამ უბადრუკი ართობანი თითონაც გახდა ავათ და ვერავითარი აქიმებისა ცდილობათა და შემწეობათაც ვერ უშველეს მას. შემდგომ რაოდენისამე დღისა იგი მოკვდა და ეს იყო ანგლიელებისათვს საგრძნობელი დასაკლისი. შემდგომში სნეულება ყოველდღე სუსტდებოდა; დობრი ნადედიდამ დაბრუნდნენ გემები და მოიტანეს საკმაო სარჩო და სასიამოვნო ამბავი, რომ რაოდენისამე თვს შემდგომ უნდა მოსულიყო ანგლიიდამ გემები. ამისგამო მუშაობანი სიდნეაში ძრიელ განძლიერდნენ: ტუსაღები ნაცვლად ათიათასის აგურისა, თვეში აკეთებდნენ ოცდაათი ათასსა: ისწავლეს ეს ხელოვნებაცა და შრომასაც შეეჩვივნენ:—

თვითოეულს ჩინოვნიკსა და ავიცერსა ჰქონდა: თითო ბ[illegible] საკუთარი სახლი, სალდათნი და რომელნიმე ტუსაღნი დაესახლნენ შეუე-

სილი ქოხებში; ესენი ყველანი ისე ბევრს აღარ ითმენდნენ ცუდი ტაროსებისაგან, როგორც უწინ. მაგრამ შეიქნა დიდი ნაკლებულება პურისა და იმედიც ახალის მოსავლისზედ ძალიან მცირე იყო. ამ დროს ვირთხები შეიქმნენ სასტიკი სასჯელი მათი; გუნდათ დაეცემოდნენ დათესილს ყანებსა, შედიოდნენ მაღაზიებში და აოხრებდნენ პურსა, როგორც მარცვალსა ისე ამოსულსა.

განვლო ორზედ მეტმა წელიწადმა რაც რომ ეს ხიზანნი ანგლიიდამ იქ მივიდნენ; რომელთამე შეუსრულდათ ვადა, საჭირო მათის განთავისუფლებისათჳს: მაგრამ დაუდევნელობით, ქაღალდები, საიდამაც უნდა დაენახათ, თუ რომელს როდის გაუთავდებოდა ვადა ტუსაღობის, დარჩენოდათ ლონდონში.— ამაზედ ტუსაღებთა იწყეს ცხადად დრტვინვა მართებლობაზედ და აჩვენებდენ დაურწმუნებლობას მის აღთქმაზედ. თუ რომ ეს გაგრძელებული იყო რამოდენიმე ხანი, უთუოთ შფოთი ატყდებოდა. გუბერნატორმა ამ შემთხვევაში მიიღო აი რა ღონე: უბრძანა მსაჯულსა მოუწოდოს ტუსაღებსა და ჰკითხოს მათ, რომ თჳთ მათ სინიდისით აღი-

როან, ვის აქუს სიმართლე განთავისუფლებისა. გამოვიდა ძალიან მცირედი რიცხვ კაცთა, რომელთაც განაცხადეს, რომ მათ გაუთავდათ ვადა. შემდგომში, როდესაც ქაღალდები მიიღეს, აღმოჩნდა, რომ არც ერთს ტყუილი არ ეთქუა· ასე კაცის სულში ბევრი კარგი თჳსება არის ჩანერგული; მხოლოდ საჭიროა მათი გაღვიძება!

ამის შემდგომ ბევრი ტუსაღები იქცეოდა კარგათ; დასჯა მათი მოხდება ხოლმე ძალიან იშვიათად; მრავალნი გულის მოდგინებით შეუდგნენ შემუშავებასა თავიანთის ბაღებისას; ხასიათნი მათი დარბილდნენ; მათ სულში შევიდა სითბო· განცხოველება და კუშტობა მათი გადავიდა მხოლოდ დაღონებულებაში: სულით გრილით და ულმობელით გაიცნეს ცრემლიც.

დამოკიდებულება კი მათი მთიულ ხალხთან ყოველდღე უარესი შეიქმნებოდა. ერთხელ მოუხდათ მათ ჩხუბი, ორივე მხრით მოკვდა რამდენიმე კაცი. გუბერნატორმა უბძანა დაჭერა ორის მთიულისა ტუსაღის და რათამცა იგინი დაარბილოს და დაიახლოვოს, ეკიდებოდა მათ ძრიელ მშჳდობიანად.

მაგრამ მისთჳს, რომ არ გაპარტყლიყვნენ, უბმანა მათ თითო ფეხზედ მოებათ მათთჳს მძიმე ბორკილი. მაშინ ტყუსალები ჰკითხავდენ მათ თუ რისთჳს უშვრებიან ამასა, მათ მიუგეს, რომ ეს მხოლოდ მშვენებისათჳს, და რომლებსაც მთიულთა ნახეს, რომ თჳთონ ანგლიჩანებსაცა ჰქონდათ ორსავე ფეხზედ იმ გვარი ბორკილები, დაიჯერეს.

მრავალნი ტყუსალთაგანნი, თავისის ყოფაქცევით, ღირსი შეიქმნენ დაჯილდოებისა, კეთილშობილის გუბერნატორისა დიდათ იამაესე და განაწესა იგინი პოლიციის ჩინოვნიკებად. ღირსი ხსომისა არის, რომ პოლიციურს დაწყობილობას ითხოვდენ თჳთ ტყუსალნი. ეს იყო გამოჩინება მშვენიერი! ეს ნიშნავდა, რომ მათ გრძნეს საჭიროება წესისა და ფიქრობდენ, რომ ამოეფხვნათ თავის თავში დანარჩენი საძაგლობისა, და მართლად ლონდონშიაც არ იყო ლამით ისეთი დაუმინებელი ზედამხედველობა, როგორც სიდნეაში.

ნორფოლკის კუნძულში მოსალოდებელი იყო კარგი მოსავალი; მაგრამ გუბერნატორი გზავნიდა იქ თჳთ ცუდის ყოფაქცე-

ვის ტუსაღებსა, უთუოთ იმ ფიქრით, რომ იქ ისინი უფრო სასარგებლოთ იქნებოდნენ, ხოლო სიდნეაში სადაც საჭირო იყო ბევრი მუშაობა, ისინი სხვადასხვა ასრულებდნენ მუშაობაში, არამცთუ თვითონ მუშაობდნენ აქ გუბერნატორის ანგარიში არ გამოდგა: შეუგნებელნი, ზარმაცნი და უსინდისონი არასგზით არა ჰკიდებდნენ იქაც ხელსა სამუშაოსა, ახდენდნენ ბაღებსა, დათესილს მინდვრებსა, ხოცავდნენ ახრჩობდენ და ჰყრიდნენ გემებში შინაურს საქონელსა. ერთის სიტყვით ახდენდნენ მეურნეობასა და შრომასა პატიოსანთა კაცთა. მაგრამ ცხოვრება იქ უკეთესი იყო: ბოსტნეულობა, თევზი გარეული ფრინველი, ესენი იქ უფრო მეტი იყო ვინემ სიდნეაში, ფილიპემ გაგზავნა კიდევ ახალნი ხიზანნი; მაგრამ ეს არაფრად შეეწია სიდნეის მცხოვრებლებსა. ყოველდღე უმცირებდნენ მათ სარჩოს ვერმსა, მაშინ რომელთამე თვითონ მოინდომეს წასვლა ნორფოლკში. რადგან უარეს თქმა უფრო განაბოროტებდა მათ ამისთვის ნებას აძლევდნენ წასვლისასა ამ სახით სიდნეა ცარიელდებოდა ყოველ დღე და დაცარება ხალხისა

სიღნეაში აგდებდა დანარჩენთ კაცთა სასო-წარკვეთილებაში.

დადგა **1790** წელი. ორის წლის განმავლობაში ანგლიიდამ არც ერთი ხომალდი აღარ მოვიდა. ხიზანნი დაფიქრდნენ, ეგონათ რომ სულ დაავიწყდნენ ისინი ანგლიაში; ღუბერნატორი იმას არ ფიქრობდა, მაგრამ უანზობა აწუხებდა იმასაც მალიან. ის ხმარობდა ყოველის ღონისძიებას, რაოდენ შესაძლებელი იყო დაეცვა წესი და შრომის მოყვარება ხიზანთა შორის; უკეთესთა მათგანთა მისცა ბაღები და ქოხები მათი, რომელნიც გარდასახლდნენ ნორფოლკში; მისცა მეტი დრო ყველას თავის საკუთრების სამუშაოზედ; კვირაში ერთხელ ურიგებდა პურსა და რადგან ზოგნი ვადამდის სჭამდნენ თავის კერძსა, დააწესა ყოველი დღიური დარიგება კერძისა. უეჭველია ეს შიმშილის ვერ უშველიდა; ზოგი ერთნი, რომელნიც ვერ იტანდნენ შიმშილსა, მიჰყვნენ ქურდობასა. აქ პატიოსანნი კაცნი ურიგოთ ითმენდნენ: პირუტყვი, ვერა მშოვნი საკმაო საკვებისა, გავარდებოდა ხოლმე ველზედ და აოხრებდა ნათესსა. ერთი მოხუცი მოვიდა

შიმშილითა; ერთმა დედაკაცმა ითმინა შიმ-
შილი უკანასკნელის ღონემდინ, და რომელსაც
იმის მოთმინებას აღემატა შიმშილი, წა-
ვიდა ყანაში, სიხარბით გაძღა პურის ჯე-
ჯილით და მოკუდა მძლიერს ტანჯვაში
ზოგნი იპარავდნენ ღუბერნატორი ხედავდა
ამას, და გულის მტკივნეულობით სჯიდა
იმ გვარად. ერთი კიდეც იმათგანნი მოაკვ-
ლევინა, რათამცა ეჩვენებინა მაგალითი მო-
თმინებისა და არ ყოფილიყო საყვედურს
ქვეშ, მან უბძანა საკუთარი მისთვის მომზა-
დებული სარჩოსი შეეტანათ საზოგადო
მაღაზიაში და იქიდან გამოქონდათ კერძი,
როგორც სხვებსა. ამ კეთილშობილებამ
უეჭველია მოუპოვა მას მომატებული პა-
ტივისცემა, მაგრამ განამრავლა იმავე დროსა
სასოწარკვეთა. ყოველი ფიქრობდა, რომ
თუ ღუბერნატორსაც ასე უჭირს საჭმელი,
მაშ მოახლოვებულა უბედურება. ყველანი
შეწუხებულის მოლოდინებით შეჰყურებ-
დენ ზღვასა, ხომ არ მოდის გემი, ხომ
არა სჩანს თეთრი პარუსი. მუშაობის დროს
მოკლეს დასვენების საათში, თვალნი ყო-
ველთა მიიქცეოდა ზღვისკენ მაგრამ თვალი

გადუწვდელი ზღვა იდო იმათ წინ უნუგე-შო უდაბნოდ ბოლოს გამოჩნდა ხომალდი წყლის კიდეზედ გავარდა ხმა სიხარულისა, რომელიც მალე მოედო მთელს კოლონიასა, და რამდენსამე ხანს შემდეგ მუშებმა დაყარეს ცულები, წერაქვები, ხერხები, კოლონისტები სდგანან ჩუმათ, აი ელიან. ხომალდი შემოვიდა ბუხტაში მიდგა კიდე-ზედ.. მაგრამ ეს იყო ხომალდი ნორფოლი-კიდამ, მერმე, ჰო ღმერთო. როგორის ან-ბით! მეორე ხომალდი, რომელიც მოსდევდა მას სარჩოთი დასცემოდა წყლის კლდესა და გამტყდარიყო, ამ ამბავმა, როგორც მეხმა ისე მოსწყვიტა წელი ყველასა. ზოგმა სულ გააგდო მუშობა და წავიდა სადაც მოხვდა.—აქედამ წარმოსდგა უწესობა ზედა-მხედველობაში. ისარგებლა ამ შემთხვევით ყმაწვილმა ველურმა ჩენნილონგიმ, რომე-ლისაც ანგლიელები ზრდიდენ მისთვს, რომ ის ყოფილიყო მოენე, მათ და ველურთა შორის, გაიქცა. დაიკარგა უკანასკნელი იმედი გამოლაპარაკებაზედ და დაახლოებაზედ ველურებთან, რომელთაგანაც ელოდენ ვითარსამე სიჭმელისა. საჭიროება, უწესობა,

დრტვნვა, გაუგონლობა, პარვა, სასჯელნი მრავლდებოდნენ ყოველ დღე. კოლლონია გარდაიქცა სავიცხავ მეიდნად, ისინი, რომელთაც შერჩათ, რაოდენიმე სიმტკიცე ხასიათისა, მუშაობდენ, მაგრამ დალონებულნი, სასოწარკვეთილნი. გაქვავებულის გულით. ჭვალიად უყურებენ ზღვასა. აი საღამოზედ სამხივნის ალელვებულს ზღვაში ხედვენ პარუსსა, მაგრამ არა სჯერათ თუ ის პარუსია ჰგონიათ თუ ის არის ღელვა ამაღლებული ზღვს ქავიანს სავარცხელზედ. არა, ეს სწორეთ პარუსი, ხომალდია ანგლიიდამ, პურით და სხვა სარჩოთი· აქ იწყება სიხარულით ალტაცება! მაგრამ ხომალდმა მოიყვანა თან უმეტეს ორასის კაცისა და ისინიც დასუსტებულნი და ტუსაღნი, სნეულნი, საჭმელი იყო მალიან ცოტა იმ ხომალდზედ, და რაც იყო, ისიც გაფუჭებული. მაგრამ გუბერნატორს შეეძლო მცირედი კერძის მომატება. მადლობას აძლევდენ ღმერთსა, რომ მოუმატეს მცირე მაინც და არ დაუმცირეს კერძი. ამბავიც რომელიც მოიტანა გემმა იყო სამწუხარო: სხვა ხომალდი, რომელიც მას მოსდევდა ორის წლის სარჩოთი და

კარგის მეშვებითა, ჩავარდნილიყო ყინულე-ბში, და წამხდარიყო, ასე რომ, საჭირო შეიქმნა მთელი სარჩო წყალში გარდეყარათ, პიროუტყვები დაეხოცათ და თითონ გაემძღრე-ბინათ დოჳრ ნადეყლის მისზედ. სხუა ანბებიკი ამაგრყბდა მათ მოთმინებასა: ანგლიიდამ ერ-თი მელორეზედ გამოგზავნილიყვნენ ხომალ-დები, საშველად განდევნილთა: მართლათ აქვი აღარ მოტყუებულან მოლოდებაში: ოთხი ხომალდი მოვიდა დაუყოვნებლის დროში. ამან პირველად გაახოცხლა კოლო-ლონია. მაგრამ ახალთ მოყვანილს კოლო-ლონისტებში იყო მრავალი ავათმყოფი; ზე-დამხედველობა მათზედ, კვება ქოხებისა და კაზარმებისა ართმევდა დროსა იმათ, რო-მელთაც შეემლოთ შემუშავება ველებისა და საკუთარის შრომით მოემზადებინათ სარ-ჩო კოლონიისათჳს. ერთი ხომალდი შეიქმნა სწორეთ ლაზარეთი: ზოგი ერთი შიგ ხო-მალდში დაიხოცნენ ვინემ ნაპირს გაიყვან-დნენ; ზოგი შიგ ნავებში კვდებოდა, ზოგი ეცემოდა მირს, როგორცკი დაადგამდა ფეხ-ს ხმელეთზედ. სურავანდი და საოფლე შეი-ქნა გადამდებ სნეულებად. მკვდრები იყო იმ-

ტვენი, რომ ძლივს ასწრებდნენ დამარხვასა. ყოველი მუშაობა გადავიდა საფლავების თხრასა და მკვდრების მარხვაზედ. გუბერნა-ტორმა დაამყარა მრთელები დაეშორებინა სნეულთაგან, შეუდგა ლაზარეთების დაწ-ყობასა და ზრუნვით ყურს უგდებდა მათ ექიმობასა. ამა განკარგულებამ ბევრი უშვე-ლა; სნეულება დამცირდა, და მუშაობამ იწყო ჩქარმა და კანონიერმა

ნორფოლკში მდგომარეობა კოლო-ნისტებისა უმჯობესი არ იყო. იქაც ითმენდ-ნენ დიდს ნაკლებულებას; ბოლოს მოხდა შიმშილი, იქაც ხშირად უყურებდნენ ზღვა-სა; ერთხელ იქაც დაინახეს ხომალდი და იცნეს, რომ ანგლიისა იყო: დაუწყეს ხე-ლის ქნევა, უნდოდათ რომ ხომალდს მიე-ხვია იქითკენ. მაგრამ ხომალდმა გვერდი აუქცია, იფიქრეს, რომ სრულიად ხელი აუღიათ იმათზედ და ხიზანნი ნორფოლკისა შევიდნენ სასოწარკვეთილებაში მაგრამ ფი-ლიპეს, შორის საკუთრის ტანჯულისა, ახსოვდა თავისი გაჭირვებულნი ძმანი, დაუყო-ნებლივ გაუგზავნა მათ ორი ხომალდი სარ-ჩო. ამ სახით აქაც და იქაც კოლონისტე-

ბმა ცოტა სული მოიდგეს, და მოემატათ მოთმინება და იმედით უყურებდნენ სანუგეშო მომავალსა ოკეანი შეიქმნა მათთჳს ცოტა ალიერსიანი. იმაზედ რომ დამეგობრებოდენ ველურთა ფილილიპე ბევრს ზრუნავდა ხშირად წავიდოდა ხოლმე სიდნეის სამზღვრებში, ნახავდა ველურებსა, ელაპარაკებოდა ხშირად და აჩვენებდა დიდს დარწმუნებასა, და თან არა ჰქონდა ხოლმე არა ვითარი იარაღი და ეგრეთჳე სხვებსაც ალუკრძალავდა იარაღის წაღებასა, მაგრამ აი რა მოხვდა ერთხელ: ფელიპპე თხუთმეტ ვერსზედ სიდნიდამ შემოეყარა ხროვა ველურთა. იმათ რიცხვში იყო ბენილონგიც. ამათ სთხოვეს გუბერნატორს რამოდენიმე ცული ფილიპემ ალუთქუა და დაჰპირდა თითონ მიტანასა. ეს ბენილონგმა გადუთარგმნა მათ იგინი შემოეხვივნენ ფილიპეს და იმის აფიცრებს თჳთ მეგობრულის გრძნობით. მხოლოდ იმათში ერთი უჩვენებდა დაუნდობლობასა ბენილონგმა ჩაარჭო თავისი ისარი მიწაში და ელაპარაკებოდა ანგლიჩანებსა, როგორც ძრიელი მეგობრებსა. გუბერნატორი პასუხს უგებდა იმათ და იმ დროს უნდოდა, რომ

ძრიელათ გამოეთქვა ერთი თჳსი რაიც ჰაზრი და ამისთჳს ძლიერათ გაანძრია ხელები ეჭვიანმა ველურმა იფიქრა, რომ ის იყო ვითომც მან მოინდომა მის დაჭერა, უცებ ამოაძრო მიწიდამ შუბი და ესროლა ლუზერნაღორს რაც ძალი ჰქონდა. ანგლიჩანები მისცვივდნენ საშველათ. მაშინ სხვებმაც დაუწყეს მათ შუბების სროლა, ანგლიჩანები მაშინ გაიქცნენ; ლუზერნაღორი ძლივს მიეწეოდა მათ, ამიტომ რომ შუბის წვერი დარჩა იმის ხორცში, საჭირო იყო შემდგარიყვნენ გამოსაღებათ; მაგრამ შუბი იყო დავეჭნილი, მაშასადამე საჭირო იყო ამოეჭრათ და აქიმიკი იქ არ იყო, ამისთჳს მოსჭრეს ტარი შუბისა, რომ გაქცევა არ დაეშალა, ველურებმა კიდევ ესროლეს შუბი და კიდევ ერთმა იმათგანმა გაჰკინძლა ლუზერნაღორი. ანგლიჩანებმა მოუმატეს სირბილი, ვისაც როგორ შეეძლო: გაფიცხებული ხროვა ველურთა მისდევდა უკან, მაგრამ ანგლიჩანებმა მიასწრეს წყლის პირზედ ჩაცვივდნენ იქ დაბმულს ნავში და წავიდნენ. აქიმმა მშჳდობით ამოუღო შუბის პირი ფილიპეს და განაცხადა დაჭრილობა

მისი უვნებლიათ. რამდენისამე დღის უკან გამოცხადდა ბენნილონგი და აუხსნა, რომ იმისმა მემამულემ დასჭრა ღუბერნატორი მხოლოდ შიშით ანუ ეჭვით და ეხვეწებოდა ფილიპპს რომ დაევიწყნა ეს და სთხოვდა აღიქმულის ცულებსა. ღუბერნატორი დაჰპირ-და თითონ მიტანასა. შემდგომ დაჭრილო-ბის მორჩენისა. ფილიპპს, როგორც მო-ურჩა დაჭრილობა, მართლიათ მოკლეს დროში წაყოლო ცულები, მაგრამ ეხლაკი თვითონაც და თან მხლებელნიც მისნი შეჭურ-ვილნი იყვნენ იარაღებით. მათი ერთმანეთის ნახვა იყო მეგობრული. აქ ბევრს შეეწია ბენნელონგი; იგი სასტიკად აყვედრებდა იმ ველურს კაცს, რომელმაც პირველად და-ჭრა ფილიპე, ცულებმა კარგათ იმოქმედეს, შემდგომ რამდენისამე ხანისა, მოვიდა კიდე-ვ ბენნელონგი და ეხვეწებოდა ღუბერნატორს რომ მას აუშენოს ქოხი. ღუბერნატორს ეს ძალიან იამა; ქოხი გაუკეთებინა დაუყოვნე-ბლის დროში,—და ეს იყო პირველი ქა-ცური საცხოვრებელი ველურისა, რომლი-საც წინაპარნი მთელი საუკუნეები დადიოდ-ნენ ტყეში და იმალებოდნენ ამოქვაბულე-

ბში, და იგივე იყო პირველი მეგლიი საერო ახალი გოლლანდიის განათლებისა მართალიათ ამის შემდგომ მეგობრობა ხიზანთა და ველურთა შეიქმნა უფროა და უფრო მტკიცე. მაგრამ გაჳლო ერთმა მწუხარებამ, დასდვა მეორე: ნორფოლკში ფრინველებმა ამოაგდეს დათესილი ყანები; ახალი გოლლანდიაში დასასრულზედ **1790** წლისა, დასდვა დიდი გვალვები: თებერვალში, რომელიც ემზგავსება ჩვენს აგვისტოსა დაიჭირა ისეთი სიცხეები, რომ იხრჩობოდნენ სიცხით. პირუტყვები, ფრინველები სცვვოდა მირს დახოცილნი სიცხით. სიცხე, ქარი სწვამდა საშინელად პირსა; ეს განგრძელდა ივლისამდინ; ყანები ამან სულ ამოაგდო; ფიქრობდეს ხელახლათ გათესასა: მაგრამ მიწა იყო ისე გარუკინებული, რომ ვერავითარი მაგარი გუთანი ვერ გაატანდა. აქედამ ხელახლათ დაიწყო კერძის დამცირებამ, ქურდობამ, სასჯელმა და შიმშილმა.

ბოლოს გაჩნდა კიდევ ხომალდი ანგლიიდამ; იმან ორ რიგათ გაამხიარულა ხიზანნი: პირველათ მით, რომ მოუტანა მრავალი პური, მეორეთ მით რომ ძოვიდა გო-

რომლის ზმანება, მიეცათ თავის ყუელება იმ ტყუსალებისათჳს, რომელნიც ღუბერნატორის ფიქრით იმის ღირსნი იყვნენ. ფილიპემ იმ წამსვე ისარგებლა ამით. ეს იყო თჳთ ბრწყინვალე დღესასწაულებითი დღე, მათთჳს; მთელს კოლონიაში სიხარულით ლაღადებდენ; განათავისუფლა რამოდენიმე კაცი და რამოდენიმე ქალი. ზოგი ერთებს იმათში ყვანდათ შვილები: დედებთა მხოლოდ მაშინ შეემლოთ მიფერება, აყვანა ხელში შვილებისა, რადგან თავისუფალნი იყვნენ ბორკილებისაგან.

ერთი იმ ხომალდთაგანნი, რომელთაც პირველად მოიყვანეს ხიზანნი ახალ გოლ-ლანდიაში, უნდა დაბრუნებულიყო ანგლი-აში. ღუბერნატორმა მისცა წინა დადება, რომ ისინი დარჩომილიყვნენ კოლონია-ში. აფიცრებთაგანნი არავინ დარჩა. დარჩა მხოლოდ ათი მატროსი: მათ მაშინვე შე-ირთეს ცოლები ტყუსალის ქალები. ეს იყო დასაწყისი სახლეულებითის, მეურნეობისა და კეთილშწეობათის ცხოვრებისა. ერთმა ტყუსალმა მშვენიერად შეიმუშავა თავისი ბაღი და გამოუცხადა ღუბერნატორსა, რომ

თითონ შეუძლიან რჩენა თავისა.

შემდგომს დროში ხშირად ხოლმე მიდიოდნენ ხომალდები სარჩოთი; დაიწყეს იქ სვლა თავისუფლით ხალხთაც ნებაყოფლობით. ისინი ცოდნითაც და მაგალითითაც კარგათ მოქმედებდენ ტყუსალებზედ.

ერთს დროს გავარდა სასიამოვნო ამბავი არა მსგავსი დელის ოქროს მადნის ამბისა: ეს იყო ის რომ გაპარულნი მროხები არა თუ დაკარგულიყვნენ, არამედ გამრავლებულ იყვნენ ტყეში ათასამდის და თუმცა ცოტა გაგარეულებულ იყვნენ, მაგრამ ადვილი იყო მათი დაჭერაც და მორეკაც სიდნეაში: მაგრამ მათ დაანებეს თავი ევლოთ და ემოვათ თავისუფლათ, რადგან თითქმის აღარც-კი საჭიროებდენ მათში.

კიდევ ბევრი იყო სხვა და სხვა ნაკლებულებაა: უწესოება, არეულობა, გაპარვა ქურდობა, მაგრამ კოლონიამ განაღვძა ლონდონში სრული მონაწილეობა; ბოლოს წავიდა იქ თვითონ ლუბერნატორიც, და პირდაპირ უამბო მმართებლობასა, თუ რა ცხოვრებას ატარებდნენ ახლის გოლანდიის ხიზანნი და სთხოვა ხშირ ხშირათ გაგზავნა შე-

მწეობისა, ამით თავდება დასაწყისი ახლის გოლლანდის დაარსებისა. ხოლო ეხლან-დელნი ყუავილოვანნი მდგომარეობა ახლის გოლლანდის იციან მრავალთა, რომელთაც კი იციან გეოგრაფია მისი.

დასასრული ღირს შესანიშნავი იყო ისა, რომ იმ დროს, როდესაც ყუდაბნოს მხარე-ში შენდებოდა და ფუძნდებოდა ახალი სა-ხელმწიფო, ევროპაში იყო ახლოს დაქცე-ვაზედ სახელმწიფო მრიელი, რომელსაც წარმოადგენდენ მაგალითად განათლებისა; საფრანგეთში იმ დროს მძვინვარებდა ალრე-ულობა და სწარმოებდნენ სიმძაფრენი, რო-მელნიც თჳსის უმკაცრობით შეამრწუნებ-დნენ თჳთ ახალის გოლლანდის მთიულთა.—

დასასრული.

## ბოსტნის მომართვა.

### განგრძელება.

### 9 ქინძი.

ქინძს შემოდგომაზედ დასთესენ; ამ მცენარეს რბილი და მსუქანი მიწა უყვარს. თუ ქინძი ზამთარში კვლებზედ დარჩა, უთუოდ წახდება, ამისთვს შემოდგომაზედ მიწიდგან უნდა ამოიღოთ და მშრალს სარდაფში შეინახოთ. ქინძის თესლი სათესლეთ სამს წლამდის ივარგებს.

### 10 ოხრახუში.

ოხრახუშს მარტში სთესენ, მსუქანს და რბილს მიწაზედ. მაისში ახალს კვლებზედ გადარგეთ; გადარგვის დროს ოხრახუშს ფოთლებს და გრძელს ფესვებს აცლიან ხოლმე. რადგანაც ოხრახუშს ყინვისა ეშინიან, ამისთვს სეკტემბერში მიწიდგან უნდა ამოიღოთ ხოლმე.

## 11 თჳის ბოლოკი.

თჳის ბოლოკი სხუა და სხუა გვარია: მოგრძო, მრგვალი ფერადი ფერისა. ადრეულ თჳის ბოლოკს პარნიკებში სთესენ; ამ მცენარეს სითბო და ჭაყერი უყვარს. თუ თჳის ბოლოკი გამოულეველად გინდათ იქონიოთ, ყოველს ორ კჳრის შემდეგ უნდა დათესოთ ხოლმე. თჳის ბოლოკს ხშირი მორწყვა უნდა. თჳის ბოლოკის თესლი სათესლეთ ოთხს წლამდინ ივარგებს.

## 12 მიწის ბოლოკი.

მიწის ბოლოკი ორნაირია: ადრეული — ზაფხულისა და შემოდგომისა. ადრეული ბოლოკი აპრილში და მაისში უნდა დაითესოს, რბილს და მსუქანს მიწაზედ. ამ ბოლოკს საჭმელად ქორფა უნდა იხმაროთ. შემოდგომის ბოლოკს იუნისში სთესენ. ამ ორივე გვართ ბოლოკებს ახალი ნასუქდაყრილი მიწა არ უყვართ, რომლისაგან ჭიანი და მწარე გამოდიან. ბოლოკს გვალვაში კარგი მორწყვა უნდა, ამისი კვლები მალმალუნდა გაითოხნოს ხოლმე. ამ მცენარის თესლი სათესლედ ხუთს წლამდის ივარგებს.

## 13 კარტოფილი.

კარტოფილი მრავალ გვარია, მაგრამ მოვლა სუყველას ერთი ნაირი აქვსთ. კარტოფილს რბილი, ქვშა ნარევი თიხიანი მიწა უყვარს, რომელზედაც ძალიან გემრიელი მოდის. მხუქანს და ნოტიოიან მიწაზედ კარტოფილი წყლიანი და უგემური მოდის. ეს მცენარე მარტში და აპრილში ითესება. კარტოფილს ამოსვლის დროს მიწის გამარგვლა შემოყრა უნდა, რომლისაგანაც სხვა ძირებს იკეთებს. ეს მცენარე მორიმორს დათესეთ, რადგანაც ძირების გავრცელება იცის. კარტოფილს ხშირი რწყვა არა ეჭირება, რომლისაგანაც ძალიან წყლიანი მოდის ხოლმე. ამ მცენარის გამრავლება ძალიან სასარგებლოა, რადგანაც ბევრ ნაირად იხმარება. საქართველოში, სადაც უფრო მეტი ნაწილი წლისა მარხოებია, ამ მცენარის გაჩენა და გამრავლება ხალხს ძალიან შემწეობას მისცემს. კარტოფილის რტოები და ფოთლები, როგორც ნედლი აგრეთვე გამხმარი საქონელს საჭმელად გამოადგება. კარტოფილი მიწიდგან ამოიღეთ, მინამ ყინვები არ დამდგარან.

## 14 თალგამი.

თალგამი ბევრნაირია, მაგრამ უფრო მიჩნეულნი არიან: მაისის ჰრცეული თალგამი. ეს მცენარე ითესება გაზაფხულზედ, როდესაც თოვლი დადნება. თალგამს ჭია იცის, რომლისაგამო მალმალ ზემოდგან უნდა დაინაცროს ხოლმე. თალგამს ქვშა ნარევი მსუქანი მიწა უყვარს, ოღონდა ახალ სასუქ დაყრილი მიწა არ იყოს. რადგანაც ამ მცენარეს სხვილი ძირი იცის, ამისათვს მორი-მორს უნდა დაითესოს. როდესაც სეკტემბერში თალგამი მიწიდგან ამოიღოთ, კარგათ გააშრეთ და მშრალს სარდაფში ქვშაში შეინახეთ ხოლმე.

## 15 ხრენი.

ამ მცენარეს არ უყვარს მშრალი და ულონო ალაგი, რომელზედაც მწარე და მალიან ცხარე მოდის. ნოტიო ადგილზედ ხრენი უფრო ცუდი გამოდის. ხრენი უნდა გახირნოთ რბილს და მსუქანს მიწაზედ; ეს მცენარე თავისი ძირით გამრავლდება. რადგანაც ხრენმა ახირებული გამრავლება იცის, ამისთვს ამ მცენარეს ცალკე ალაგი უნდა აურჩიოთ, რომ სხვა მოსავალს ვნება არ მისცეს. ხრენის მოთხრის დრო სეკტემბერი

და ოკტომბერია, ამ დროს ხრენი უფრო გემრიელია ხოლმე.

## 16. სალათა.

სალათა სხუა და სხუა გვარია: ნემენცური, სხვილი ფოთლებიანი, ყვითელი ბერლინული, ყვითელი ბატავური, აგრეთვე სხვა ფოთლებიანი; იტალიანური, გოლლანდიური, მუქი ადრეული მუქი ბატავური და სხ. ამ მცენარეს რბილი და მსუქანი მიწა უყვარს. სალათა ივლისის ნახევრამდის ყოველს ორ კვირის შემდგომ მუდამ დაითესება. სალათის დასათესათ ჩრდილიანი ადგილი ამოარჩიეთ, მაგრამ მომაცვებული ჩრდილოეთი აწყენს. სალათა მორიმორს უნდა დაითესოს.

## 17 წიწმატი.

თუ წიწმატი გამოუღეველად გინდათ იქონიოთ უნდა ყოველს ორ კვირის შემდგომ დასთესოთ. სიცხეებში წიწმატი მოჩრდილებულს ადგილს დასთესეთ ხოლმე, თორემ უგემური და ცხარე გამოვა, წიწმატი მალმალ უნდა მოირწყას, რომ ადრე ამოვიდეს.

## 18 ხახვი.

ხახვი რამდენიმე ნაირია: ყვითელი, წითელი და თეთრი. ამ მცენარეს უყვარს რბილი და მსუქანი მიწა, საკმაოდ ნოყიერიანი. ხახვს გაზაფხულზედ სთესენ, როდესაც თოვლი დადნება. ხახვი რიგზედ და ხშირად უნდა დაითესოს ხოლმე, როდესაც ხახვი ამოიწევს, მაშინ გარეშემო მიწა გამარგლეთ და გამოთოხნეთ, თუ გინდათ, რომ ხახვმა სხვილი თავები გაიკეთოს, ფოთლები მოაცალეთ. ხახვი მიწიდგან იმ დროს ამოიღეთ, როდესაც ჯერ ყინვები არ დამდგარა. ხახვი თბილს და მშრალს ალაგს შეინახეთ, თორემ ნოტიო მალე აყვავებს და დალპობს ხოლმე.

## 19 თალიში ხახვი.

თალიში ხახვი გამრავლდება თავისის თავებით. ეს მცენარე სეკტემბერში უნდა დაითესოს. თალიში ხახვი ქვიშიანს დიდიხნის ნასუქ დაყრილს ალაგს უნდა დაითესოს. როდესაც თალიში ხახვს ფოთლები დაყვითლებას დაიწყობენ, მაშინ ხახვი ამოიღეთ მიწიდგან, კონებათ შეჰკარით და მშრალს ალაგს შეინახეთ.

## 20 ჭარხა.

ჭარხა არს ორ ნაირი: ზაფხულისა და ზამთრისა, რომელნიცა განსხვავდება მხოლოდ ფოთლებში აქუსთ. ზაფხულის ჭარხას სიცივისა ძალიან ეშინიან, ზამთრისასკი შეუძლიან მრთელი ზამთარი კვლებზედ დარჩეს. — ამ მცენარეს ფუმფრალში და მარცში სთესენ ხოლმე. ჭარხას უფრო მსუქანი და ნოტიო მიწა უყვარს, რომელზედაც ეშმრიელი მოდის. ვინაცა სურს, რომ ჭარხა მრთელს ზამთარს გამოუკლებლად იქონიოს, იმან შემოდგომაზედ ჭარხა მირიანათ მშრალს სარდაფში მიწაში დარგას ხოლმე. (*)

## 21 ნიორი.

ნიორის თესვა და მოვლა, ხახვის მოვლის მსგავსია, როდესაც ნიორს ფოთლები გაუყვითლდება, მაშინ უნდა მიწიდგან ამოიღოთ, კონებათ შეკრათ და მშრალს ალაგს შეინახოთ, ნიორს სამიოთხი წლით მიწაში გაძლება შეუძლიან, რისაგანაც თავის თვისებას არ გამოიცვლის.

(*) ამ გვარად შეინახება სხუა და სხუა ბოსტნის მოსავალი, მაგ: კომბოსტო, სტაფილო, ხახვი ჭარხალი და სხ

## 22 მუხუდო.

მიჩნეულნი მუხუდონი არიან: დაბალი, ადრეული ფრანცუზული, სხვილი ჩენჩოიანი; ტკბილი მწვანე; გოლლანდიური, ყვითელი სხვილმარცვლიანი, ნემეცური დაბალი ანგლიური და სხ. მუხუდოს უყვარს ქვიშიანი, ცოტად სასუქ დაყრილი მიწა. ამ მცენარეს ზედიზედ ერთს ალაგს ნუ დათესავთ, თორემ კარგი არ მოვა, ვისაც სურს, რომ ნედლი მუხუდო მრთელს ზაფხულს გამოუღეველად იქონიოს, იმან ყოველს ორ კვირის შემდეგომ ახლად დათესოს ხოლმე, იულისის ნახევრამდის. როდესაც მუხუდო კარგათ ამოიწევს, მაშინ ამ მცენარეს ფაჩხი ან ჯოხები უნდა დაერჭოს, რომ ზედ ავიდეს და დაეხვიოს, თუ მწვანე მუხუდოს მომზადება გინდათ, ეს მცენარე ნედლათ დაკრიფეთ, კარგათ გაარჩიეთ ორის ან სამის წუთით დუღარე წყალში ჩაყარეთ ხოლმე რომლისაგანა თავის მწვანე ფერს არ დაკარგამს. ბოლოს მუხუდო კარგათ გააშრეთ და მოიხმარეთ. მუხუდო შორიშორს უნდა დაითესოს ხოლმე.

## 23 ცერცვი.

ცერცვი მრავალგვარია, მაგრამ უფრო მიჩნე-

ულნი არიან: მაღალი ვინდზორული, მდაბალი ვინდზორული, მწვანე ანგლიური და სხ. ცერცვი აპრილში ან მაისში დაითესება; ამ მცენარეს მუსუდოსავით, რბილი და ცოტა სასუქ დაყრილი ქვიშიანი მიწა უყვარს. როდესაც ცერცვი ამოვა, გარშემო მავნებელნი ბალახები უნდა გაიმარგლონ. დათესვის დროს, ცერცვს ნუ დაალბობთ ხოლმე, თორემ დალპება. ცერცვი სათესლე ოთხს წლამდინ ივარგებს.

## 24 ლობიო.

ლობიო, მართალია სხვა და სხვა გვარია, მაგრამ მოვლაკი სუყველას ერთ ნაირი უნდა. ამ მცენარეს რბილი და მსუქანი მიწა უყვარს. ლობიოს მაისში სთესენ, რადგანაც სიცივისა ეშინიან ლობიოს დასათესათ ლია და მზიანი ალაგი ამოარჩიეთ. რაკი ლობიო კარგათ ამოიწევს, სარები უნდა დაერჭოს, ან არადა სიმიდთან ერთათ დათესეთ, რომ ფუჩეჩს დაეხვიოს. ამ მცენარეს მალმალ გამარგვლა და გათოხნა უნდა. ლობიო სათესლეთ ხუთ წლამდინ ივარგებს.

## 25 ისპანახი.

ეს მცენარე სხვა და სხვა ნაირია, მაგრამ

თითქმის ერთის თვისებისანი არიან. ისპანახს უყვარს რბილი და მსუქანი მიწა; ეს მცენარე შემოდგომაზედ უნდა დაითესოს, რომ გამოულეველად იყოს ხოლმე. ცხელს დღეებში ისპანახი ჩრდილიან ალაგზედ დათესეთ და მალმალ გამარგლეთ; ამის მეტი ამ მცენარეს სხვა არაფერი მოვლა არ უნდა. ისპანახის თესლი სათესლეთ ექვს წლამდის ივარგებს.

## 26 დანდური.

ბოსტნის დანდური მრავალ გვარია. ამ მცენარეს აპრილში სთესენ, მსუქანს და რბილს მიწაზედ, მზიანს ალაგს. დანდურს ხშირი მორწყვა უნდა, რომლისაგანაც მსუქანი და გემრიელი ამოდის. ყვითელ ფოთლიანი დანდური უფრო გემრიელი.ა ამ მცენარის თესლი სათესლეთ სამს წლამდის ივარგებს.

## 27 მჟაუნა.

საბოსტნე მჟაუნას მრავალი ფოთლები აქვს. ამ მცენარეს მსუქანი და რბილი მიწა უყვარს. მჟაუნა გაზაფხულზედ ითესება და როცა ამოვა კარგათ გაათხელეთ, რომ ბევრი ფოთლები გაი-

კეთოს. მჟაუნა თავის ძირებითაც გამრავლდება; ამ მცენარის თესლი სათესლედ სამს წლამდინ ივარგებს.

## 28 კამა.

კამას შემოდგომაზედ სთესენ ხოლმე. ამ მცენარეს რბილი და მსუქანი მიწა უყვარს. კამამ ისეთი ახირებული მოსავალი იცის, რომ ზოგჯერ ვერც კი აუვლენ ხოლმე. ამ მცენარის თესლი სათესლედ სამს წლამდინ ივარგებს.

## 29 ქონდარი.

ამ მცენარეს აპრილში სთესენ, მსუქან და რბილს მიწაზედ. ქონდარი, თესლის გარდა, თავის ძირითაც გამრავლდება. ამ მცენარეს საჭმლის გარდა, წამლადაც იხმარებენ ხოლმე. ქონდრის თესლი სათესლედ სამს წლამდინ ივარგებს.

## 30 ტარხუნა.

ტარხუნას მსუქანი და რბილი მიწა უყვარს რადგანაც ტარხუნის თესლი ძნელად დამწიფდება ხოლმე, ამისთჳს უმჯობესია რომ ეს მცენარე თავის ძირით გაახირნოთ. თუ მუდამ ქორფა ტარხუნა გინდათ იქონიოთ, მალმალ დაჭრიდეთ ხოლმე.

ცარხუნას სხვა არაფერი მოვლა არ უნდა.

## 31 კიტრები.

კიტრს მსუქანი და რბილი მიწა უყვარს. კიტრი სამხრეთისაკენ მიქცეულს ალაგს უნდა დაითესოს, რადგან სიცივისა ძალიან ეშინიან. ეს მცენარე მორი მორს დათესეთ ხოლმე; კიტრის მოსავალი დამოკიდებულია თბილს და ნოტიო დროზედ. ფეხის კიტრი იანვრის გასულს ჯერ განგებ მომზადებულს ყუთებში უნდა დაითესოს და მერმე ჰარნიკებში გადაირგვის ხოლმე ამ კიტრს ძალიან გაფრთხილება უნდა, რომ ან ყინვამ ან ცივმა ქარმა არა წაახდინოს. კარგს დღეებში: ჰარნიკში ჰაერი შაუშვით ხოლმე. კარგი იქმნება, რომ ჰაერის შამვების დროს ჰარნიკს ჭილობი გადააფაროთ, ცივი ქარი აღარ დაკრამს ქორფა მცენარეთა. კიტრის ჰარნიკები ღამით თბილათ უნდა დაიხურონ, რომ სიცივემ არა ავნოს.

## 32 გოგრა.

ეს მცენარე მრავალ გვარია. გოგრას მარტში ან აპრილში დასთესენ ხოლმე. გვალვაში ამ მცენარეს ხშირი მორწყვა უნდა; გარშემო მიწა მალ-მალ გაუთოხნეთ. ყელიანი გოგრას სარები უნდა მიეცეს, რომ ზედ ავიდეს, თორემ მიწაზე გაზ-

დილი ყელიანი გოგრა მაგარი არ გამოდგება. სარგებლოა, რომ გოგრა მოუსებს აქამუნ, რომლისგანაც ამათი რძე სქელი და გემრიელი გამოდის. ნედლი გოგრის თესლისაგან ნუშის რძის მსგავს რძეს აკეთებენ.

## 33 საზამთრო.

საზამთროს ქჳშა ნარევი მსუქანი მიწა უყვარს; ეს მცენარე მარცში და აპრილში ითესება. საზამთრო მორიმორს უნდა დაითესოს, რომ დიდრონი ნაყოფი გაიკეთოს. ამ მცენარეს სიმწიფემდის ხშირი მორწყვა უნდა. რადგანაც წვნიანი ნაყოფი იცის. რადგანაც საზამთროს სიცივის ეშინიან, ამისთჳს ამის კვლები მოყუდროებულს და მიან ალაგს გააკეთე.

## 34 ნესვი.

ეს მცენარე ბევრ გვარია. ნესვს მსუქანი და რბილი მიწა უყვარს. რადგანაც ნესვი საზამთროსავით წვნიანი ნაყოფია, ამისთჳს სიმწიფემდის კარგათ უნდა მოირწყას ხოლმე. ეს მცენარე მარცის გასულს და აპრილში ითესება. როდესაც მცენარე ერთს ვერმოკზედ ამოვა, მაშინ ნესვის კვლები უნდა გაიმარგვლონ, თუ ერთმა მცენარემ ბევრი ნაყოფი დაისხას, მაშინ ზოგი ერთი მოა-

ცალეთ, რომ დანარჩენი სხვლი და გემრიელი გამოვიდეს. ნესვი უნდა მაშინ მოიწყვიტოს, როდესაც ჯერ ძალიან არ დამწიფებულა, თორემ დიდხანს მიწაზედ ყოფნით, ჩამწიფდება და ბევრს ვერ გასძლებს ხოლმე.

## 35 მარწყვი.

მარწყვი სხვა და სხვა ნაირია: წითელი, თეთრი, მოგრგვლო მოგრძო და სხ. ამ მცენარეს მსუქანა ქვიშა და თიხა ნარევი მიწა უყვარს. რადგანაც თესლით მოყვანილი მარწყვი ნაყოფს გვიან გაიკეთებს, ამისთვის უმჯობესია რომ ძირებით გააჩინოთ ხოლმე. ეს მცენარე აგვისტოში უნდა დაირგას, რომ ზამთრამდინ მიწაში კარგათ გამაგრდეს. მარწყვი შორიშორს უნდა დაირგას, რომ ერთმანერთის ამოსვლა არ დაუშალონ; მარწყვს ხშირი გამარგვლა უნდა. —

ნ. პაყელი.

**1861** წელსა თბილისი:

დასასრული.

## ახლოანდელის აღზრდისა სურათი საფრანგეთში.

რამდენისამე წლის წინეთ, ერთს საფრანგეთის სისხლის სამართლის სამს პალატაში სწარმოებდა საქმე ნოტარიუსზედ ორ ნაირის დანაშაულობისათვის მისისა: ა) შედგენისათვის მისგან ყალბის ქაღალდებისა, და ბ) განზრახვისათჳს ქალწულის ქალის მოკვლისა, რომელიც მას დიდ უყვარდა.

ცილობა ამ საქმეზედ გრძელდებოდა სამს დღეს.

ჩვენება მოწმეებთა, ეგრეთვე საკუთარი კადნიერი გამოცხადება ნოტარიუსისა იყვნენ იმ გვარნი, რომ მას გარდუწყვეტს სიკვდილამდის მადნებში მუშაობა. როდესაც წაიკითხეს სამსჯავროს განაჩენება, მან ხმა მაღლა დაიძახა: რატომ არ გადამიწყვეტეთ მე სიკუდილი? ვითხოვ მე ამას ვითარცა კეთილ მოქმედებას. ბოლოს უცებ ამოიღო ჯიბი-

დამ დანა და უნდოდა თავი მოეკლა, მაგრამ
იქ მყოფნი მისცვინდნენ და წაართვეს დანა.
მაშინ იგი მიუბრუნდა სამჯავროს პრეზი-
დენტს და უთხრა აღშფოთებულის ხმით: მე
ვაბრალებ ამას ჩემთა მასწავლებელთა, რომელ-
ნიც მზრდიდენ მე სიჭაბუკეში; კანონთა,
რომელნიც მათ შემაგონეს მომაწყვინეს ამ
გარდახდომილებამდინ სასჯელის ამა დანაშა-
ულობისათჳს მე აწ მივეცემი თჳნიერ უარის
ყოფისა, მაგრამ პასუხის გებაში ღმერთთან
ამაზედ იქმნებიან ჩემნი მასწავლებელნი

შემდგომ ამისა ერთის დღის წინეთ ვინემ
გაგზავნიდნენ დასასჯელათ ტულონში, მან
მისწერა ერთს თავის მეგობარს შემდგომი
ბარათი: «მე შენ გატყუვი საყვარელო მე-
გობარო, და მზა ვარ ესევე უთხრა მთელს
ქვეყანას, რომ კანონთა რომელნიც შემაგო-
ნეს მე სასწავლებელში დამღუპეს მე მქონდა
როგორც შენც იცი, პატიოსანი გული;
მე ვცდილობდი სათნოყოფასა აწ როგორ
მივაწიე მე ახლანდელს ჩემს მდგომარეო-
ბაში? პასუხი ამ კითხვაზედ ნუ მსახურებს
მწუხარების განმრავლებად უბედურს ჩემს
დედასა. დღეს ჩემის სასწავლებელში შესვ-

ლისა იყო დღეთ ჩემისა დაღუპვისა; თუმცა-ღა შემამკობელდა გაფრთხილებაჲ ჩემთა მშობელთა, მეოქჳა მათთჳს: ფრთხილად იყავით, ნუ ჩაჰყრით შვილებთა უფსკრულში, დარწმუნდით, გამოსცადეთ იგინი, რომელთაც შვილებთ აბარებთ, ნუ მიიზიდებით გარეგანის ბრწყინვალებით, ამისთჳს რომ თქუენ უნდა მისცეთ პასუხი ღმერთსა მაზედ! ცუდს სასწავლებელში ყოველივე ეწევა საფრხესა და გარყვნილებასა, გარნა იქ, სადაც მე ვიზრდებოდი თჳთ ანგელოზსაც არ შეეძლო თავის დაჭერა; უსაქციელო სიტყჳა პასუხნი, უწესო მაგალითნი ამხანაგებს მხრით, უღმრთოება, გულგრილობა ყოველ საქმეში, ცუდი წიგნები ეჭვი და ურწმუნოება სასწავლებლის წიგნებში, სასაცილოდ აგდება ყოვლის სჯულიერის მოვალეობის აღსრულებისა, რომელის გულის უნდა ატკანა ესე ყოველივე? არა მიმხედველი ამისა, მე დიდხანს ვითმენდი, ვსტიროდი მალვით მაგრამ ვერ შევძელი მიმეყრუებინა ჩემი სინიდისის ხმა. და ბოლოს დავეცი. მე ვიცი რომ ბევრნი ისე შორს არ შედიან ცოდვაში, როგორც მე შევედი; ვიცი რომ ბევრნი

გამოსვლის შემდეგ სასწავლებლიდამ შე-იქმნებიან საზოგადოებაში პატიოსან კაცათ, და ზოგნი მხოლოდ თავს მოგვაჩვენებენ ასე, გარნა ღმრთის წინაშეკი ისინიც ისე ცოდვილნი არიან როგორც მე და ესრეთ შერცხვენებული იქმნენ ის მწყრალნი რომელ-ნიც თვისის შხამიანის სიტყვებით მოსწამ-ლვენ გულსა და ჭკუასა ჭაბუკთა! შერცხვე-ნებული იქმნენ უკუნისამდე ის მასწავლე-ბელნი, რომელთამაც წმინდა უმანკო სული ჭაბუკისა იღუპვის! ...»

გ. ს. წერეთელი.

---

რედაკტორო უფალო ი. კერესელიძე!

სხვა რიგად დავიწყო და მოვყვე, აბა რა იქნება, ისევ პირდაპირ ვსთქვათ ისა ჯობია ჩვენი ქართული ჟურნალი ბობღავს. მარამ ესეც არის რომ არა გსწყსარ, იბობღოს, ოღონდკი იყოს. ვისაც მოთმინება აქვს მოითმენს და ვისაც არა შეუგზიდვან გაიქ-ცევა. ქართველებმა ვიცით, გაჯავრებული რო დავემუქრებით ვისმე: მაინც ყურმით

გდეთ და სადაც იქნება მოგასწროთო, ჩუენი ქართველების ხასიათისამებრ, უნდა ყრმით ვდიოთ და ბოლოს დროს რვინის გზაც გვექნება. აბა რას ვიფიქრებდი, ყრმით მოხიარულე ჩუენი ცისკარი, აქ პიატიგორსკში მოლასლასდებოდა, ვმადლობ ღმერთსა ყრემიც არა რჩება უკან, თუმცა წყნარად დადის მაგრამ შორს კი მიდის მართალია შუა გზაზედ, რომ გაუტყდეს ურემი მეურმეს, მჯელისათვის შეწუხდება სად ვიშოვნოვო. კარგი გალესილი ცული და გზაზედაც ჩქარა დადგება წასასვლელად. მიდის და მიდის როგორათაც ლონიერი და იმედიანი მძიმე სპილო.

აქ პიატიგორსკს, ჩუენს უკანასკნელს ცისკრებში ბევრი კარგი რამ წავიკითხე ჩემი სასიამოვნოთ; აღარ ვსწუხვარ ჩუენი ქართველებისათვს, მხოლოდ თუ ზოგიერთნი კიდევ თვით ქართველნი არ უშლიდნენ ქართველთ საზოგადოობის კეთილმდგომარეობასა, ყოველთ.. ჩუენი საქმე კარგად მოვა, მაგრამ რა გაეწყობა იმათ სიბრიყვნეს?— თქუენ კაივაცნო, თქუენი შავი გული თეთრად შესცვალეთ, გესმისთ თეთრად ჩუენს დავრ-

დუმილის საზოგადოებაზე, თორემ რისხვა ღვთისა ძნელია! აბა როგორ არა ვსთქვა, გული ვერ ითმენს; ამ ცისკრებში ჩანს, რომ ჩუენი ქართველები ისევ ქართველები არიან, თავიანთ მამაპაპის ნიჭის საყდარზე დგანან კიდევ და იქიდგან მნათობენ ზოწყნვა-ლეს გონებით! მოითმინე ჩუენო დალონე-ბულო ცისკარო, თქუენის დაარსებიდგან მოთმინების სწავლა დაუდო ღმერთმან წინა ჩუენ ქართველთა, მაშასადამე ეს ვიკმაროთ იმან იცის ჩუენს ცისკარსა, რას სინათლესაც მისცემს: ჴელმწიფეთა გული ღვთის ჴელთაო.

რას მდგომარეობაზედაცა დგას ეხლა ჩუენი ცისკარი, ამ ჟამად ამაზე მეტს ვერას მოგ-თხოვთ ამას; რაც შეიძლება, ბევრი კარგი რამ იბეჭდება, მართლათ დიახ ბევრი კარგი: საუცხოვო ლექსები, სასიამოვნო მოთხრო-ბანი, კარგი სხვა და სხვა ამბავნი, მახვილგო-ნიერებითი განხილვანი ანუ კრიტიკანი და სა-სარგებლო სახლის პატრონობა.

შემხუდა ეს სიტყუა: სახლის პატრონობა და ამაზედ უნდა ითქუას რამე: იოსებ მამა-ცაშვილის მოაქვს საუცხოვო მაგალი-თი, ჩუენი ქართველების სწავლებე-

ლი (*), რომელიცა თვითეული იმისი ფურც-
ელი, ყოველს ჩჳნს მებატონისსახლში უნდა
იყოს და ყველანი იმას ვკითხულობდეთ,
რომ ვისწავლოთ ამ წიგნის სოფლის ცხო-
ვრება რა გვარად უნდა. მაგრამ ის რომელი
მოხუცი მებატონე ყოფილა, რომელიცა
თავის რძლებისაგან თაკილობდა თურმე, რო-
დისაც სამზარეულოში შევიდოდნენ დასახე-
დათ? — სწორეთ ვიტყვი, ის არც ასე ყო-
ფილა და არც ისე ეხლა დრო არარის და
თავის დროზედვე ვიტყვი, რომ უწინდელი
ჩჳნნი მებატონენი, ქალნი და კაცნი, როგორი
სახლის პატრონები ყოფილან რომ დავინა-
ხოთ, არც იმაში იყვნენ ისინი უმეცარნი.

ამას მომავალისათჳს დავანებოთ თავი და
ახლა თქჳნ უმდაბლესად გთხოვთ, ეს მცი-
რედი წერილიცა დაბეჭდინოთ ცისკარში,
ესეც თავის გზაზედ წავიდეს; გზა ვრცელია
და მეკობრე არავინ დახვდება ამას,

თ. ალექსანდრე [illegible] ჟ. ორბელიანი.

ამ წელს **1861** წ. **30**-სა ივნისს.

ქ. პეტერბურგს.

---

(*) ამ თვის ივნისის ცისკარში.

## რედაქციისაგან.

---

თ. ილია ჭავჭავაძისაგან მივიღეთ სტატია «[illegible] მესხიევის» ანტიკრიტიკული უსტარის «პასუხად» რომლისაც დაბეჭვდა ვერ მოვასწრეთ ამ ნუმერში, — შემდეგ წიგნში უეჭველად დაიბეჭდება

რედ.

---

# სხუა და სხუა ამბავი.

ლანდელის აღზრდის სურათი საფრანგეთში. ვ. ს. წერეთელისა.
ენი რედაკტორთან. თ. ალ. ვახ. ძე ჯ. ორბელიანისა

---

# ქალი მოსწერლება

## 1861 წელსა

ქ. ტფილისში, ქართულის ჟურნალის «ცისკრის» რედაქციაში: კუკიას კერესელიძის სახლებში.

ფასი ერთის წლის გამოცემის, ქ. ტფილისში გაუგზავნელად ექვსი მანეთი, ხოლო შინ მიწოდებით, ანუ სხვა ადგილებში გაგზავნით: შჳდი მანეთი თეთრი ფული.

რედაქცია ჰსთხოვს «ცისკრის» ქალის მომწერთა, ვისაც ჟურნალი დააკლდეს ჯ დროზედ არ მიუვიდეს, მაშინვე აცნობონ რედაქციას, ესრეთის ზედ წარწერით:

«ცისკრის» რედაქციაში, ტფილისს. —

Печатать позволяется. Сентябрь 20 дня, 1861 года.
Ценсоръ Кантмазовъ.